

როზა ბიძინაშვილი
შხამიანი მცენარეების როლი ფიტოთერაპიაში
ცნობარი



გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2020

„ვუძღვნი ჩემი ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს და მეგობარს, ამ ქვეყნიდან უდროოდ წასულ მალხაზ ზარქუას ნათელ ხსოვნას!“

ცნობარი განკუთვნილია სამკურნალო მცენარეებით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის. განხილულია საქართველოში ბუნებრივად მოზარდი და ინტროდუცირებული 100 სახეობის შხამიანი მცენარე. მორფოლოგიურ ნიშანთვისებებთან ერთად მოცემულია ინფორმაცია მათი გავრცელების, ჰაბიტატების, პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის შესახებ და მათ როლზე ტრადიციულ და ოფიცინალურ მედიცინაში.

ინფორმაცია შეაგროვა და დაამუშავა **როზა ბიძინაშვილმა** - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სამკურნალო მცენარეების სექტორის გამგე, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

რედაქტორი: **ნონა ანთაძე**, საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

რეცენზენტი: **ეთერ გოგიტაშვილი** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევარი, ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

სატიტულო ყდაზე - ტილჭირი - *Aconitum napellus*

ტექსტში მოყვანილი ფოტოსურათები ამოღებულია <https://www.google.com/> სხვადასხვა საიტებიდან

© როზა ბიძინაშვილი

© **Roza Bidzinashvili**

ISBN 978-9941-8-2731-0

„Praemonitus, praemunitus“
„გაფრთხილებულია ე. ი. შეიარაღებულია“

შესავალი

ავიცენა ამბობდა, რომ ყველა მცენარე შეიძლება იყოს წამალიც და შხამიც, ყველაფერი დამოკიდებულია დოზებზე, მიღების დროსა და ხანგრძლივობაზე, ავადმყოფის მდგომარეობაზე წამლის მიღების მომენტში.

დაწვრილებითი შესწავლის საგანს ოდითგანვე ე. წ. „მავნე მცენარეები“ წარმოადგენდა. მსოფლიო ფლორა 10000-მდე შხამიან მცენარეს მოიცავს, რომელთა უმრავლესობა ტროპიკებსა და სუბტროპიკებშია თავმოყრილი; 700-მდე სახეობის მცენარე, მათ შორის სოკოები, ადამიანებისა და ცხოველებისთვის სასიკვდილოდაა მიჩნეული. მაგალითად, ისეთი შხამიანი მცენარე, როგორცაა ციკუტა, ადრეულ პერიოდებში ითვლებოდა „ლეგალიზებულ“ სასიკვდილო იარაღად, საკმარისია სოკრატეს სიკვდილის გახსენებაც. ერთი შეხედვით ყველაზე ჩვეულებრივი მცენარე შეიძლება შეიცავდეს სასიკვდილო შხამს; მრავალ მათგანს არა აქვს არც სუნი, არც გემო, რაც მათ განსაკუთრებით ვერაგს ხდის. შხამიან ნივთიერებებს შეიცავს როგორც მთელი მცენარე, ასევე მისი ცალკეული ნაწილები. უმრავლესი მცენარის ტოქსიკური თვისებები არ ქრება შრობისა და თერმული დამუშავებისას.

არასწორმა გამოყენებამ და გამოუცდელმა თვითმკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს მოწამლვა ზოგიერთი არაშხამიანი მცენარითაც. ერთის მხრივ გათვალისწინებული უნდა იქნეს მათ ხარისხზე ეკოლოგიური გარემოს გავლენა და გადამუშავების პირობები, როდესაც ხდება ბალახების დაბინძურება ტოქსიკური ინგრედიენტებით, მათ შორის რადიოაქტიური ელემენტებით. მეორეს მხრივ, სამკურნალო მცენარეების თვისებებისა და შემადგენლობის უფრო ღრმა შესწავლამ აჩვენა, რომ მრავალი მათგანი შეიცავს ნაერთებს, რომლებიც მავნე ადამიანის ორგანიზმის მრავალი ორგანოსა და სისტემებისათვის.

ბოლო წლების ლიტერატურაში გამოჩნდა მნიშვნელოვანი ცნობები, სადაც მოყვანილია თანმდევი რეაქციები და გართულებების აღწერები, დაკავშირებული სხვადასხვა ბალახით მკურნალობიდან გამომდინარე. უფრო ხშირად ბალახების ტოქსიკური მოქმედება ადამიანის ღვიძლზე და ნერვულ სისტემაზე აისახება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ სამკურნალო მცენარეებს, რომელთა შემადგენლობაშია პიროლიზიდინის (ჰეტეროციკლური ორგანული ნივთიერება) ჯგუფის ალკალოიდები. ცხოველებზე ჩატარებული ცდებით მტკიცდება, რომ ისინი ხასიათდებიან მუტაგენური და კანცეროგენური მოქმედებით. აღნიშნული ნივთიერებები აღმოჩნდა ისეთ ფართოდ გამოყენებულ სამკურნალო ბალახებში, როგორცაა სამკურნალო ლაშქარა, ჰელიოტროპი, თავყვითელას სახეობები და სხვ. ამგვარად, სადღეისოდ მიღებული მონაცემები ადასტურებს ძლიერი სიფრთხილით მათი გამოყენების აუცილებლობას. მცენარეული პრეპარატების ხმარებისას უსიამოვნო მოვლენებისგან თავდაცვის მიზნით ზედმეტი არ იქნებოდა ამ ჯგუფის მცენარეების მოქმედების ცოდნა.

ზოგადი ინფორმაცია შხამიან მცენარეებზე

შხამიანი მცენარეები ის მცენარეებია, რომლებიც ცხოველ-მოქმედების პროცესში გამოიმუშავენ და წარმოქმნიან შხამებს, რაც იწვევს ცხოველებისა და ადამიანების მოწამვლას. შხამიანი მცენარეები გვხვდება სოკოების, შვიტასებრთა, გვიმრანაირების, შიშველთესლოვანებსა და ფარულთესლოვნებს შორის. ზომიერი კლიმატის ქვეყნებში, ისინი ყველაზე ფართოდ არიან წარმოდგენილი შემდეგ ბოტანიკურ ოჯახებში: Apocynaceae - ქენდირისებრნი, Araceae - ნიუკასებრნი, Euphorbiaceae - რძიანასებრნი, Ranunculaceae - ბაიასებრნი, Papaveraceae - ყაყაჩოსებრნი, Solanaceae - ძაღლყურძენასებრნი, Scrophulariaceae - შავწამალასებრნი და სხვ. მრავალი მცენარეული შხამი - მნიშვნელოვან სამკურნალო საშუალებებს მიეკუთვნება, კერძოდ: მორფინი, სტროხნინი, ატროპინი, ფიზოსტიგმინი და მრავალი სხვა.

შხამიანი მცენარეების ძირითადი მოქმედი ნივთიერებებია - ალკალოიდები, გლიკოზიდები (მათ შორის საპონინები), ეთერზეთები, ორგანული მჟავები და სხვ. მათ ჩვეულებრივ შეიცავს მცენარის ყველა ნაწილი, ხშირად განსხვავებული რაოდენობით და ტოქსიკურობით. მაგ.: ციკუტას, ტილჭირის, შხამას სახეობებში განსაკუთრებით შხამიანია - ფესურები, კარტოფილში - ყვავილები, კონიოს - ნაყოფები, სოფორას, ჭიოტას, ჰელიოტროპის - თესლები, სათითურას - ფოთლები და ა.შ. ზოგიერთი მცენარეული შხამები გროვდება და წარმოიქმნება მცენარის მხოლოდ ერთ ორგანოში (მაგ.: გლიკოზიდი ამიგდალინი - მხოლოდ მწარე ნუშის, ალუბლის, ქლიავის თესლებში). ისეც ხდება, რომ შხამიანი მცენარეების ზოგიერთი ნაწილი უშხამოა (კარტოფილის ტუბერები, უთხოვრის თესლის საბურველი, ხაშხამის თესლები და სხვ.).

მცენარეებში შხამიანი ნივთიერებების შემადგენლობა დამოკიდებულია ზრდის პირობებსა და მცენარის განვითარების ფაზებზე. როგორც წესი, სამხრეთში მოზარდი მცენარეები უფრო მეტ მოქმედ ნივთიერებებს აგროვებს, ვიდრე ჩრდილოეთში მოზარდი. ზოგიერთი მცენარე უფრო ტოქსიკურია ყვავილობამდე, სხვები - ყვავი-

ლობის პერიოდში, მესამენი - ნაყოფმსხმოიარობისას. განსაკუთრებით შხამიანია ნედლი მცენარეები. გაშრობის, მოხარშვის, დასილოსების შემდეგ ტოქსიკურობა კლებულობს, ზოგჯერ კი მთლიანად ქრება. თუმცა მრავალი შხამიანი მცენარე ტოქსიკურობას ინარჩუნებს გადამუშავების შემდეგაც, რის გამოც ფურაჟში მათი ნარევი არც თუ იშვიათად ცხოველთა ძლიერი მოწამლვის მიზეზი ხდება. ცხოველები, როგორც წესი არ ეკარებიან შხამიან მცენარეებს, თუმცა გაზაფხულზე, ხანგრძლივი ბაგური კვების შემდეგ იკვებებიან ნედლი ბალახით, მათ შორის შხამიანი მცენარეებითაც.

მცენარეები, რომლებიც აბსოლუტურ შხამიანობას ფლობდეს ყველა ცოცხალი არსების მიმართ, ბუნებაში თითქმის არ არსებობს. მაგ.: შმაგა და ლემა, რომლებიც ადამიანისთვის შხამიანია, ძღრღნელებისათვის, ქათმებისთვის, შაშვებისა და სხვა ფრინველებისათვის უსაფრთხოა. ზღვის ხახვი შხამიანია ძღრღნელებისათვის, უსაფრთხოა სხვა ცხოველებისთვის, პირეთრუმი შხამიანია მწერებისათვის, უსაფრთხოა ხერხემლიანებისათვის და ა. შ.

ჩვეულებრივ, შხამიანი მცენარეებით მოწამლვა ხდება მათი პირის, სასუნთქი ორგანოების (მტვრიანების ან მათ მიერ გამოყოფილი მფრინავი ნივთიერებების - ფიტონციდების შესუნთქვით), ან კანის (მცენარის სხვადასხვა ნაწილზე შეხებისას) მეშვეობით. სასუნთქი გზების გზით მოწამლვა აღინიშნება სხვადასხვა შხამიანი მცენარეების (სვია, შმაგა, ლიმონურა, სეკურიგენა და სხვ.) სამკურნალო მიზნით შეგროვებისას. იშვიათად, მაგრამ აღინიშნება საყოფაცხოვრებო მოწამლვები მფრინავი ნივთიერებებით, რომლებსაც მცენარეები გამოყოფს. მაგნოლიის, შროშანის, ყაყაჩოს, შოთხვის დიდმა თაიგულებმა შეიძლება გამოიწვიოს შეუძლოდ ყოფნა, თავბრუსხვევა, თავის ტკივილი. ხშირია ბავშვების მოწამლვა მეტად მიმზიდველი მაცდუნებელი შხამიანი ნაყოფებით (ანწლი, დიდგულა, დათვის ყურძენი, შმაგა, მაჯალვერი და სხვ.). მოწამლვა შხამიანი მცენარეების ჭამის შემდეგ, შეიძლება გამოვლინდეს რამდენიმე წუთში, მაგ.: უთხოვრის წიწვების მიღების შემდეგ, სხვა შემთხვევაში - რამდენიმე დღის ან კვირის შემდეგაც. ზოგიერთი მცენარე (მაგ.: ეფედრა) შხამიანობას ამჟღავნებს ხანგრძლივი დროით გამო-

ყენების შემდეგ, ვინაიდან მათი მოქმედი ნივთიერებები ორგანიზმში არ იშლება და არ გამოიდევენება, არამედ მასში გროვდება. შხამიანი მცენარეების უმრავლესობა ერთდროულად მოქმედებს სხვადასხვა ორგანოზე, მაგ.: ცენტრალური ნერვული სისტემა ჩვეულებრივ ზიანდება უფრო ძლიერად და ხშირად პარალიზდება შემდეგი მცენარეებით: ტილჭირის სახეობები, უცუნა, ლენცოფა, კონიო, ფრინტა, ციკუტა და სხვ.; გულზე მოქმედებს - შროშანა, სათითურა, ღვედკეცი და სხვ.; ღვიძლზე - ჰელიოტროპი, თავყვი-თელა, ბაია და სხვ.; სასუნთქ და საჭმლის მომნელებელ ორგანოებზე - მინდვრის მდოგვი, ცხვირისსატეხელა და ა. შ.

მრავალი მცენარეული შხამი მცირე დოზით (ე. წ. თერაპიული) გამოიყენება როგორც სამკურნალო საშუალებები (მაგ.: გულის გლიკოზიდები, რომლებსაც ღებულობენ შროშანასა და სათითურისგან, ატროპინი - შმაგასგან, ჰიოსციამინი - ლენცოფისგან, სკოპოლამინი - სკოპოლიასგან და ა. შ.). ზოგიერთ შხამიანი მცენარისაგან ღებულობენ ინსექტიციდებს (მაგ.; პირეთრუმს - დალმაციური და წითელი გვრილასგან).

P.S. ბუნებაში, ყველაზე ჩვეულებრივ კუთხეშიც შესაძლებელია მოიძებნოს მცენარე, რომელიც შეიძლება საფრთხეს წარმოადგენდეს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. რა თქმა უნდა კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ უნდა ვიცნობდეთ მათ და უბრალოდ, მოვეკიდოთ სიფრთხილით. თითოეულ ადამიანს უნდა შეეძლოს გაარჩიოს გავრცელებული შხამიანი მცენარეები ჩვეულებრივისაგან, რათა უცნობი ბალახი ან კაშკაშა ნაყოფები არ გახდეს გამოუსწორებელი უბედურების მიზეზი.

ყველაზე საშიში შხამიანი მცენარეები, რომელთა შესახებ უნდა იცოდეს ყველამ!!!

აბუსალათინი - *Ricinus communis*



სად გვხვდება: ტროპიკულ, სუბტროპიკულ და ზომიერ ზონებში. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში. საქართველოში იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში.

რითია საშიში: ერთერთი ყველაზე საშიში მცენარეა. შეიცავს მეტად შხამიან შენაერთებს - რიცინს და რიცინინს. განსაკუთრებით შხამიანია თესლები - 4-9 ცალის მიღება იწვევს სიკვდილს. მცირე დოზები იწვევს ჯანმრთელობისათვის გამოუსწორებელ ზიანს, ვინაიდან რიცინი არღვევს ორგანიზმის ქსოვილებს.

ანწლის სახეობები - *Sambucus L.*



ანწლი - *Sambucus ebulus*



დიდგულა - *Sambucus nigra*

სად გვხვდება: საქართველოში ამ გვარის 3 სახეობა იზრდება, მათგან ფართოდაა გავრცელებული: *Sambucus ebulus* L. - ანწლი და *S. nigra* L. - დიდგულა. იზრდება ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერი ზონაში. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია! საინტერესოა აღინიშნოს, რომ მათი ნაყოფები სრულიად უვნებელია სიმწიფის დროს და მათგან ამზადებენ სასმელებს, მურაბებს და სხვ.

რითია საშიში: იწვევს თავის ტკივილის პროვოცირებას, სისუსტეს, მუცლის ტკივილს, ზოგჯერ კრუნჩხვებს. შესაძლებელია გულის უკმარისობა და სუნთქვის შეჩერება.

არხისპირა - *Oenanthe aquatica* (L.) Poir.



სად გვხვდება: გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. იზრდება მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე, დატენიანებულ მდელოებზე. ინგლისელები მას უწოდებენ „დიდი ბრიტანეთის ყველაზე შხმიან მცენარეს“, რუსეთში კი - „სიკვდილის თათებს“.

რითია საშიში: უძველეს წარსულში, კუნძულ სარდინიაზე არსებობდა ველური **ზნე-ჩვეულება**: მოხუცები, რომლებსაც თავის მოვლა აღარ შეეძლოთ, შვილები კლდიდან აგდებდნენ, რასაც გვამცნობს ძველი ბერძენი ისტორიკოსი ტიმასუი. განწირულს, ღიმილით რომ შეხვედროდა სიკვდილს, შვილები აწვდიდნენ სასმელს, რომელიც იწვევდა გაქვავებულ მიმიკას, მას „სარდინიული ღიმილი“ უწოდეს. "გამოსამშვიდობებელი კოქტეილის" მოსამზადებლად, სარდინიის უძველესი მოსახლეობა იყენებდა შხამიან ბალახს - არხისპირას, რომლის მოქმედება იწვევს კუნთების კრუნჩხვას - სახის ნერვის მიმიკის მსგავს დამბლას.

ადამიანების დაუნდობელი მკვლელის სახელითაცაა ცნობილი. შეიცავს უძლიერეს შხამს-ზნანტოტოქსინს, რომლის სასიკვდილოდ მოწამლვის ერთ-ერთი ნიშანია - სახეზე ღიმილი!



სასიკვდილო ღიმილი

ზაიას სახეობები - *Ranunculus* sp



ნიახურა - *Ranunculus repens*

სად გვხვდება: საქართველოში გვარი ზაია 41 სახეობითაა წარმოდგენილი, მათ შორის უმრავლესობა შხამიანია. გავრცელებულია ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ზომიერ სარტყელში, ამჟობინებს ნოტიო ადგილებს.

რითია საშიში: შეიცავს მწვავე წვენს, რომელიც კანზე დამწვრობებს სტოვებს. ლორწოვან გარსზე მოხვედრისას იწვევს ხველების და ხახის სპაზმების პროვოცირებას. თვალში მოხვედრისას შეიძლება გამოიწვიოს დროებითი სიბრმავე.

დათვის ყურძენი - *Actaea spicata*



სად გვხვდება: დასავლეთ ევრაზიული მცენარეა. საქართველოში გავრცელებულია ტყის მთელ სარტყელში.

რითია საშიში: მცენარის ყველა ნაწილი ძლიერ შხამიანია.

განსაკუთრებით შხამიანია ნაყოფები. საკვებში სულ რაღაც ორი კენკრის მოხვედრა ბავშვის სიკვდილს იწვევს.

დიყის სახეობები - *Heracleum* sp



სოსნოვსკის დიყი -
Heracleum sosnowskyi



მანტეგაცის დიყი -
Heracleum mantegassianum

სად გვხვდება: გავრცელებულია ევრაზიის ზომიერ ოლქებში, აშშ-ში ერთი სახეობა იზრდება, საქართველოში - 22 სახეობა. ქოლგოსანთა შორის ყველაზე გიგანტური მცენარეებია, მეტად შთამბეჭდავად გამოიყურება, მაგრამ შხამიანობიდან გამომდინარე, არ გირჩევთ მათ ახლოს ყოფნას, თუნდაც ფოტოგრაფირებისათვის.

რითია საშიში: სახეობათა ნაწილი შეიცავს ფუროკუმარინებს, რომლებიც მზის სინათლის მოქმედებით იწვევს ავადმყოფურ დამწვრებობს. ამიტომ, როდესაც დიყის წვენი ხვდება ხელზე, სწრაფად უნდა დაიბანოთ და მოერიდოთ მზის სხივებს დაახლოებით ორ დღე-ღამეს.

ვარდისფერი კატარანტუსი - *Catharanthus roseus*



სად გვხვდება: საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში კულტივირებულია როგორც ერთწლოვანი მცენარე.

რითია საშიში: მთელი მცენარე შხამიანია! იწვევს საერთო სისუსტეს, პირღებინებას, მუცლის ტკვილს, სიყვითლეს, ალერგიულ რეაქციებს.

იფნურა - *Dictamnus caucasicus*



სად გვხვდება: კავკასიური სახეობაა. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, ღია და დაჩრდილულ ადგილებში.

რითია საშიში: ყურადღებას იპყრობს ლამაზი ყვავილებით და ვარსკვლავისებრი ნაყოფებით. არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება ბუჩქთან მიახლოება და მით უმეტეს ყვავილების ყნოსვა. დასაწყისში ადამიანი არაფერს გრძნობს, მაგრამ მეორე დღეს წარმოიქმნება დამწვრობები, რომლებიც იცვლება მოუშუშებელი წყლულებით.

სხეულის დიდ ფართობზე მიკარება ლეტალურ დასასრულს იწვევს.

კონიო - *Conium maculatum*



სად გვხვდება: მთელ საქართველოშია გავრცელებული. იზრდება ტყის პირებზე, დატბორილ მდელოებზე, კირქვიან ფერდობებზე, ხეობებში, როგორც სარველა ბოსტნებში, საცხოვრებელ სახლებთან, გზებისა და ღობისპირებზე.

რითია საშიში: ძლიერ შხამიანი მცენარეა! ძველ საბერძნეთში ითვლებოდა ოფიცინალურ შხამად, რომელსაც იყენებდნენ სიკვდილმისჯილებისათვის. ითვლება, რომ ამ მცენარით მოწამლეს სოკრატი და ფოკიონი. ჰიპოკრატეს დროიდან მას იყენებდნენ სამკურნალო დანიშნულებით.

ლემა - *Datura stramonium*



სად გვხვდება: გავრცელებულია ევროპაში, მათ შორის საქართველოში, რუსეთის სამხრეთ რეგიონებში, ჩრდილოეთ და ცენტრალურ ამერიკაში. შეუმჩნეველი მცენარეა, ნაყოფები-კოლოფები ეკლებითაა მოფენილი, შავი თესლებით. მისი თეთრი ყვავილები გამაბრუებელი სურნელით ხასიათდება.

რითია საშიში: შეიცავს ალკალოიდებს, რომლებიც იწვევს გახშირებულ გულისცემას, ორიენტაციის დარღვევას და ბოდვას. მძიმე შემთხვევებში მოსალოდნელია სიკვდილი ან კომაში ჩავარდნა. სხვადასხვა ქვეყნის შამანები ამ მცენარეს იყენებდნენ თავიანთ რიტუალებში.

ლენცოვა - *Hyosциamus niger*



სად გვხვდება: საქართველოში ყველგანაა გავრცელებული. იზრდება რუდერალურ ადგილებზე, სამოვრებზე, საქონლის სადგომებთან, გზის პირებზე.

რითია საშიში: მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია! იწვევს პირღებინებას, თავბრუსხვევას, ჰალუცინაციებს, კრუნჩხვებს და სიკვდილსაც კი.

მანდრაგორა - *Mandragora officinarum* L.



სად გვხვდება: გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, წინა და შუა აზიაში, ჰიმალაიზე.

რითია საშიში: ქენშენის მსგავსად მისი ფესურები ადამიანს მოგვაგონებს. შხამიანი მცენარეა, ძლიერმოქმედი ჰალუცინოგენი! მისი გამოყენება კატეგორიულად დაუშვებელია, ვინაიდან იწვევს უმძიმეს გვერდით მოვლენებს, სიკვდილით დაბოლოებული.

ოლეანდრე- *Nerium oleander*



სად გვხვდება: გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ რეგიონებში. გამოიყენება ლანდშაფტურ დიზაინში. ფართოდაა კულტივირებული მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. მეტად მზაკვარი მცენარეა, რომელიც ყურადღებას იპყრობს სასიამოვნო არომატით და ლამაზი ვარდისფერი და თეთრი ყვავილებით.

რითია საშიში: შეიცავს გულის გლიკოზიდებს, რომლებიც ცვლის გულის რიტმს, იწვევს პირღებინებას, თავის ტკიბვილს, სისუსტეს და სიკვდილს. არსებობს ლეგენდა, რომ ნაპოლეონის ჯარისკაცებმა, უცოდინარობით ოლენდრას ტოტებისაგან ცეცხლი გააჩაღეს და მასზე ხორცი შეწვეს. დილით ბევრმა ჯარისკაცმა ვერ გაიღვიძა.

ტილჭირის სახეობები - *Aconitum* sp



**ლურჯი ტილჭირი -
*Aconitum napellus***

**აღმოსავლეთის ტილჭირი -
*Aconitum orientale***

სად გვხვდება: ევროპაში, აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. საქართველოში 7 სახეობაა გავრცელებული. იისფერი, ლურჯი და ყვითელი ლამაზი ყვავილების გამო მათ იყენებენ დეკორატიულ მებაღეობაში, კლუმბების გასაფორმებლად. ძველ მსოფლიოში მათ ისრების შესაწამლად ხმარობდნენ.

რითია საშიში: ძლიერ შხამიანი მცენარეებია. იწვევს გულის რიტმის დარღვევას, სახის, ხელებისა და ფეხების გაშეშებას, თვალებში დაბნელებას და სიკვდილს. მცენარის წვენი ორგანიზმში აღწევს კანის მეშვეობითაც.

ძაღლის ენა - *Cynoglossum officinale*



სად გვხვდება: ევრაზიური სახეობაა. საქართველოში გავრცელებულია ტყის სარტყელში.
რითია საშიში: მცენარის ყველა ნაწილი ძლიერ შხამიანია. შესაძლებელია დისტანციური მოწამლვა ნედლი მცენარით.

ხარისთვალას სახეობები - *Paris quadrifolia*, *P. incompleta*



ნაკლოვანი ხარისთვალა
Paris incompleta

ოთხფოთოლა ხარისთვალა
Paris quadrifolia

სად გვხვდება: საქართველოში გავრცელებული სახეობებია. იზრდებიან ტყის სარტყელში.
რითია საშიში: ძლიერ შხამიანი მცენარეებია. იწვევს მეტყველების დარღვევას, კრუნჩხვებს, გულის მოქმედების შევიწროებას.

ხარისჭლიქა - *Asarum caucasicum*



სად გვხვდება: ევროპული სახეობაა. საქართველოში გავრცელებულია ტყის სარტყელში.

რითია საშიში: მცენარის ყველა ნაწილი ძლიერ შხამიანია!

ქრისტესისხლა - *Chelidonium majus*



სად გვხვდება: ევროპული სახეობაა. საქართველოში გავრცელებულია ტყის სარტყელში, ტყის პირებზე, მდელოებზე, ტენიან ადგილებზე, ხეობებში, როგორც სარეველა ბოსტნებში, დანაგვიანებულ ადგილებზე.

რითია საშიში: მცენარის ყველა ნაწილი ძლიერ შხამიანია! დამახასიათებელი ნიშანი - კაშკაშა ნარინჯისფერი რძისებრი წვენი.

შხამა - *Veratrum lobelianum*



სად გვხვდება: ევრაზიული სახეობაა. გავრცელებულია საქართველოს მაღალმთიანეთში.

რითია საშიში: სასიკვდილოდ შხამიანია. 2 გ-ის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მოწამლვა ლეტალური აღსასრულით. გულისრევა, პირღებინება, ფაღარათი, ძლიერი თავის ტკივილი, შენელებული პულსაცია მოწამლვის პირველი ნიშნებია. ძლიერი მოწამლვის შემთხვევაში ლეტალური აღსასრული 3 საათში შეიძლება დადგეს.

რძიანას სახეობები - *Euphorbia* sp



სეგიეს რძიანა
Euphorbia seguieriana

მზესმოცქირალი რძიანა
Euphorbia helioscopia

სად გვხვდება: იზრდება ყველგან. რძიანას მიეკუთვნება მრავალრიცხოვანი სახეობები, საქართველოში გავრცელებულია 44 სახეობა, რომლებიც ერთმანეთისაგან მორფოლოგიურად მკვეთრად განსხვავდებიან.

რითია საშიში: შხამიანი მცენარეებია. წვენი იწვევს დამწვრობას. მოგვიანებით ემატება შეუძლოდ ყოფნა, შეშუპება და ტემპერატურა.

თეთრი შხამა -სოკო -*Amanita phalloides*



სად გვხვდება: საქართველოს ტყის სარტყელში. ჰგავს შამპინიონს. მიეკუთვნება ფირფიტოვან სოკოების რიცხვს.

რითია საშიში: გამოირჩევა მაღალი შხამიანობით. მოწამლვის ნიშნები იწყება მიღებიდან 8-10 საათში. სასიკვდილო დოზა მერყეობს 15-მდე სოკოს მიღებით.

წითელი შხამა-სოკო - *Amanita muscaria*



სად გვხვდება: საქართველოს ტყის სარტყელში. მიეკუთვნება ფირფიტოვან სოკოების რიცხვს.

რითია საშიში: გამოირჩევა მაღალი შხამიანობით. მოწამლვის ნიშნები იწყება მიღებიდან 5-6 საათში, აღინიშნება კუჭის მწვავე მოვლითი ტკივილები, ნერწყვის გამოყოფა, პირღებინება, კრუნჩხვები და ბოდვა. სასიკვდილო დოზა მერყეობს 15-მდე სოკოს მიღებით.

ციკუტა - *Cicuta virosa*



სად გვხვდება: ევროპაში, აზიაში და ჩრდილოეთ ამერიკაში. გავრცელებულია საქართველოშიც. იზრდება ტენიან ადგილებში, ჭაობებში და მდინარეების ნაპირებზე. გამოირჩევა სტაფილოს სურნელით, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი მცენარეა მთელ დედამიწაზე. მისი გარჩევა ქოლგოსანთა სხვა წარმომადგენლებისაგან

მხოლოდ ბოტანიკოსს ძალუძს. ყველაზე უმჯობესია არ მიეკაროთ მსგავს მცენარეებს.

რითია საშიში: მოწამლვის შემთხვევაში წარმოიქმნება პირღებინება, კრუნჩხვები, გულის მოქმედების დათრგუნვა, შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილიც. ფესურის სულ 100-200 გრამი კლავს ძროხას.

შმაგა - *Atropa belladonna*



სად გვხვდება: ჩრდილოეთ აფრიკაში, ევროპაში, რუსეთის სამხრეთ ნაწილში, მცირე აზიაში. საქართველოში გავრცელებულია კავკასიის ენდემური სახეობა - კავკასიური შმაგა (*Atropa caucasica*), რომელიც ევროპული სახეობის იდენტური მნიშვნელობით ხასიათდება. ბუჩქია შავი პრიალა ნაყოფებით და ვარდისფერი ყვავილებით.

რითია საშიში: მსუბუქი მოწამლვისას ვლინდება პირის სიმშრალე და წვა, გახშირებული გულისცემა. მძიმე მოწამლვისას - ორიენტაციის სრული დაკარგვა, კრუნჩხვები და სიკვდილი.

უთხოვარი - *Taxus baccata*



სად გვხვდება: ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში, საქართველოში.

რითია საშიში: შხამიანია მისი ყველა ნაწილი: ნაყოფები, წიწვები, ქერქი, მერქანი. განსაკუთრებით კი თესლები. ადამიანისათვის სასიკვდილო დოზას წარმოადგენს 50 გ მისი შენაერთის. მოწამლვის ნიშნებია დამძიმებული სუნთქვა, კრუნჩხვები, კომა. სიკვდილს იწვევს გულის გაჩერება, ამასთან ისე სწრაფად, რომ ინტოქსიკაციის ნიშნები სრულად ვერც ვლინდება.

[https://www.adme.ru/svoboda-puteshestviya/11-strashno-yadovityh-rastenij-o-kotoryh-neobhodimo-znat-kazhdomu-1519865/;](https://www.adme.ru/svoboda-puteshestviya/11-strashno-yadovityh-rastenij-o-kotoryh-neobhodimo-znat-kazhdomu-1519865/)

https://pikabu.ru/story/yadovitye_rasteniya_6901382

პირველადი დახმარება შხამიანი მცენარეებით მოწამლვისას

პირველი დახმარება ადამიანს, რომელმაც შემთხვევით შეჭამა შხამიანი მცენარე, ან შეისუნთქა მანვე ეთერზეთები, ან ხელი მოკიდა საშიშ ყვავილს - მნიშვნელოვანი თემაა. შხამიანი მცენარეებით მოწამლვას უფრო ხშირად ადგილი აქვს გაზაფხულზე ან ზაფხულის განმავლობაში. მრავალი პრობლემის მიზეზი ის ხდება, რომ ზოგიერთი ნაყოფები და კენკროვნები, რომლებიც მიმზიდველი იერსახით გამოირჩევიან, შეცდომით შეიძლება საკვებად იქნეს გამოყენებული. ეს თემა აქტუალურია იმ ადამიანებისთვისაც, ვისაც პატარა ბავშვები ან შინაური ცხოველები ჰყავთ. განსაკუთრებით საშიშია ის მცენარეები, რომლებიც მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

შხამიანი მცენარეები, რომლებიც სხვებთან შედარებით უფრო ხშირადაა გავრცელებული საქართველოს ტყეებსა თუ ველებზე, განსაკუთრებულ ყურადღებას და სიფრთხილის დაცვას საჭიროებს, მათგან აღსანიშნავია: **აკონიტი**, **ტილჭირი** - იწვევს კრუნჩხვებს, თავბრუსხვევას, ცნოიერების დაკარგვას

- **დეზურა** - მოწამლვის ნიშნები - სუნთქვის დარღვევები და წნევის დაცემა, კრუნჩხვები, გულის მოქმედების დარღვევები.
- **კონიო** - დოზის სულ მცირე გადაჭარბება ლეტალურ დასასრულს იწვევს.
- **ლემა** - იწვევს პირღებინებას, თავბრუსხვევას, ჰალუცინაციებს, კრუნჩხვებს და სიკვდილსაც კი.
- **ლენცოფა** - მცენარე ძლიერ შხამიანია! ყველა პრეპარატი მაღალი აქტიურობით გამოირჩევა, რის გამოც მიღებისას უკიდურესი სიფრთხილეა საჭირო
- **მწვავე ფუნთუშა** - დოზის გადაჭარბება იწვევს საჭმლის მომწელებელი სისტემის აშლილობას, სუნთქვისა და გულის მოქმედების დარღვევას.
- **მაჯალვერი** - მაღალი **ტოქსიკურობიდან** გამომდინარე, გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

- **მარიამსაკმელა** - იწვევს დეპრესიას, კრუნჩხვებს, ჰალუცინაციებს, სხეულის ტემპერატურის ვარდნას, მამოძრავებელი აპარატის დამბლას.
- **მინდვრის ხვართქლა** - მოწამლვის შემდეგ იწყება გულისრევა და მუცლის ტკივილები.
- **სათითურა** - მისი მიღების შემდეგ იწყება კუჭის აშლილობა, ვლინდება შეშუპება და გულის კუნთის შეკუმშვა.
- **მედგარა** - აზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს, არღვევს თირკმელების ფუნქციას, იწვევს კრუნჩხვებს და სუნთქვის დარღვევას.
- **საპონა** - მცნარის ყველა ნაწილი, განსაკუთრებით ფესვები **შხამიანია!** შინაგანი მიღებისას იწყება პირღებინება, მუცლის ტკივილები, კუჭის აშლილობა, ხველება.
- **სკოპოლია** - ზოგიერთ შემთხვევაში ჩვეულებრივი დოზა იწვევს აღზნებას, ჰალუცინაციებს და სხვა გვერდით მოვლენებს.
- **ტყის ჩიტისთვალა** - გადაჭარბება იწვევს პირღებინებას, თავის ტკივილებს, თავბრუსხვევას, ლეტალურ აღსასრულს.
- **ჩადუნა**, მოწამლვის ნიშნები: კუჭის აშლილობა, კრუნჩხვები, მხედველობის დარღვევა, გულის მოქმედების დათრგუნვა.
- **ჭვაველა** - იწვევს ძლიერ ტკივილებს, კრუნჩხვებს და სიკვდილსაც.
- **ციკუტა** - იწვევს თავბრუსხვევას, კრუნჩხვებს, წყურვილს, სასუნთქი ცენტრის დამბლას.
- **შავთარა** - იწვევს ხშირ მარდდენას, მუცლის არეში ჩხვლეტით ტკივილებს, დიარეის.
- **შხამა** - იწვევს კუჭის აშლილობას, სუნთქვისა და პულსის შენელებას, მხედველობის დასუსტებას.
- **შმაგა** - იწვევს პირღებინებას, თავბრუსხვევას, ჰალუცინაციებს, კრუნჩხვებს და სიკვდილსაც კი.
- **ხარისთვალა** - იწვევს მეტყველების დარღვევას, კრუნჩხვებს, გულის მოქმედების შევიწროებას.
- **ქრისტესისხლა** - იწვევს ნერვული დაბოლოებების დამბლას.

შხამიანი მცენარეებით მოწამლვის პირველადი დახმარების ხერხები

მცენარეებით მოწამლვის შემთხვევაში ექიმის გამოძახებამდე, აუცილებელია ორგანიზმიდან შხამის სწრაფი გამოდევნა, რაც უფრო სწრაფად მოხდება ეს, მით უფრო ნაკლები იქნება შემდგომი უარყოფითი შედეგები.

ორგანიზმიდან შხამის გამოსადევნად უმთავრესია პირღებინების გამოწვევა, რაც შემდგენაირად მიიღწევა:

- დაზარალებულს მიეცით რამდენიმე (4-5) ჭიქა თბილი მარილიანი წყალი;
- კოვზის ყუნწით ან თითით დააჭირეთ ენის წვერზე, რომ გამოიწვიოთ პირღებინება;
- ეს ხერხი რამდენჯერმე გაიმეორეთ, რათა სრულად გამოიდევნოს ორგანიზმიდან შხამი;
- დაზარალებულს მიეცით ნებისმიერი ადსორბირებული პრეპარატი (ყველაზე ხშირად ხმარობენ აქტივირებულ ნახშირს - 1 ტაბლეტი 10 კგ წონაზე);
- ამ პროცედურის შემდეგ საჭიროა კუჭის ამორეცხვა ძალიან დაბალი კონცენტრაციის პერგამენტის ხსნარით ან თბილი რძით, ამასთან ერთად მიეცით საფაღარათო საშუალება.
- პირველი დახმარების შემდეგ აუცილებელია მაქსიმალურად ოპერატიულად საავადმყოფოში გადაყვანა. განსაკუთრებით ეს სწრაფად უნდა მოხდეს იმ მცენარეებით მოწამლვის შემთხვევაში, რომლებიც მოქმედებენ გულზე და ნერვულ სისტემაზე.

დაიმახსოვრეთ აქ მითითებული სიმპტომები და პირველი დახმარების წესები - ამის ცოდნით თქვენ გადაარჩენთ ადამიანის სიცოცხლეს რთულ და საშიშ სიტუაციაში!

შხამიანი მცენარეების როლი ფიტოთერაპიაში

სამკურნალო მცენარეები ადამიანისთვის უხსოვარი დროიდანაა ცნობილი. ჯერ კიდევ კაცობრიობის განთიადზე ადამიანთა წინაპრები არჩევდნენ საკვებ, სამკურნალო და შხამიან მცენარეებს. მცენარეების თვისებებზე მონაცემების დაგროვების საფუძველზე ადამიანებმა დაიწყეს სამკურნალო მცენარეების გამოყენება. ამჟამად, სხვადასხვა დანიშნულების წამლებს შორის, დაახლოებით 1/3 მიიღება სამკურნალო მცენარეებისაგან. სამედიცინო პრაქტიკი სათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია პრეპარატები, რომლებსაც ღებულობენ ქიმიური სინთეზის შედეგად და მცენარეული წარმოშობის საშუალებები.

სამკურნალო მცენარეული ნედლეული - ესაა სწორად გამშრალი, იშვიათად ნედლი სამკურნალო მცენარეები (ან მათი ნაწილები), რომლებსაც იყენებენ სამკურნალო საშუალებების დასამზადებლად. სამკურნალო მცენარეების უმეტესობა ველურად მოზარდი სახეობებია. ზოგიერთი მათგანი მოჰყავდათ და მოჰყავთ კულტურაში.

მცენარეების შხამიანობა დამოკიდებულია მათში ქიმიური ნივთიერებების შემცველობაზე, უფრო ხშირად ისინი შეიცავენ ალკალოიდებს, საპონინებს, გლიკოზიდებს, ორგანულ მჟავებს და სხვ. ამასთან ამ შენაერთებს შეიცავს როგორც მთელი მცენარეები, ასევე მისი ცალკეული ორგანოები. ეს ნივთიერებები და შესაბამისად მცენარეები ნაირგვარად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. გლიკოზიდების, ალკალოიდების დიდი ჯგუფი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული მოქმედებით გულზე, ფილტვებზე, ღვიძლზე. მცენარეები, რომლებიც ამ ნივთიერებებს შეიცავს იწვევს გულის მოქმედების დარღვევას, სუნთქვის შეფერხებას, ჰალუცინაციებს, ზოგჯერ სიკვდილსაც. ასეთ მცენარეებს მიეკუთვნება თეთრი აკაცია (შხამიანია თესლები, ფესვები და ქერქი), ანაბაზისი (შხამიანია მთელი მცენარე), ლენცოფა, ლემა, ძირმწარა, შროშანა (ძლიერ შხამიანია ნაყოფები და თესლები) და მრავალი სხვ.

შხამიანი მცენარეები მცირე დოზით იწვევს სამკურნალო მოქმედებას, ამდენად სახეობები რომლებიც შეიცავს ამ ნივთიერებებს,

ერთდროულად წარმოადგენენ სამკურნალო მცენარეებსაც, რომელთა გამოყენება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და აუცილებელ რეკომენდაციებს სპეციალისტებისაგან.

ხალხურ მედიცინაში მცენარეების მძიმე დაავადებების მკურნალობის მრავალწლოვანი ცდები, მათ შორის შხამიანებისაც, გამოხატულია თანამედროვე ფარმაცოთერაპიაშიც. მცენარეულ შხამებს მცირე დოზებში აქვთ მნიშვნელოვანი სამკურნალო თვისებები. მაგალითად, ცნობილი თანამედროვე სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატები მცენარეულ საფუძველზეა დამზადებული: ვინკრისტინი - ვარდისფერი კატარანტუსის ალკალოიდიდან, კოლხიციინი - უცუნას ტუბერბოლქვების ალკალოიდიდან მზადდება, პოდოფილინი - შეიცავს ფარისებრი ფეხფოთოლას ფესვების ნივთიერებებს. გულსისხლძრვთა დაავადებებისას გამოყენებული მრავალი პრეპარატი დამზადებულია შხამიანი მცენარეების - შროშანას, სათითურას, ცხვირისატეხელას, ხარისძირასა და სხვ. მცენარეებისაგან. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა მრავლად შეიძლება (**დაწვრილებითი მონაცემები იხილეთ წინამდებარე შრომაში**).

ქართულ ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან სამკურნალოდ იყენებდნენ ძლიერმოქმედ შხამიან მცენარეებს: ტილჭირს, კონიოს, ციკუტას, ნემსიწვერას, ჩვეულებრივ მათიტელას, აზინდას, ქრისტესისხლას და სხვ.

მძიმე დაავადებების ფიტოთერაპიისათვის, მათ შორის ძლიერმოქმედი ბალახებით, აუცილებელია სპეციალისტ-ფიტოთერაპევტის რეკომენდაცია, რომელიც შეარჩევს საბაზისო არატოქსიკურ ნაკრებს და აუცილებლობის შემთხვევაში დამატებით დაუნიშნავს ძლიერმოქმედი ბალახების ნაყენს, მკაცრად განსაზღვრული დოზით.

P.S. მცენარეთა შეგროვებისა და გამოყენებისას მუდმივად უნდა გახსოვდეთ, რომ ზოგიერთი მათგანი შეიცავს ძლიერმოქმედ შხამიან ნივთიერებებს, რომლებიც ორგანიზმისთვის მავნეა და უაღრესად საშიში! უნდა ისიც გაითვალისწინოთ, რომ მცენარეთა უმრავლესობა არ კარგავს ტოქსიკურ მოქმედებას გაშრობის ან თერმული დამუშავების შემდეგაც. ხოლო არასწორად გამოყენებისა

და თვითმკურნალობის შემთხვევაში მრავალმა არაშხამიანმა მცენარემაც შეიძლება გამოიწვიოს მოწამლვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შხამიანი მცენარეების დამზადებასა და მათგან სამკურნალო საშუალებების მომზადებას. დაუშვებელია სახლის პირობებში ნაყენებისა და ნახარშების დამზადება იმ მცენარეებისაგან, რომლებიც შეიცავს ძლიერმოქმედ ნვთიერებებს, ესენია: ეფედრა, იფნურა, იაპონური სოფორა, იპეკო, ლანცეტა თერმოფსისი, ლენცოფა, ლემა, ლიკოპოდიუმი, ნიუკა, სკოპოლია, შმაგა, სტეფანია, ტილჭირი, ხე-ბალახა, ხარისთვალა, ხარისჩლიქა, რძიანა, წითელი სათითურა, ტეგანი, ტყის ჩიტისთვალა, შხამა, ჩვეულებრივი თავკომბალა, ქუჩულა, ძალყურძენა და სხვ. ასეთი მცენარეებისაგან წამლები მხოლოდ აფთიაქებში მზადდება ან ამით დაკავებულნი არიან პრაქტიკული გამოცდილების პროფესიონალები - ჰომეოპათები და ფიტოთერაპევტები.

დიდი სიფრთხილით მოეკიდეთ შხამიან მცენარეებთან ურთიერთობას, რაც შეიძლება მეტად საშიში აღმოჩნდეს თქვენი სიცოცხლისათვის!!!

გაითვალწინეთ, რომ მათი გამოყენება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით და მეთვალყურეობითაა შესაძლებელი!!!

შხამიანი მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა ტრადიციულ და ოფიცინალურ მედიცინაში

ჩვენს მიზანს შეადგენდა იმ შხამიანი მცენარეების წარმოჩენა, რომლებსაც ფიტოთერაპიაში და ჰომეოპათიაში სხვადასხვა დანიშნულებით იყენებენ. შეგროვილია ცნობები საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულ და ინტროდუცირებულ 100 სახეობის შხამიან მცენარეზე, რომლებიც ხასიათდებიან ანტისეპტიკური, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, ანტისიმსივნური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებით.

გთავაზობთ მონაცემებს აღნიშნული ჯგუფის მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობაზე.

აბზინდა - *Artemisia absinthium* L.

ოჯ. რთულყვავილოვანი - Fam. Compositae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 1 მ-მდე სიმაღლის მცენარეა მონაცრისფრო ქეჩისებრ სქლად შებუსუსული. ქვედა და ვეგეტატიური ყლორტების ფოთლები გრძელყუნწიანია, მორიგეობით განლაგებული. ფოთლის ფირფიტა ორმაგ-სამმაგ ფრთისებრ განკვეთილია ლანცეტა ფორმის ან მოგრძო, წაწვეტებულ ნაკვეთლებად; კალათები წვრილია, ნახევარსფერულია, 3-5 მმ დიამეტრის, მჭიდროდაა განწყობილი გვერდით ტოტებზე, რომლებიც გრძელ საგველასებრ

ყვავილედებს ქმნიან. გვირგვინი მილისებრ-ზარისებრია, შიშველი; კალათაში ყველა ყვავილი სანაყოფეა, ყვითელი ფერის. ნაყოფი წვრილი თესლურაა. ყვ. VIII-X; ნაყ. IX-X. ხასიათდება ძლიერი სპეციფიური სუნით და მწარე გემოთი.

საქართველოში ბუნებრივადაა გავრცელებული, იზრდება რიყნარებზე, რუდერალურ ადგილებზე. სამედიცინო მიზნებისთვის იყენებენ ფოთლებს და ყვავილიან კენწეროებს (ბალახს). შეიცავს ეთერზეთებს, მწარე გლიკოზიდებს, ფლავონოიდებს, მინერალურ მარილებს, ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ასკორბინის მჟავას და კაროტინს.

აუმჯობესებს მადას, საჭმლის მონელების პროცესს. ხასიათდება ანტიისმისივური, ანტიმიკრობული, ანტიჰელმინტური, ანტიპროტოზოული, ანტიოქსიდანტური, ეპატოპროტექტორული, ტკივილგამაყუჩებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. იხმარება საჭმლის მონელების დარღვევის, მაღალი მჟავიანობის, მუცლის ჭიის, გასტრიტის, მეტეორიზმის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, ელენთის სიმსივნის, ანემიის დროს. აზზინდას ნაყენი ან ფხვნილი აქრობს უსიამოვნო სუნს პირიდან. შედის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციის გამაუმჯობესებელ წვეთებში, მადისმომგვრელ, მეტეორიზმის საწინააღმდეგო და ნაღვლისმდენ ნაკრებებში. მოქმედებს როგორც ტკივილგამაყუჩებელი ძარღვების დაჭიმვის, ამოვარდნილობის, მსხვილი ნაწლავის სპაზმის და ანთების დროს. ამზადებენ მწარე ნაყენს, წყლის ექსტრაქტს, იყენებენ მრავალი ქვეყნის ტრადიციულ მედიცინაში და ჰომეოპათიაში.

უკუჩვენებები: არასწორმა და ზედმეტი დოზით გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს კრუნჩხვები, ჰალუცინაცია, პირღებინება და ჭკუაზე შემლაც კი.

აბრეშუმა - *Cuscuta europaea* L.

ოჯ. აბრეშუმისებრნი - Fam. Cuscutaceae



ამ გვარის სახეობები ერთწლოვანი პარაზიტი უქლოროფილო მცენარეებია წვრილი, მოყვითალო ან მოვარდისფრო ღეროთი, რომელიც მისაწოვრების საშუალებით გარს ეხვევა მკვებავ მცენარეს, ფესვი და განვითარებული ფოთოლი მათ არა აქვთ. მითითებული სახეობა პარაზიტობს ჯინჭარზე, ანწლზე და სხვა ველურად მოზარდ ბალახოვან მცენარეებზე, ზოგჯერ ბუჩქებზეც.

ბალახოვან ნაწილს სამკურნალო მიზნებისათვის აგროვებენ აქტიური ყვავილობის პერიოდში (მაისის ბოლოს), ხოლო თესლებს სრული სიმწიფისას (სექტემბერში). ბალახი შეიცავს ალკალოიდებს - კუსტანინს და კონვოლვულინს, გლიკოზიდ კუსკუტინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფიტოსტერინს, ფლავონოიდებს, ფლობაფენს, ლეიკოანთოციანებს, პენტოზანს, კვერცეტინს, ანთოციანებს, შაქარს, ნახშირწყლებს, წყალსა და სხვ. თესლში აღნოჩენილია ძლიერ შხამიანი ნივთიერება - საპონინი.

მცენარე ხასიათდება სასაქმებელი, შარდმდენი და გამაუმტკივნეული მოქმედებით. ნაყენი გამოიყენება გაციების, კუჭისა და ღვიძლის დაავადებების, თავისა და კბილის ტკივილის, მტკივნეული მენსტრუაციის, კანზე გამონაყრების დროს. თესლის ნახარში ამადლებს იმუნიტეტს, ამღიერებს შარდ-სასაქესო სისტემის ფუნქციას, დადებითად მოქმედებს ზურგის ტვინისა და ნერვული სისტემის ორგანოებზე, აუმჯობესებს უჯრედების კვებას და ამადლებს ქიმიური პროცესების ნორმალურ ცირკულაციას; ერთ-ერთი საუკეთესო

საშუალებათა გენიტალური კუნთების გამაგრების, რაც მეტად მნიშვნელოვანია მამაკაცებში პოტენციის დაქვეითების და ქალებში სასქესო ორგანოების კუნთების სისუსტის შემთხვევაში.

ხალხურ მედიცინაში ბალახის ნაყენი გამოიყენება საშვილოსნოს დაწვეისა და საშვილოსნოდან სისხლდენებისას; ნახარში - ალკოჰოლიზმის, ფსიქიური აშლილობების, გულის ტკივილების, კუჭის კიბოს, ძლიერი ქავილის დროს, ბალახის მალამოს ხმარობდნენ **კანის კიბოს** სამკურნალოდ.

უკუჩვენებები: შხამიანი მცენარეა, მისი გამოყენება ექიმთან შეუთანხმებლად დაუშვებელია. კატეგორიულად აკრძალულია - დიაბეტისა და სიმსუქნის შემთხვევაში.

აბუსალათინი - *Ricinus communis* L.

ოჯ. რძიანასებრნი - Fam. Euphorbiaceae



მრავალწლოვანი მერქნოვანი მომწვანო-იისფერი შეფერილობის, 10-13 მ სიმაღლისა და 30-50 სმ სისქის მცენარეა; სამხრეთ ევროპაში წარმოადგენს 2-3 წლოვან 3-5 მ სიმაღლის ბუჩქს; ზომიერ ქვეყნებში მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი, 2 მ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარე. ღერო დამუხლულია, ღრუ, დატოტვილი. ფოთოლთგანლაგება მორიგეობითია, ფოთოლი გრძელყუნწიანია, თათისებრდანაკვეთული, 7-9 ნაკვეთილებად. ერთბინიანი მცენარეა, ყვავილები ერთსქესიანია, ტოტების ბოლოებსა და ფოთლების უბეებში კუმს მტევნებად შეკრებილი; მამრობითი ყვავილები მტევნის ქვედა ნაწილშია თავმოყრილი, მდედრობითი კი ზედა

ნაწოლში. ნაყოფი სამზადიანი კოლოფია, სფეროსებრი ან წაგრძელებული, ხშირად ხორკლიანი, თითოეულ ბუდეში თითო თესლია, 8-20 მმ სიგრძის, ოვალური, პრიალა, მონაცრისფრო, მოწითალო-მურა ლაქებით, ზოლებითა და წერტილებით, ფორმით და მოხატულობით ტკიპს მოგვაგონებს; აქედანაა მცენარის რუსული სახელწოდება “клевещина”. ყვ. VII-VIII; ნაყ. IX. ტროპიკული და სუბტროპიკული ქვეყნების კულტურაა. სამშობლოდ მიიჩნევენ ტროპიკულ აფრიკას. უძველესი სამკურნალო მცენარეა; სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება თესლები, მისგან მიიღება სასაქმებელი ზეთი, რომლის სამკურნალო თვისებებს იცნობდნენ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. შეიცავს ცილებს, გუმფისს, ფისებს, ეთერზეთებს, ალკალოიდ რიცინს, რიცინინომს, ლიპაზას და სხვ. აბუსალათინის ზეთის ძირითადი კომპონენტია რიცინის მჟავის გლიცერინი, აგრეთვე ოლეინის, ლინოლინისა და სხვა ცხიმოვანი მჟავები.

აღმოსავლეთის ხალხური მედიცინა ზეთს იყენებდა როგორც კონტრაცეპტივს და ანტიდოტს მოწამლვის სხვადასხვა შემთხვევების დროს; ზოგიერთი ხალხური მკურნალი კი მიიჩნევდა, რომ თესლების ნაყენი სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებით გამოირჩევა.

აბუსალათინის ზეთი უსაფრთხო სასაქმებელი საშუალებაა; იხმარება ოფთალმოლოგიურ და გინეკოლოგიურ პრაქტიკაშიც; რეკომენდებულია წყლულების, დამწვრობების სამკურნალოდ, კანის დასარბილებლად საცხებისა და ბალზამების სახით. ხელს უწყობს თმის ზრდას.

ზეთი ემულსიის სახით გამოიცემა კაპსულებსა და ფლაკონებში; შედის ვიშნევსკის ბალზამის ლინიმენტის შემადგენლობაში, რომელიც გამოიყენება ნაწოლების, წყლულების, დამწვრობის, კანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; აეროზოლი “კამფომენი” თავის შემადგენლობაში შეიცავს აბუსალათინის ზეთს. უროლოგიაში ხშირად უნიშნავენ ამ ზეთის შემცველ კომპლექსურ პრეპარატს “უროლესანს”.

უკუჩვენება: მცენარის ყველა ნაწილი, განსაკუთრებით თესლი შხამიანია. აბუსალათინის ზეთი უკუმაჩვენებელია მუცლის აკვისა და

მუცლის ღრუს მწვავე ანთებითი დაავადებებისა და ორსულობის პერიოდში.

ანწლი - Sambucus ebulus L.

ოჯ. ცხრატყავასებრნი - Fam. Caprifoliaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 1-1,5 მ-მდე სიმაღლის მცენარეა. ფოთლები რთულია, 5-9 ფოთოლაკიანი, თითოეული მათგანი ლანცეტაა, თავწაწვეტებული და კიდეხერხკბილა. ყვავილები თეთრია, სამტოტიან ქოლგის მსგავს საგველად შეკრებილი. ნაყოფი მუქი შავი, პრიალა კენკრაა. მესამეული პერიოდის რელიქტური სახეობაა, საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, იზრდება ტყის სარტყელში, ზოგჯერ ქმნის რაყებს. უმთავრესად სახლდება ადამიანის სამეურნეო მოქმედების შედეგად წარმოქმნილ მეორად ადგილსამყოფლებში. ყვ. VI-VII; ნაყ. IX – X.

სამკურნალოდ გამოიყენება ფესვი, ფოთლები, ნაყოფები. შეიცავს მთრიმლავ, მწარე, პექტინოვან და საღებავ ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს - ვალერიანის, ვაშლის, ღვინის, ციანოგენურ გლიკოზიდ-ამიგდალინს, ვიტამინ C. ყვავილებში აღინიშნება ეთერზეთები, შაქრები, ამიგდალინი.

ხასიათდება ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული, შარდმდენი, ოფლმდენი, ერითროპოეზის გამაძლიერებელი, ამოსახველებელი, მადისმომგვრელი, საფალარათო მოქმედებით. გამოიყენება ნევრალგიის, ანემიის, ზემო სასუნთქი გზების კატარის, ნიკრისის ქარის, ტუბერკულოზის, მსხვილი ნაწლავის ანთების, ბუასილის სამკურნალოდ.

უკუჩვენება: მცენარე შხმიანია, ნედლი სახით მიღება დაუშვებელია!

არხისპირა წყლის - *Oenanthe aquatica* (L.) Poir.

ოჯ. ქოლგოსანნი - Fam. Umbelliferae



ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 40-150 მ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი, ფესვები წვრილია, ვრცელდება დიდ ფართობზე, რითიც ღებულობენ აუცილებელ საკვებ ნივთიერებებს ჭაობიანი ნადაგის ზედაპირიდან. მცენარისათვის დამახასიათებელია წყლის ზედაპირული ფოთლები, რომლებიც მრავალმხრივ განკვეთილია და წყლისქვეშა ფოთლები - ძაფისებრი ნაკვეთულეებით. ყვავილები წვრილია, თეთრი, შეკრებილია უბისეულ ფარისებრ ქოლგებად, დიამეტრით 10 მმ, 8-15 შიშველი სხივებით. თესლი მოგრძო-ელიფსურია, 5 მმ სიგრძის. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX. იზრდება მდინარეებისა და ტბების ნაპირებზე, დატენიანებულ მდელოებზე. გავრცელებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

სამკურნალოდ გამოიყენება ნაყოფები. მას აგროვებენ მომწიფების კვალდაკვალ, შემოდგომაზე. მისი ძლიერი შხამიანობიდან გამომდინარე, მკრეფავები სპეციალური სამოსით უნდა იყვნენ აღჭურვილნი. თესლები შეიცავს შხამიან ფისოვან ნივთიერებას ენანტოტოქ-

სინს, ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია შხამიანი კომპონენტი - ტერპენი ფელანდრენი, 20%-მდე ცხიმებს, ფენოლებს, კუმარინებს, პოლიაცეტინურ შენაერთებს.

თესლები შედის ჰომეოპათიურ საშუალებებში, რომლებიც ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, ამოსახველებელი, დამამშვიდებელი, დიურეზული და ოფლმდენი თვისებებით. ხალხურ მედიცინაში ნახარში ოდითგანვე გამოიყენებოდა წყლის შიშის დასაძლევად, ანთების, მეტეორიზმის, ბრონქიტის, სისხლიანი ნახველის, მეტეორიზმისა და თავს ტკივილების დროს.

უკუქმედება: ძლიერ შხამიანი მცენარეა!!!

ასფურცელა - *Tanacetum vulgare* L.

ოჯ. რთულყვავილოვანი - Fam. Compositae



მრავალწლოვანი 80-120 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ღერო სწორმდგომია, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძოკვერცხისებრი, ფრთისებ-რგანკვეთილი, დასრესვისას ძლიერ სურნელოვანი. ყვავილი ყვითელია, წვრილი, მილისებრი, შეკრებილია კალათებად, რომლებიც ღეროს ზედა ნაწილში წარმოქმნის ხშირ ფარისებრ ყვავილედს. ნაყოფი წვრილი თესლურაა, ბაცი ჩალისფერი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

საქართველოში ბუნებრივად იზრდება სტეპებზე, მშრალ ფერდობებზე. სამკურნალო ნედლეულს ძირითადად ყვავილები წარმოადგენს, თუმცა ხალხურ მედიცინაში მოყვავილე ყლორტებიც

გამოიყენება. შეიცავს ეთერზეთებს, ალკალოიდებს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ და მწარე (ტანაცეტინს) ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, კაროტინს. ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული, ანტიეპტიკური, მთრიმლავი, შემკვრელი, ნაღველმდენი, შარდმდენი, ჭიისდამდენი, ჭრილობების შემახორცბელი, საჭმლის მონელებისა და მადის გამაუმჯობესებელი მოქმედებით.

ტრადიციულად გამოიყენება როგორც კარგი ჭიისმდენი საშუალება ასკარიდების, სოლიტერების, ლამბლიებისა და სხვა პარაზიტების საწინააღმდეგოდ; მატონიზირებელია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუსკულატურის, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას, მადას; რეკომენდირებულია კუჭ-ნაწლავის დაავადებების, გასტრიტის, განსაკუთრებით დაბალი მჟავიანობის დროს, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ნაწლავების ანთების, მეტეორიზმისა და სუსტი პერისტალტიკის, ფადრათის სამკურნალოდ; აგრეთვე როგორც ნაღველმდენი და ანთების საწინააღმდეგო საშუალება ღვიძლის, ჰეპატიტისა და ლამბლიოზის დაავადებებისას, აძლიერებს გულის მუშაობას, ამაღლებს არტერიალურ წნევას, დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვული აშლილობის, ეპილეპსიის, ისტერიის, ფეხების კრუნჩხვის, თავის ტკივილებისას. შარდმდენი მოქმედებით გამოირჩევა წყალმანკის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთების შემთხვევაში; მას ღებულობენ უხვი მენსტრუაციის, თეთრი შლის დროს.

ხალხური მკურნალები იყენებენ ანთების საინააღმდეგო საშუალებად გრიპის, ციების, კანკალის, შეციების, ფილტვების ტუბერკულოზის სამკურნალოდ.

ასფურცელას ნაყენი გამოიყენება ავთვისებიანი სიმსივნეების დროს, როგორც შინაგანად, ასევე გარეგანად - საფენების სახით.

უკუქმედება: ტოქსიკურობის გამო, დიდი სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული. დაუშვებელია მისი ხანგრძლივად მიღება.

აღმოსავლური ბიოტა – *Platycladus orientalis* (L.) Franco
(=*Biota orientalis* (L.) Endl.)

ოჯ. კვიპაროზისებრნი - Fam. Cupressaceae



მონოტიპური სახეობაა, მარადმწვანე, ერთსახლიანი, წიწვოვანი 5-10 მ-მდე სიმაღლის ხე.

ნატურალიზებულია მთელ მსოფლიოში. ჩინური ბუდისტური ფილოსოფია ბიოტას აკავშირებს დღეგრძელ სიცოცხლესა და ენერგიასთან. მიიჩნევენ, რომ ბუდისტურ ტაძრებთან მოზარდი ზოგიერთი მსხვილი ნიშუშები დარგულ იყო 1000-ზე მეტი წლის წინათ. ფოთლები და მერქანი შეიცავს ეთერზეთებს - პინენს (55-60%), სესკვიტერპენოიდებს (ვიდლენი, კარიოფილენი, ცედროლი, არომადენდრენი), პინიპიკრინს, პილენს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს. გარდა ამისა, მერქანში აღინიშნება არომადენდრინი, ტოკსიფოლინი, თესლებში - ცხიმოვანი და ეთეროვანი ზეთები. ეთერზეთების ერთ-ერთი კომპონენტი ხინიკიტიოლი, ანტისოკოვანი მოქმედებით გამოირჩევა.

ბიოტისაგან მიღებული სამკურნალო პრეპარატები ოფიცინალურად გამოიყენება ჩინურ მედიცინაში, დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ჰომეოპათიაში. თესლის გული მატონიზირებელი და დამამშვიდებელი მოქმედებიდან გამომდინარე იხმარება ბრონქიტისა და ბრონქიალური ასთმის სამკურნალოდ; ქერქლოვანი ფოთლები როგორც შემკვრელი და სისხლდენის შემამჩერებელი საშუალება - სისხლიანი ხველების, ცხვირიდან, ნაწლავებიდან, ელენთი-

დან და საშვილოსნოდან სისხლდენების, დიზენტერიისა და ბრონქიალური ასთმის შემთხვევაში. მცენარის ყველა ნაწილის 10%-იანი ნაყენი გარეგანად იხმარება წითელი ქარის დროს, ნორჩი ყლორტების ნაყენი კი გამოიყენება თირკმელების, ღვიძლის, ყივანახველის, კუჭის აშლილობის, რევმატიზმის, ნიკრისის ქარისა და ოსტეოხონდროზის სამკურნალოდ; ფოთლების სპირტიანი ექსტრაქტი თრგუნავს ტუბერკულოზის ჩხირების ზრდას კონცენტრაციით 1:80000, წყლიანი ექსტრაქტი 1:100 კონცენტრაციით.

უკუქმედება: მცენარე სუსტად შხამიანია, გამოყენებისას გაითვალისწინეთ ექიმის რჩევები. უკუმარვენებელია ფეხმძიმე ქალებისათვის.

ბაყაყურა - *Silybum marianum* (L.) Gaertn.

ოჯ. რთულყვავილოვანი - Fam. Compositae



ორწლოვანი ეკლიანი, 1,5-2 მ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები დიდი ზომისაა, ფართო ლანცეტა, ნაპირებზე ეკლებიანი კბილებით შემოსილი, ძარღვების გასწვრივ თეთრლაქებიანი. ყვავილები წითელია, მილისებრი, შეკრებილია კალათებად, საბურველი სფერულია, კრამიტისებრ განლაგებული ფოთლებით, თითოეული მათგანი მსხვილი ბრტყელი ეკლითაა დაბოლოებული. ნაყოფი ქოჩრიანი თესლურაა. ყვ. V-VII; ნაყ. VI-IX. იზრდება უშენ ადგილებზე, ნათესებში, ბოსტნებში. საქართველოში ფართოდ გავრცელებული სარეველაა.

უმველეს სამკურნალო მცენარეების რიცხვს მიეკუთვნება. მას, ჯერ კიდევ რომაელები იყენებდნენ ღვიძლის დაავადებებისას. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა 1968 წელს, როდესაც მიუნხენის ფარმაცევტულ ინსტიტუტში გამოიკვლიეს ბიოქიმიური შემადგენლობა. მასში აღმოჩენილ იქნა მეტად იშვიათი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება - სილიმარინი, მასთან ერთად აღინიშნა მიკროელემენტები (თუთია, სელენი, სპილენძი), ცხიმხსნადი ვიტამინები, კვერცხეტინი, ფლავოლიგნანები, 200-მდე კომპონენტის უჯერი ცხიმოვანი მჟავები, რის გამოც შედის ძალიან ბევრ კომპლექსურ საკვებ დანამატებში.

სამკურნალო ნედლეულს თესლები, ფოთლები და ფესვი წარმოადგენს. სამკურნალო მიზნით უფრო ეფექტურია ნაყოფები, მისგან ამზადებენ ზეთს და ფხვნილს, ფოთლებისაგან - წვენს, ხოლო ფესვებისგან - ნახარშს.

ნაყოფების ფხვნილს იყენებენ სისხლში შაქრის დონის დასაწევად, სისხლის გაწმენდის მიზნით, ვარიკოზის დროს. ფესვების ნახარში იხმარება კუჭის კატარის, ფაღარათის, რადიკულიტის, კრუნჩხვების, შარდის შეკავებისას.

ამჟამად ფართოდ გამოიყენება საკვებით მოწამლვის, ქრონიკული ინტოქსიკაციის (ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ქიმიური), ფეხმძიმეებში ტოქსიკოზის, შეძენილ იმუნოდეფიციტებისა და შიდსის, შაქრიანი დიაბეტის, სიმსუქნის, მხედველობის დაქვეითების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის შესამცირებლად, ვარიკოზის, ინსულტის, ინფარქტის პროფილაქტიკისათვის და სხვ. მას ღებულობენ აგრეთვე, ღვიძლის, სისხლისა და მთელი ორგანიზმის ტოქსინების, რადიაციისაგან გაწმენდის მიზნით, ქიმიო და სხივური თერაპიის კურსის გავლის შემდეგ; შველის სიყვითლეს, სისხლძარღვების ათეროსკლეროზს, არეგულირებს ქოლესტერინის და სხვა ლიპიდური ფრაქციების გამომუშავებას.

დერმატოლოგიაში ბაყაყურას ზეთი გამოიყენება ფსორიაზის, ვიტილიგოს, ფერიმჭამელების, გამელოტების დროს; ხელს უწყობს ნაჭდევების წარმოქმნის გარეშე ჭრილობების შეხორცებას; ზეთს ხმარობენ ბუასილის, გართულებული სისხლდენების, ანალური ნახეთქების, საშვილოსნოს ყელის ეროზიის, ვენების ვარიკოზული

გაფართოების სამკურნალოდ. გინეკოლოგიური დაავადებებისას, მამაკაცებისა და ქალების სქესობრივი და ენდოკრინული სფეროს რეგულაციისათვის ბაყაყურას ზეთი მიიღება შინაგანად. ზეთი ეფექტურია კლიმაქტერიული, ატროფირებული ვაგინის, რომელსაც ქვეილი ახლავს სამკურნალოდ.

ბაყაყურა კარგი ანტიოქსიდანტია, ხელს უშლის ნაადრევ სიბერეს. ანეიტრალებს თავისუფალ რადიკალებს, შლის ბიოლოგიურ სტრუქტურებს.

ბაყაყურისაგან მზადდება პრეპერატები: კარსილი, სილიბორი, ლეგალონი, მაგრამ პრაქტიკით დადასტურებულია, რომ მკურნალობა ბალახით უფრო ეფექტური და იაფია.

უკუქმედება: ნაღვლის ბუშტისა და მის სადინარებში კენჭების არსებობისას; ასევე გარკვეული დროის მანძილზე აღინიშნება ღვიძლის ტკივილი, ვიდრე ორგანიზმი მას მიეჩვევა. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სასურველია მკურნალობის ჩატარება ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

ბრტყელეკალა - *Onopordum acanthium* L.

ოჯ. რთულყვავილოვანი -Fam. Compositae



ორწლოვანი 1-1,5 მ-მდე სიმაღლის ბალახოვანი ეკლებიანი მცენარეა, ზემოთ დატოტვილი, სიგრძეზე ეკლებიანი ფოთლებით ჩავლებული ღეროთი. ქვედა ფოთლები დიდი ზომისაა, დანაკვთული,

ზედა - მთლიანია და მჯდომარე. ყვავილები იასამნისფერია, მილისებრი, ორსქესიანი, შეკრებილია მსხვილ კალათებად. ნაყოფი უკუკვერცხისებრია, მობრტყოთხწახნაგოვანი და სიგანეზე დანაოჭებული, ქოჩრით შემოსილი. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. ფართოდ გავრცელებული სარეველაა, იზრდება რუდერალურ ადგილებზე. სამკურნალოდ გამოიყენება ყლორტები, ფოთლები, ყვავილები. შეიცავს ალკალოიდებს, ინსულინს, საპონინებს, ორგანულ მჟავებს, მინერალურ მარილებს, ვიტამინ C.

ახდენს მატონიზირებელ მოქმედებას გულზე, აუმჯობესებს გულის კუნთის მუშაობას. ავლენს შარდმდენ, ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობულ, ნალველმდენ, სისხლის შედედების საწინააღმდეგო, საერთო გამაძლიერებელ თვისებებს. ბალახის ნაყენი გამოიყენება გაციებისა და ბუასილის დროს. მისი ფხვნილი ინიშნება რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, ხველების სამკურნალოდ.

ხალხური მკურნალების რეკომენდაციით, ნაყენი და ნახარში კარგ შედეგს იძლევა ავთვისებიანი წარმონაქმნების, განსაკუთრებით საშვილოსნოს კიბოს მკურნალობისას, ოპერაციის შემდგომ მეტასტაზების პროფილაქტიკისათვის, იხსნება ავადმყოფების დათრგუნვილი მდგომარეობა, ნალვლიანობა.

ხშირად გამოიყენება გარეგანი დანიშნულებით - ნედლი წვენი ახდენენ წყლულების, ფურუნკულების, ჩირქიანი ჭრილობების მობანვას.

უკუქმედება: ექსპერიმენტალურად დამტკიცებულია - მცენარის პრეპარატები მცირედ ტოქსიკურია. მნიშვნელოვანია გამოყენებისას დოზების დაცვა.

გველის სურო - *Vinca minor* L.
ოჯ. ქენდირისებრნი - Fam. Apocynaceae



მარადმწვანე, მრავალწლოვანი მიწაზე გართხმული ბალახოვანი (ან ბუჩქი) მცენარეა, ტყავისებრი, თითქმის მჯდომარე, მომრგვალო-კვერცხისებრი, პრიალა ფოთლებით. ყვავილი დიდი ზომისაა, ძაბრისებრი, ფოთლების ილღიებში თითო-თითოდ განლაგებული, ლურჯი-იისფერი. ნაყოფი ტყუპი თესლურაა. ყვ. IV-V; ნაყ. V-VI.

სამშობლოდ ევროპასა და მცირე აზიას მიიჩნევენ, ნატურალიზებულაა მრავალ ქვეყანაში. ველურად კავკასიაშიც გვხვდება. იზრდება ტყის პირებზე, ბუჩქნარებში, მთის ფერდობებზე.

სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი (ბალახი). ამზადებენ ყვავილობის პერიოდში, აშრობენ ჩრდილში. შეიცავს ალკალოიდებს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ და მწარე ნივთიერებებს, ასკორბინის მჟავას, კაროტინს.

ხასიათდება სისხლძარღვების გამაფართოებელი, არტერიული წნევის დამწევი, ცენტრალური ნერვული სისტემის დამამშვიდებელი, წვრილი ნაწლავების გლუვი კუნთების მომადუნებელი, საშვილოსნოს შეკუმშვის მასტიმულირებელი, სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებით.

გველის სუროს პრეპარატები ხელს უწყობს თავის ტვინის სისხლძარღვების გაფართოებას, რაც იწვევს თავის ტკივილების შემცირებას. იხმარება ნევროზების, გაძლიერებული გულის კუმშვადობის დროს.

უძველესი დროიდან იყენებენ როგორც შემკვრელ, სისხლდენის შემაჩერებელ, ჭრილობის შემახორცებელ და სისხლის გამწმენდ

საშუალებას. გველის სუროს შემცველი ალკალოიდების ბაზაზეა მიღებული პრეპარატები - ვინკაპინი, დევინიკანი და სხვ. იხმარება I და II სტადიის ჰიპერტონული დაავადებების, თავის ტვინის ათეროსკლეროზის დროს, აგრეთვე იმ დაავადებების შემთხვევაშიც, რომლებსაც თან ახლავს თავის ტვინის სპაზმები; ეფექტურია ტაქიკარდიის დროს. გველის სუროს იყენებდნენ აგრეთვე ცხვირიდან, ფილტვებიდან, საშვილოსნოდან სისხლისდენის, ფაღარათების, ციების, მალარიის, ხველების დროს და ა. შ. ნახარში კომპრესების სახით გამოიყენება ეგზემისა და გამონაყარების დროს. გველის სუროს ნახარშს ივლებენ პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებებისას და კბილის ტკივილის დროს.

უკუჩვენება: მცენარე შხამიანია, ყოვლად დაუშვებელია ფიტოთერაპევტის რეკომენდაციის გარეშე მისი გამოყენება!!!

გლედისია - *Gleditsia triacanthos* L.

ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae



25-45 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ხეა. ტოტები დაფარულია 10 სმ-მდე სიგრძის, პრიალა მუქი მურა ფერის ეკლებით. ფოთოლაკები ოვალურია, კიდეებზე კბილისებრ დაკბილული ყვავილები მოყვითალო-მწვანეა, შეკრებილია მტევნისებრ ყვავილედებად. ნაყოფი ბრტყელი, მუქი ყავისფერი ჭოტია 40 სმ-მდე სიგრძის. ყვ. VI-VII; ნაყ. X-XI.

სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა; სადღეისოდ გავრცელებულია პრაქტიკულად მთელ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში.

ნაყოფები შეიცავს ლორწოვან და მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ვიტამინებს (B.K), ალკალოიდებს, კერძოდ ტრიაკანტინს, ტრიტერპენულ საპონინებს.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება მწიფე ნაყოფები და ნორჩი ფოთლები. მიღებულია პრეპარატი, რომელიც იხმარება კუჭის სპაზმების სამკურნალოდ. ფოთლებისა და ნაყოფების ნახარშები მიიღება ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთების, კოლიტისა და კუჭის წყლულის, ქრონიკული გასტრიტის შემთხვევაში; ნაყოფების ნახარში გამოიყენება ქრონიკული ყაბზობის, ქრონიკული პოლიარტრიტის, ტრომბოფლებიტის დროს.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! უნდა გახსოვდეთ, რომ ნაყოფებში არსებული საპონინების დიდი რაოდენობა მაღალ დოზებში იწვევს მოწამლვას, რაც გამოიხატება პირღებინებაში, თავბრუსხვევაში, ნერწყვის გაძლიერებულ გამოყოფასა და კანის სიმკრთალებში. აღნიშნული სიმპტომების გამოვლენისთანავე მომენტალურად უნდა შეწყდეს პრეპარატის მიღება.

გლიცინია, ცის ვაზი – *Wisteria sinensis* D.C.

ოჯ. პარკოსანნი – Fam. Leguminosae



ლამაზი, უხვად შეფოთილი, ფოთოლმცვენი 15-20 მ სიმაღლის ლიანაა, შებუსული ყლორტებით. ფოთლები კენტფრთართულია, 30 სმ-მდე სიგრძის, ნორჩი ფოთლები შებუსულია, ზრდასრული - შიშველი, ფოთოლაკები (7-13) 4-8 სმ სიგრძისაა. ყვავილობს უხვად, ეფექტური ღია ლილისფერი ან იასამნისფერი, იშვიათად თეთრი ყვავილებით, რომლებიც შეკრებილია 30 სმ-მდე სიგრძის, მკვრივ დაკიდებულ მტევნებად, გამოირჩევა სასიამოვნო არომატით. ნაყოფი – უხვად შებუსული 15 სმ-მდე სიგრძის პარკია. ყვ. IV-VI; ნაყ. IX-X.

სამშობლო ჩინეთია, ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაში მთელ მსოფლიოში, თუმცა უპირატესობას ანიჭებს ნოტიო სუბტროპიკებს.

ქერქი შეიცავს გლიკოზიდებს, ვისტერინსა და ფისებს; ფოთლებში აღინიშნება სხვადასხვაგვარი ფლავონოიდური რეტეროზიდები, მათ შორის ლუთეოლინი, აპიგენოლი, აგრეთვე ალანთოინის მჟავა.; პერიკარპინი (ნაყოფის გარსი) შეიცავს პროციანდინს, აპიაზელხინს, ეპიკატეხინს, ეპიგალოკატეხინსა და გალოკატეხინს. ხასიათდება ანტიბიოტიკური თვისებებით. მისი მფრი ნავი ფიტონციდები ამუხრუჭებს ტუბერკულოზის ჩხირების განვითარებას.

უკუქმედება: ნედლი ფოთლები და თესლები შხამიანია, იწვევს პირღებინებასა და კუჭის აშლილობას.

დასავლური ტუია - *Tuja occidentalis* L.

ოჯ. კვიპაროზისებრნი - Fam. Cupressaceae



მარადმწვანე 12-20 მ სიმაღლისა და 1 მ-მდე დიამეტრის მქონე ხეა, მერქანი მსუბუქი და ძნელად ლპობადია; ყლორტები ბრტყელი და მოპირისპირეა, ქერქლისებრი ფოთლებით დაფარული. მდედრობითი გირჩები შედგება 3-6-მდე ჯვარედინად განლაგებული ტყავისებრი ქერქლისაგან, რომლებიც შესამჩნევად არიან ერთიმეორეზე გადაფარებული, მწიფდება პირველსავე წლის შემოდგომაზე.

ხის სინონიმებია: “თეთრი კედარი”, “სიცოცხლის ხე”. სამშობლო აშშ-ის აღმოსავლეთის შტატებია, სადაც იზრდება წიწვოვანი ტყეების ზონაში და ხშირად ქმნის კორომებს. მსოფლიოში ფართოდაა კულტივირებული, მათ შორის საქართველოშიც. ცნობილია ბადის მრავალი ფორმა. ტუიას ზეთის მწარმოებლებია აშშ და კანადა.

არომატულ ზეთს ღებულობენ გამოხდის გზით ფოთლებიდან, ყლორტებიდან და ქერქიდან, უფერული ან ბაცი ყვითელი ფერის სითხეა ქაფურის ძლიერი არომატით. შეიცავს ტუიონს (69%), ფენხონს, ქაფურს, საბინენს, პინენსა და სხვ. გამოიყენება ფარმაკოლოგიური საშუალებების დასამზადებლად, დამარბილებელი მოქმედების მალამოების მისაღებად, პარფიუმერიაში და საკვები პროდუქტების არომატიზაციისათვის.

ძველ დროში იყენებდნენ როგორც სურნელოვან მცენარეს რიტუალური მიზნებისათვის. ფოთლების ნაყენი იხმარებოდა ხველების, ციებ-ცხელების, ნაწლავების პარაზიტების, ცისტიტისა და ვენერიული დაავადებებისას. მალამოებით მკურნალობდნენ რევმატიზმს, ვენების ვარიკოზულ გაფართოებას, მეჭეჭებს, ფსორიაზს და სხვა დაავადებებს. ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, დამარბილებელი, ანტისეპტიკური, შემახორცებელი, შემკვრელი, ქარმდენი, ოფლმდენი, შარდმდენი, ამოსახველებელი, მატონიზირებელი და რევმატიზმის საწინააღმდეგო მოქმედებით; აწესრიგებს საკვების მონელებას და მენსტრუალურ ციკლს.

უკუქმედება: ტუიონი წარმოადგენს რა ძლიერ ტოქსიკურ ნივთიერებას, იწვევს მუცლის მოწყვეტას. შინაურ პირობებში ტუიას როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი გამოყენება დაუშვებელია.

დიდგულა - *Sambucus nigra* L.
ცხრატყავასებრნი – Fam. Caprifoliaceae



ბუჩქია ან პატარა ზომის 3-6 მ სიმაღლის ხე. ღეროები დატოტვილია, ახალგაზრდა ტოტები მწვანეა, შემდგომ მურა-ნაცრისფერი, დიდი რაოდენობის მოყვითალო ბუგრებით, ტოტების გული რბილი და თეთრია; ფოთლები - მოპირისპირეა, მსხვილი, კენტფრთართული, შედგება 3-7 მოგრძო-კვერცხისებრი, წაწვეტებული ფოთოლაკისაგან, რომლებიც ზედა მხრიდან მუქი მწვანეა, ქვედა მხრეს - უფრო ბაცი. ყვავილები - მოყვითალო-თეთრი შეფერილობისაა, შეკრებილია მსხვილ ბრტყელ მრავალყვავილიან ფარისებრ ყვავილედებად, ყვავილობის შემდეგ ჩაქინდრულია. ნაყოფი მოშავო-იისფერი კენკრის მსგავსი წვნიანი კურკიანაა, 2-4 კურკით. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX; საქართველოში ბუნებრივად იზრდება მთის შუა სარტყლამდე ტყის პირებზე, ტყეებში.

პრეისტორიული პერიოდიდან ადამიანები აგროვებენ მის ნაყოფებს. კურკა ნაპოვნი იქნა ნეოლიტის დროის სადგომების გათხრებისას. ანტიკურ საბერძნეთში სპეციალურად აშენებდნენ. ჰიპოკრატე და პლინიუსი იყენებდნენ გაციების დროს. მას მიიჩნევდნენ წმინდა, საღმრთო მცენარედ. არსებობდა ცრურწმენა, რომ ადამიანს ჩუქნის დღეგრძელობას.

ყვავილები შეიცავს გლიკოზიდებს, ეთერზეთებს, ვიტამინ C, ტანინებს, ორგანულ მჟავებს, შაქრებს. ნედლ ფოთლებში აღმოჩენილია კაროტინი და ვიტამინი C; ქერქში აღინიშნება ეთერზეთები,

ფიტოსტერინები, ქოლინი. ნაყოფებში ნაპოვნია მთრიმლავი ნივთიერებები, კაროტინოიდები, ლორწო, კარბონული ნივთიერებები და ამინომჟავები.

გამოიყენება ოფიცინალურ და ხალხურ მედიცინაში. ყვავილები და ნაყოფები შედის ლაქტოგენური, შარდმდენი, ქრონიკული პანკრეატიტის, კუჭის ნაკრებების შემადგენლობაში. რეკომენდირებულია როგორც ოფლმდენი, სიცხის დამწევი და ამოსახველებელი საშუალება. შაქრის დიაბეტის დროს, მათ შორის გართულებულ მდგომარეობაში სთავაზობენ ფესვების ნახარშს. წყლის ექსტრაქტი ხასიათდება ანტივირუსული აქტივობით. ნაყოფებს შესწევთ უნარი ორგანიზმიდან გამოდევნოს მძიმე მეტალები და რადიონუკლეიდები. ყვავილების ნაყენით მკურნალობენ დამწვრობებს, კანის ჩირქოვან დაავადებებს, ხოლო ნაყოფების ნახარშს უნიშნავენ კუჭის წყლულისა და ჰეპატიტის დროს.


ხალხურ მედიცინაში ნედლ ნაყოფებსა და ნახარშებს იყენებენ რევმატიზმისა და ნიკრისის ქარის სამკურნალოდ, აგრეთვე შარდმდენ და ჭიისმდენ საშუალებად. ყვავილების ჩაისა და ნაყენებს ურჩვენ მშრალი ხველების დროს, ასევე ყელში გამოსავლებლად ანგინისა და ტონზილიტისას. დიდგულას ნაყოფების სიროფს უნიშნავენ როგორც ხველების საწინააღმდეგო საშუალებას ფილტვების კიბოს შემთხვევაში.

ჰომეოპათები იყენებენ გულისა და ბრონქიალური ასთმის, კორონარული სისხლძარღვების სპაზმების შემთხვევაში.

მრავალრიცხოვანი მაგალითებია იმის აღმნიშვნელი, რომ დიდგულას ნაყოფებიდან დაყენებული ღვინო შველის კანის კიბოს, ხოლო დასრესილი ნაყოფები შაქართან ერთად 1:3 პროპორციით კუჭის კიბოს სამკურნალოდ შესანიშნავი საშუალებაა.

უკუქმედება: არ არის რეკომენდირებული მისი მიღება არასპეციფიური წყლულოვანი კოლიტის, უშაქრო დიაბეტის დროს; სიფრთხილით უნდა მოეკიდონ მის გამოყენებას ფეხმძიმობისას. გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ დიდგულას ღეროები შეიცავს ციანიდებს და ტოქსიკურია.

ეკლის ხე, ცრუაკაცია - *Robinia pseudoacacia* L.
ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae



20-25 მ სიმაღლის მცენარეა 1 მ-მდე დიამეტრის ხის ტანით. ვარჯი აყურულია, გადაშლილი, ყლორტებზე განვითარებული ეკლებით. ქერქი სქელია, მონაცრისფრო-მურა. სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა. ამჟამად კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. სამკურნალო ნედლეულია ყვავილები, ფოთლები და ახალგაზრდა ყლორტების ქერქი. ყვავილები შეიცავს ტანინებს, გლიკოზიდ რობლენინსა და ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია ჰელიოტროპინი, მეთილანტრანილატი, სალიცილმჟავას რთული ეთერები; ფოთლები – ფლავონოიდებსა და გლიკოზიდებს (აკაცეტინი, აკაცინინი, რობინინი); ქერქში აღინიშნება ტოქსიკური ალკალოიდი რობინინი, ტანინები, ცხიმოვანი ზეთები, ფიტოსტერინი და სტიგმასტერინი. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს პექტინებსა და ლორწოს, რომლებიც ნორმალური მეტაბოლიზმის პროდუქტს წარმოადგენს, ასრულებს მნიშვნელოვან როლს უჯრედების დაყოფასა და ახალი უჯრედების ზრდაში.


ეკლის ხის პრეპარატები ხასიათდება სპაზმოლიტური, შარდმდენი, სიცხისდამწევი, ჰიპოტენზური, ნაღველმდენი, ამოსახველებელი და სუსტი სასაქმებელი მოქმედებით. თანამედროვე მედიცინის რეკომენდაციით მიიღება შარდის ბუშტის, თირკმელების, თირკმელკენჭოვანი და შარდკენჭოვანი დაავადებების, ტრომბოფლებიტის, რადიკულიტის, მიოზიტის, ოსტეოხონდროზის, რევმატიზმის, ნევრალგიის, გაციებებისა და ჭრილობების დროს.

ხალხური მედიცინა აქტიურად იყენებს რიგი დაავადებების სამკურნალოდ, კერძოდ ყვავილების ნახარშს ხმარობენ საშვილოსნოს

მიომასა და საკვერცხეების ანთებისას; უნაყოფობისას – ყვავილების სპირტიან ნაყენს იყენებენ; ყვავილების წყლიან ნაყენს – ქრონიკული დიარეის, კუჭის დაავადებებისა და მეტეორიზმის, ხველებისა და გაციების სამკურნალოდ, სიცხის დამწვევად; რეკომენდებულია ინსულტის გადატანის შემდეგ, აგრეთვე მაღალი წნევის შემთხვევაში, ახდენს მის ნორმალიზებას. გარეგანად ყვავილების სპირტიანი ნაყენი გამოიყენება დასაზელად ოსტეოხონდროზის, რადიკულიტის, სახსრების ტკივილებისა და ვენების ვარიკოზული გაფართოებისას.

უკუჩვენება: მცენარის სხვადასხვა ნაწილში არსებული **ტოქსიკური ნივთიერებების** შემცველობის გამო, გამოყენებისას ზუსტად უნდა იქნეს დაცული დოზა და მიღების წესები.

ერიზიმუმი - *Erysimum cheiranthoides* L.
ოჯ. ჯვაროსანნი – Fam. Cruciferae



ერთი ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სწორმდგომი დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მოგრძოლანცეტაა ან ლანცეტა, ფართო, წაწვეტებული წვერით. ყვავილები წვრილია, კაშკაშა ყვითელი, ოთხფურცლიანი; ნაყოფი ოთხწახნაგოვანი, ორსაგდულიანი ჭოტია, თესლები წვრილია, კვერცხისებრი, მოყვითალო-ყავისფერი, ერთი მცენარე წარმოქმნის 5-5,6 ათას თესლს. ყვ. V-IX; ნაყ. VI-X. ბუნებრივად გავრცელებულია რუსეთის ევროპულ ნაწილში, ჩრდილოეთ კავკასიაში, შუა აზიაში. კულტივირებულია უკრაინასა

და კრასნოდარის მხარეს. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს გულის გლიკოზიდებს. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში.

ხასიათდება დამამშვიდებელი, ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული, ანტისოკოვანი, სიცხის დამწვევი, ძლიერი შარდმდენი მოქმედებით. მეცნიერულად დამტკიცებულია ერიზიმუმის პრეპარატების ანტიმიკრობული საშუალებების ეფექტურობა სხვადასხვა გრამდადებითი მიკროორგანიზმების, როგორცაა ოქროსფერი სტაფილოკოკი, ნიადაგის ბაქტერიის (*Bacillus cereus*), ჰაერის ბაქტერიის (*Sarcina*), გრამუარყოფითი მიკროორგანიზმების, ნაწლავების ჩხირის, პნევმონიისა და შარდსასქესო ინფექციების (*Klebsiella pneumoniae*), სალმონელის, ლურჯ-ჩირქოვანი ბაქტერიების, საფურისებრი კანდიდას (*Candida albicans*) მიმართ. მისი სპირტიანი ნაყენის მაღალი ანტიმიკრობული აქტივობა ბაქტერიის ყველა სახეობისადმი აჭარბებდა ტეტრაციკლინის ეფექტურობას, ხოლო ნისტატინის ანტისოკოვან მოქმედებას 600-ჯერ აღემატებოდა.

იწვევს დამამშვიდებელ მოქმედებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ. მცენარის წვეს იყენებენ გულის კომპლექსური პრეპარატის კარდიოვალენის წარმოებაში. „კარდიოვალენი“ და „ერიზიდკონცენტრატი“ მიიღება გულის მანკის, კარდიოსკლეროზის, სტენოკარდიის, ვეგეტატიური ნევროზების, მიოკარდიუმის ინფარქტის სამკურნალოდ.

ციმბირის ხალხურ მედიცინაში ითვლება საუკეთესო საშუალებად წყალმანკის, მუცლის ტიფის, თავის ტკივილების, კუჭ-ნაწლავის დაავადებების საწინააღმდეგოდ. ტიბეტურ მედიცინაში იხმარება ფილტვების ტუბერკულოზის დროს. იწვევს კარგ ძილს, აუმჯობესებს გუნება-განწყობას.

ბელგიაში გამოიყენება მკერდის კიბოს, ბრონქიალური ასთმის, ასციტის, დიარეის, ჰელმინტოზების, სისხლისნი ნახველის, ჭრილობების შასახორცებლად.

მონღოლეთში ბალახის ნახარში იხმარება ჩირქოვანი სიმსივნეების დროს, ხოლო ყვავილები - მოწამლვისას და სიცხის დამწვევად.

უკუჩვენებები: მთელი მცენარე შხამიანია, გამოყენება შესაძლებელია, მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ! აკრძალულია მისი გამოყენება ფეხმძიმე ქალებისა და მეძუძურებისათვის.

ეფედრა - *Ephedra distachya* L.

ოჯ. ეფედრასებრნი - Fam. Ephedraceae



დაბალი 15-100 სმ-მდე სიმაღლის დატოტვილი ბუჩქია, მხოხავი ფესურით და მოკლე ყლორტებით, მუქი ნაცრისფერი ქერქით. ფოთლები ჩანასახოვანია, ქერქლისებრი, ერთმანეთთან დაკავშირებულნი მილძაბრებად. ნაყოფი კენკრისებრია, სფერული ან მოგრძო, წითელი ფერის. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX. იზრდება მშრალ სტეპებზე, ბორცვებზე. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ნახევარუდაბნოს ზონაში. სამკურნალოდ მწვანე ტოტები გამოიყენება. შეიცავს შხამიან ალკალოდის ეფედრინს და ფსევდოეფედრინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, პიროკატეხინსა და სხვ.

როგორც სამკურნალო მცენარე უძველესი დროიდანაა ცნობილი. ჩინეთში მას იცნობდნენ 3500 წლის წინათ. ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებში სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ. აღაგზნებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, ავიწროებს სისხლძარღვებს, ასტიმულირებს სისხლის მიმოქცევას, ამალღებს სისხლის წნევას, ასუსტებს ბრონქებისა და სხვა ორგანოების გლუვ მუსკულატურას, ეფედრა ასევე ხელს უწყობს შარდისა და ოფლის გამოყოფას, აქვეითებს სხეულის ტემპერატურას ციებ-ცხელების დროს, ამცირებს და

სპობს ტკვილებს. ხალხურ მედიცინაში ნახარშს იყენებენ რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, გულის, კუჭ-ნაწლავის, სასუნთქი გზების დაავადებების სამკურნალოდ.

ეფედრას ბალახიდან გამოყოფილია სუფთა სახით ალკალოიდი ეფედრინი. ოფიცინალურ მედიცინაში ეფედრინი გამოიყენება ბრონქიალური ასთმის, ყვიანახველის, ჰიპოტონიის, წნევის დასაქვეითებლად, ჭინჭრის ციების, ზღვის ავადმყოფობის, ტრავმის შედგომი კოლაპსის დროს.

უკუქმედება: განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს ეფედრას შინაგანი გამოყენება მისი ძლიერი **შხამიანობის გამო!!!** ეფედრას ბალახის და ეფედრინის გამოყენება უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიული დაავადებების, არტერიოსკლეროზის, გულის მძიმე ორგანული დაავადებებისა და უძილობისას.

ვარდისფერი კატარანტუსი - *Catharanthus roseus* (L.) C. Don.
ოჯ. ქენდირისებრნი – Fam. Apocynaceae



მრავალწლოვანი, მარადმწვანე ნახევრადბუჩქია, სწორმდგომი ან გართხმული, ცილინდრული, შიშველი (ზოგიერთ ფორმაში სხვადასხვა შებუსვით), 30-60 სმ სიმაღლის ღეროთი. ფესვი მთავარღერძაა; ფოთლები მოპირისპირედაა განწყობილი, მოკლესუნწიანია, მოგრძო, პრიალა, მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან – ზოგჯერ შებუსული, კარგად გამოხატული დამარღვით; ყვავილები 2-4 ერთადაა შეკრებილი, გვირგვინი 5 ფურცლიანია; შეფერილობის მიხედვით არჩევენ რამდენიმე ფორმას: ვარდისფერი,

თეთრი და თეთრი - ვარდისფერი ლაქებით. ნაყოფი – ნამგლისებრი, მუქი ყავისფერი ორფოთლურაა, მომწიფებისას იშლება და თესლი ცვივა. თესლი შავია, მოგრძო-ოვალური. ყვ. V-VIII; ნაყ. IX.

გავრცელებულია ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში. საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში კულტივირებულია როგორც ერთწლოვანი მცენარე.

სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ყვავილობისას შეგროვილი მიწისზედა ნაწილები – ბალახი. შეიცავს 65 დასახელების ალკალოიდებს, რომელთა შორის 7 – ხასიათდება სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობით (ვინბლასტინი, ვინკრისტინი, ლეიროზინი, ლეიროზინდინი, როზიდინი, ვიროზინი და პერკვინი).

ალკალოიდი ვინბლასტინი გამოირჩევა სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობით. ავთვისებიან წარმონაქმნებზე მათი მოქმედების მექანიზმი აიხსნება უნარით მოახდინოს უჯრედების მიტოზის ბლოკირება მეტაფაზის სტადიაში, რითიც გამოწვეულია მისი დამთრგუნველი მოქმედება ლეიკოპოეზზე (ერთროპოეზსა და ჰემოგლობინის შემცველობაზე ის არსებითად არ მოქმედებს). ვინბლასტინს უნიშნავენ ლიმფოგრანულემატოზის გენერალიზებული ფორმების, ლიმფო და რეტიკულოსარკომის, ქრონიკული მიელოზის, განსაკუთრებით მყარი ფორმებისა და სხვა ქიმიოთერაპევტიული საშუალებებისადმი და სხივური თერაპიისას. პრეპარატი ეფექტურია, მაგრამ მისით გამოწვეული რემისიები არ არის ხანგრძლივი და საჭიროებს ხანგრძლივ მკურნალობას, სიმსივნის საწინააღმდეგო სხვა პრეპარატებთან შეთავსებას.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! ვინბლასტინით მკურნალობა დასაშვებია მხოლოდ სტაციონარში. პრეპარატის მიღებისას შესაძლებელია აღინიშნოს საერთო სისუსტე, მადის დაკარგვა, გულის რევა, პირღებინება, მუცლის ტკივილები, სიყვითლე, ალბუმინურია, სტომატიტები, ალერგიული რეაქციები, დეპრესია, ალოპეცია, ფლებიტები.

ვნების ყვავილი, პასიფლორა - *Passiflora coerulea* L.
ოჯ. ვნების ყვავილისებრი - Fam. Passifloraceae



მრავალწლოვანი, 6-9 მ-მდე სიგრძის ბალახოვანი ხვიარა ლიანაა, ცილინდრული, გლუვი, ღრუ, მომრგვალო, შეფოთლილი, ძირთან გამერქნებული ღეროთი. ფოთოლი მარტივია, მთლიანი ან დანაკვეთული. ყვავილები უბისეულია, გრძელ ყუნწებზე, მსხვილი, არომატული, კაშკაშა ცისფერი, გამორჩეულად ლამაზი. ნაყოფი საკვებად გამოიყენება, თესლს ნაკლებად იძლევა. ყვ. V-IX.

სამშობლო ტროპიკული ბრაზილიაა; კულტივირებულია თბილი კლიმატის ქვეყნებში, აზიისა და ავსტრალიის კონტინენტებზე, მათ შორის საქართველოს სუბტროპიკებში.

სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს მწვანე ყლორტები, რომელსაც სავეგეტაციო პერიოდში რამდენჯერმე აგროვებენ: კოკრიანობის, ყვავილობისა და ნაყოფ-მსხმოიარობის საწყის ფაზებში. ბალახი შეიცავს 0,04% ალკალოიდებს, მათ შორის უმთავრესს ინდოლის წარმოებულელები – გარმანი და ნორგარმანი წარმოადგენს. აღმოჩენილია აგრეთვე ციანოგენური გლიკოზიდები, კუმარინები და ქინონები. ნაყოფის წვენი მდიდარია ასკორბინის მჟავით.

ვნების ყვავილი გამოიყენება როგორც ოფიცინალურ, ასევე ტრადიციულ მედიცინაში. მცენარის პრეპარატები დამამშვიდებლად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე; არსებობს ცნობები მისი დადებითი მოქმედების შესახებ ეპილეპსიის, ნევრალგიის, გულის ნევროზის, ასთმის, თეთრი ცხელების დაავადებებისას. სამედიცინო გამოყენებისათვის 1960 წელს დაშვებულ იქნა ვნების

ყვავილის თხევადი ექსტრაქტი, რომელიც წარმოადგენს მუქ ყავისფერ სპირტოვან გამონაწველს; მიიღება მაღალი არტერიული წნევის, ნერვიული აშლილობის, უძილობის დროს, ხსნის რევმატიულ ტკივილებსა და კრუნჩხვებს, აწესრიგებს ჰორმონალურ ბალანსს, გულის მუშაობას. ნედლი ბალახი გამოიყენება ჰომეოპათიაში.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! პრეპარატის გამოყენება უკუმაჩვენებელია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების (ქრონიკული გასტრიტი, წყლულები და ა.შ.), არითმიისა და სტენოკარდიის დროს.

ვორონოვის თეთრყვავილა - *Galanthus woronowii* Losinsk.

ოჯ. ამარილისებრნი - Fam. Amaryllidaceae



მრავალწლოვანი ერთლებნიანი ეფემეროიდული ბოლქვოვანი გეოფიტია. ფოთოლი 2, ფართო ხაზური, წაწვეტებული, ღარიანი, კამკაშა მწვანე, ყვითელი ელფერით, პრიალა. ყვავილი დიდი ზომისაა, სასიამოვნო სუნით; ყვავილსაფარი გვირგვინისებრია, თეთრი, 6-ფურცლიანი. ნაყოფი კოლოფია, იხსნება 3 საგდულით. თესლი ოდნავ წახნაგოვანია, ფართო ელიფსური, მუქი ყავისფერი, პატარა თანათესლით. მიეკუთვნება ადრე გაზაფხულზე მოყვავილე მცენარეთა რიცხვს. ყვ. I-III, ნაყ. V.

კოლხური წარმოშობის ენდემური სახეობაა, ირადიაციებით. ძირითადი არეალი წარმოდგენილია კოლხეთის ჰუმიდურ რაიონებში. იზრდება ფართოფოთლოვან ტყეებში, ტყის პირებსა და ბუჩქნარებში.

გვარის წარმომადგენლები ალკალოიდების მაღალი შემცველობით ხასიათდებიან. ფარმაკოლოგიურმა და კლინიკურმა შესწავლამ აჩვენა, რომ ამ ალკალოიდებიდან ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს გალანტამინი, რომელიც ხასიათდება ძლიერი ფიზიოლოგიური აქტივობით და ფართო თერაპიული მოქმედებით. ბულგარეთის სამედიცინო ინსტიტუტში. გალანტამინის დადებითი შედეგები იქნა მიღებული შემდეგ დაავადებებზე: 1. ბიურგერის (კიდურების სისხლძარღვების სპაზმები) დაავადებების მკურნალობისას; 2. რადიკულიტისა და იმპოტენციის; 3. ნევროზების მკურნალობისას ვეგეტატიური ნერვული დარღვევებით (კომბინირებული პრეპარატები გალანტამინი – ლიუმინალი – ბრომინალი). 4. კურაიეს მოქმედებისა და ოპერაციის შემდგომი პარეზების მოხსნა; 5. სმენის ნერვის მკურნალობა (გაუმჯობესება 75%). 6. შაკიკი და სამწვერა ნერვის ნევრალგია; 7. პოლინევრიტი და პოლიომიელიტი.

ბოლო გამოკვლევებით, თეთრყვავილას ერთ-ერთ სახეობაში აღმოჩენილ იქნა მცენარეული ცილები – ლექტინები, რომლებმაც ბიოტექნოლოგიური თვალსაზრისით დიდი ყურადღება მიიპყრეს მას შემდეგ, რაც გაირკვა მათი ანტივირუსული მოქმედება. მრავალმხრივი გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ლექტინი GNA იწვევს შიდსის გამომწვევი ვირუსის ზედაპირზე არსებული გლიკოპროტეინების შეკავშირებას.

უკუქმედება: თეთრყვავილას სახეობების ბოლქვები შხამიანია!

ზღვის ხახვი – *Drimia maritima* (L.) Stearn
(syn. *Urginea maritima* (L.) Bauer)
ოჯ. სატაცურისებრნი - Fam. Asparagaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი ბოლქვოვანი 40-50 სმ-მდე სიმაღლის ერთლებნიანი მცენარეა. ბოლქვი ხორცოვანია, მსხლისებრი ან უსწორო სფეროსებრი, 2 კგ-მდე წონის, დაფარულია მშრალი მოწითალო ან მოთეთრო ფერის ქერქლებით. ფოთლები ფესვთანურია, მუქი მწვანე, ლეგა ელფერით, პრიალა, გლუვი, კვერცხისებრლანცეტა, ვითარდება გაზაფხულზე (III-IV), ყვავილობის დაწყებამდე ამთავრებს ვეგეტაციას და ხმება, რის შემდეგაც (VII-VIII) წარმოიქმნება 1 მ-მდე სიმაღლის უფოთლო საყვავილე ღერო, რომელიც ბოლოვდება მსხვილი მტევნისებრი, 40-50 სმ სიგრძის ყვავილედით, ყვავილები 6-წევრიანია, თეთრი ფერის. ნაყოფი კოლოფია, შავი ან მოშავო-ყავისფერი თესლებით, მწიფდება IX-X.

სამშობლო ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებია, იზრდება პორტუგალიიდან სირიამდე, კანარის კუნძულებზე და ჩრდილოეთ აფრიკაში. ფართოდაა კულტივირებული მრავალ ქვეყანაში დეკორატიული და სამკურნალო მიზნებისათვის, მათ შორის დასავლეთ საქართველოში.

მისი სამკურნალო მნიშვნელობა ძველი ეგვიპტელებისთვისაც იყო ცნობილი, რასაც ადასტურებს ებერსის პაპირუსები. ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საგულე და შარდმდენი საშუალებაა. სამკურნალო ნედლეულს ბოლქვები წარმოადგენს, რომელიც გულის გლიკოზიდების მიღების

წყარო. ძირითადი გლიკოზიდი სცილარენი, პროსცილლარიდინი, გლუკოსცილარენი, სცილიფეოზიდი, გლუკოსცილიფეოზიდი, სცილიკრიპტოზიდი, სცილიციანოზიდი და სხვ.

ზღვის ხახვის გლიკოზიდები ქიმიური შემადგენლობით განსხვავდება გულის სხვა გლიკოზიდებისაგან, თუმცა მოქმედებით სათითურას პრეპარატების მსგავსია, კარგად შეიწოვება, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით უფრო მეტად აძლიერებს დიურეზს, რასაც უკავშირებენ უშუალოდ თირკმელების პარენქიმაზე მოქმედებას. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება ბრონქიტის, წყალმანკის, II-III ხარისხის სისხლის მოძრაობის უკმარისობის, განსაკუთრებით შემუპების დროს.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! უკუმაჩვენებელია თირკმელების დაავადებებისას, ვინაიდან ზღვის ხახვის პრეპარატები იწვევს თირკმლის პარენქიმის გაღიზიანებას.

თამბაქო - *Nicotiana tabacum* L.

ოჯ. ძაღლყურძენასებრნი – Fam. Solanaceae



ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მისი ფესვთა სისტემა მთავარლერძაა, რომელიც უხვად იტოტება და ფუნჯა ფესვს ემსგავსება; ღერო სწორია, ცილინდრული, მსხვილი, 3 მ-მდე სიმაღლის; ფოთოლი კიდემთლიანია, დიდი ზომის, 10-50 სმ სიგრძისა და 8-30 სმ-მდე სიგანის, მოყვანილობით ოვალური, გულისებრი და ოვალურ-კვერცხისებრი, მჯდომარე ან ყუნწიანი, ერთ მცენარეზე მათი რაოდენობა 12-დან 50-მდეა. ყვავილეთი მრავალყვავილიანი

საგველაა, გაშლილი ფორმის – ფარისებრი, რადიალური ან კონუსური; ყვავილი ორსქესიანია, ყუნწიანი, გვირგვინის მილი გრძელი ძაბრისებრი ფორმისაა, თეთრი; გადანაღლნი ვარდისფერია ან მოწითალო-ვარდისფერი, 5 წაწვეტილი ნაკვთით. ნაყოფი ოვალური ან კვერცხისებრი ფორმის მრავალთესლიანი კოლოფია, რომელიც ორი საგდულით იხსნება. თესლი წვრილია, ოვალური, ღია მიხაკისფერი; თითო კოლოფში 4000-მდე თესლია, ხოლო 1 გრამი 10-15 ათასს მოიცავს. შესაფერის პირობებში შენახული თესლი გაღვივების უნარს 5-6 წლის მანძილზე ინარჩუნებს. სამშობლო სამხრეთ ამერიკაა (პერუ, ბოლივია, არგენტინა), საიდანაც თანდათან გავრცელდა ჯერ ცენტრალურ, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში. ევროპისათვის ცნობილი გახდა ესპანელი მოგზაურის კოლუმბის პირველი ექსპედიციის შემდეგ; 1492 წელს ანტილიის კუნძულებზე, კერძოდ კუბაზე ესპანელებმა შენიშნეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თამბაქოს გახვეულ ფოთლებს ეწეოდა და მას “ტაბაგოს” უწოდებდა. ტაბაგო ნიშნავს ორად გაყოფილ მილს, რომლის საშუალებითაც ისუნთქავდნენ თამბაქოს ბოლს. სამხრეთ ამერიკაში თამბაქოს მასობრივად ეწეოდნენ გრძელი სიგარეტის სახით, შემდეგ ეს ჩვეულება ესპანელებმა და პორტუგალიელებმა გადაიღეს და ევროპაში გაავრცელეს. მექსიკასა და ჩრდილო ამერიკაში ინდიელები თამბაქოს ჩიბუხით ეწეოდნენ.

თამბაქოს თესლი ევროპაში პირველად ესპანელებმა შეიტანეს 1519 წელს. 1560 წელს საფრანგეთის ელჩმა პორტუგალიაში ჟან ნიკომ (პროფესიით ექიმმა) თამბაქოს ფოთოლში აღმოაჩინა უფერული ცხიმისმაგვარი სითხე, რომელსაც მისი სახელი “ნიკოტინი” უწოდეს; საფრანგეთიდან თამბაქო გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში. დასაწყისში ევროპის ყველა სახელმწიფოში თამბაქოს წევა სასტიკად იყო აკრძალული. მკაცრად ისჯებოდა როგორც გამყიდველი, ასევე მომხმარებელიც (ჭრიდნენ თითებს, ცხვირს, შოლტავდნენ), მაგრამ მიუხედავად ასეთი შეზღუდვისა, ის მაინც სწრაფად ვრცელდებოდა და მალე სახელმწიფოს შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცა. რუსეთში თამბაქოს თავისუფა-

ლი მოხმარების ნება დართო პეტრე პირველმა, რომელიც თამბაქოს ინგლისში ყოფნის დროს გაეცნო. მანვე შემოიღო აქციზი და ააშენა პირველი ფაბრიკა უკრაინაში (ახტიკაში).

საქართველოში თამბაქო XVII ს-ის დამლევსა და XVIII ს-ის დასაწყისში იქნა შემოტანილი. ვახუშტი “საქართველოს გეოგრაფიაში” ბორჩალოს აღწერისას სხვა კულტურებთან ერთად თამბაქოსაც მოიხსენიებს. მეთამბაქოების გავრცელებას ჩვენში ხელი მოჰკიდეს დაინტერესებულმა კერძო პირებმა, 1850 წლიდან კი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ. მე-19 ს-ის დამლევისათვის მეთამბაქეობა უკვე საკმაოდ მყარ საფუძველზე იდგა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში თამბაქო მოჰყავდათ აფხაზეთსა და აჭარაში, სამეგრელოში, გურიაში, კახეთში, ქვემო ქართლში. შემდგომში სამრეწველო მეთამბაქეობამ მყარად მოიკიდა ფეხი ერთის მხრივ, აფხაზეთსა და აჭარაში და, მეორეს მხრივ ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონებში. ამ მეტად განსხვავებულ კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებში თამბაქოს ხარისხი სხვადასხვაა.

თამბაქოს ფიზიოლოგიური და გემოვნებითი სიმაგრე, გემოვნების სისრულე, სურნელება, არომატი, სიმწარე, წვის უნარი და სხვ. უშუალოდ დამოკიდებულია ფოთლის ქიმიურ შემადგენლობაზე. ფოთოლი შეიცავს წყალს, არაორგანულ და ორგანულ ნაერთებს, ცხიმებს, ფისებს, არომატულ და მთრიმლავ ნივთიერებებს, ცილებს, ნაერთების სახით მინერალურ მარილებს, ტუტეებს, მძიმე მეტალებს – რკინას, მანგანუმს, ორგანულ მჟავებს: ვაშლის, ლიმონის, მჟაუნის, ძმრის, პექტინებსა და ალკალოიდ - ნიკოტინს.

ნიკოტინი, რომელიც გვხვდება თამბაქოში ყველაზე კარგადაა შესწავლილი. წმინდა სახით გამოყოფილი იყო 1828 წელს, მანამდე კი მხოლოდ ის იცოდნენ, რომ თამბაქოს შემადგენლობაში იყო ნივთიერება “თამბაქოს ზეთი”, რომელიც მოკლე დროში კლავს სულიერ არსებას. დამტკიცებულია, რომ სუფთა სახით მიღებული ნიკოტინის 1-2 წვეთი კლავს ძალს. ადამიანის სხეულში ნიკოტინი გრამის ერთი მეთექვსმეტედი რაოდენობით იწვევს მძიმე ხასიათის დარღვევებს, ხოლო ზოგჯერ სასუნთქი

და საჭმლის მომწელებელი ორგანოების დამბლის შედეგად – სიკვდილსაც.

სამედიცინო პრაქტიკაში თამბაქოს ნედლეული გამოიყენება ნიკოტინის მჟავის ან ვიტამინის სამრეწველო მასშტაბით მისაღებად, რომელიც ადამიანისათვის აუცილებელი ფიზიოლოგიური მნიშვნელობისაა, ვინაიდან შედის იმ ფერმენტების შემადგენლობაში, რომლებიც მონაწილეობენ ჟანგვით პროცესებში. მისი ნაკლებობა კი იწვევს მადის დაკარგვას, ტკივილებს კუჭის არეში, პირღებინებას, ფაღარათს, საერთო სისუსტეს. მძიმე შემთხვევებში ვითარდება პელაგრას დაავადება, რომლის თანმდევია დარღვევები ცენტრალური ნერვული სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და კანის საფარის.

გარდა ამისა ნიკოტინის მჟავას უნიშნევენ ათეროსკლეროზის, გულსისხლძარღვთა სისტემის სხვა დაავადებების, სასუნთქი და საკვებმომწელებელი ორგანოების, კანის, თვალის, ნერვული სისტემის დაავადებებისას, აგრეთვე შაქრიანი დიაბეტის დროს.

უკუქმედება: ნიკოტინის მოქმედებით ირღვევა ტვინის ფუნქციები. თავის ტვინის სისხლგამტარი ძარღვები ვიწროვდება და ეს აუარესებს ტვინის კვებას, ამიტომ მწველებს უმცირდებათ ყურადღება და მეხსიერება, ხშირად ტკივათ თავი, ეხვევათ თავბრუ, აწუხებთ უძილობა და საერთოდ აკლდებათ შრომისუნარიანობა. თამბაქო განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს გულის მუშაობაზე, იგი აზიანებს გულის სისხლგამტარ ძარღვებს, რომლებიც გულის კუნთს კვებავს. პაპიროსის მწვევლები მეტ-წილად ავადდებიან გულის სპაზმით (შევიწროებით), სკლეროზით, სიმსივნური წარმონაქმნებით.

ნიკოტინის მოქმედებით ზიანდება სასუნთქი ორგანოები და ვითარდება სასუნთქი გზების ანთება. პაპიროსის მწველის ფილტვები ადვილად ავადდება ტუბერკულოზით; ხელს უწყობს კატარის, წყლულოვან დაავადებათა ჩამოყალიბებას. თამბაქოს ბოლი უარყოფით გავლენას ახდენს მხედველობაზე, სუსტი მხედველობის მქონეს სრულიად უკარგავს თვალის ჩინს.

თუ თამბაქოს წვევის დროს ნიკოტინის უარყოფითი მოქმედება მყისიერად არ აჩნდება ორგანიზმს, მიზეზი ის არის, რომ თამბაქოში არსებული ნიკოტინის მთელი რაოდენობიდან შედარებით მცირე ნაწილი (15-16%-მდე) აღწევს ორგანიზმამდე, დანარჩენი კი წვის გამო იშლება და ჰაერში ორთქლდება ან გამოუყენებელი რჩება მოუწველ ნაწილში, გარდა ამისა თვით ორგანიზმიც თანდათან ეჩვევა ამ შხამს.

მოზარდები თამბაქოს ჩუმად ეწევიან, ამიტომ სწრაფად ისუნთქავენ ბოლს, ასეთ დროს კი თამბაქოს კვამლში მავნე ნივთიერებები უფრო მეტია. ყველაზე მეტ შხამს ადამიანი სიგარეტის ბოლომდე მოწვეით ჩაისუნთქავს. როგორც გამოკვლევები აჩვენებს, ადამიანები რომლებიც მოწევას მოზარდობის პერიოდიდან იწყებენ (ასეთი კი მწველთა საკმაოდ დიდი პროცენტია), 20-25 წლით უფრო ადრე იღუპებიან, ვიდრე ისინი, ვისაც არასოდეს მოუწევია.

„მოწევა სერიოზულ ზიანს გაყენებთ თქვენ და თქვენს ირგვლივ მყოფთ“!

**თერმოფსისი ლანცეტისებრი - *Thermopsis lanceolata* R. Br.
ოჯ. პარკოსანნი – Fam. Leguminosae**



მრავალწლოვანი ბალახოვანი 20-40 სმ სიმაღლის მცენარეა, მხოხავი გრძელი ფესურით. ღეროები სწორმდგომია, წახნაგოვანი, შებუსუსული. ფოთლები სამწევრია, ფოთოლაკები მოგრძო-ხაზურია ან უკულანცეტა. ყვავილეთი - წვეროსეული მტევანია, ყვავილები მოპირისპირედაა განწყობილი ან რგოლურია, გვირგვინი ყვითელია. ნაყოფი - ხაზური ყავისფერი პარკია, შავი თირკმლისებრი თესლებით. ყვ. V-VI; ნაყ. VIII.

ბუნებრივად გავრცელებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, ყირგიზეთში, ყაზახეთსა და ბაშკირეთში. სამკურნალო ნედლეულს ბალახი წარმოადგენს, აგროვებენ ყვავილობის საწყის პერიოდში. ბალახი შეიცავს ალკალოიდებს - თერმოფსინს, ჰომოთერმოფსინს, პახიკარპინს, ანაგირინს, მეთილციტიზინს, გლიკოზიდ თერმოფსილანცინს, საპონინებს, მთრიძლავ ნივთიერებებს, ლორწოს, ეთერზეთებს, ფისებს; თესლებში აღინიშნება - ალკალოიდი ციტიზინი, რომელიც ამ ალკალოიდის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს. ალკალოიდი ციტიზინი მიეკუთვნება განვლიონარული მოქმედების ნივთიერებას, სუნთქვაზე მისი აღმგზნებითი თვისებებიდან გამომდინარე, განიხილება როგორც სასუნთქი ანალეპტიკი. მიღებულია კომპლექსური პრეპარატები „ციტიტონი“ და „ტაბექსი“, ხველების საწინააღმდეგო აბები, დაჭრილი ბალახი. მცენარე გამოირჩევა ძლიერი შემომგარსავი, ამოსახველებელი, სეკრეტოლიტური, მიკრობების და ანთების საწინააღმდეგო, გამაუმტკივნებელი, ჭისმდენი მოქმედებით. ხელს უწყობს არტერიალური წნევის ამაღლებას, საშვილოსნოს ტონუსის გაძლიერებას, აღაგზნებს მადას, ავიწროებს ნერვული სისტემის კვანძებს, გამოირჩევა კურარეს მსგავსი მოქმედებით.

თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა სახის გაციებებისა და ინფექციური დაავადებებისას. ბალახის ნაყენი ხელს უწყობს სასუნთქი გზებიდან ნახველის სწრაფ გამოდევნას, აღაგზნებს სუნთქვას, ხსნის პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმებს, მითითებულია ჰიპერტონიული დაავადებებისას; ბალახის ფხვნილი ინსექტიციდური მოქმედებისაა. ეფექტური ჭისმდენი

საშუალებაცაა. მას უნიშნავენ არა მხოლოდ ფილტვებისა და ბრონქების ანთების დროს, აგრეთვე ციებ-ცხელების, გრიპის, თავის ტკივილებისა და ნაწლავების ათონიის სამკურნალოდ.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია, მიიღება ექიმის რეკომენდაციით. ჰიპერმგრძობიარეა კუჭისა და 12-გოჯანაწლავის წყლულის დროს. დოზის გადაჭარბება იწვევს პირღებინებას.

ინდური ლემა – *Datura innoxia* Mill.

ოჯ. დაღყურძენასებრნი - Fam. Solanaceae



ერთწლოვანი 60-150 სმ სიმაღლის ბუჩქისებრი ბალახოვანი მცენარეა მთავარდერძა ფესვთა სისტემით. ღერო დატოტვილია. ფოთლები მსხვილია, მორიგეობითი, გრძელყუნწიანი, ფართოკვერცხისებრი, ფოთლის ფირფიტა ასიმეტრიულია, კიდემთლიანი ან ოდნავ ტალღოვანი. ყვავილები თეთრია ან მკრთალი იასამნისფერი, მარტოული, მსხვილი. ნაყოფი - მურა ან მონაცრისფრო-მწვანე კოლოფია, წვრილი, ნემსისებრი ეკლებით, მრავალრიცხოვანი შავი თესლებით. ყვ. V-VII; ნაყ. VIII. ბუნებრივად იზრდება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. ინტროდუცირებულია აფრიკაში, აზიაში, ავსტრალიასა და ევროპაში.

მცენარის ყველა ნაწილი დაზიანებისას გამოჰყოფს არაქისის მყრალი ზეთის მაგვარ სუნს. შეიცავს ალკალოიდებს: სკოპოლამინს, ჰიოსცამინს, ნორჰიოსცამინს, ტიგლოიდინს, მეტელოიდინს, ატროპინს, ტროპინსა და ფსევდოატროპინებს. ძირითადი ალკა-

ლოიდი სკოპოლა-მინია, რომლის შემცველობა სხვადასხვა ორგანოში განსხვავებულია, ფოთლებში - 0,005-0,16%, ღეროებში - 0,04-0,122%, ფესვებში - 0,08%, ყვავილებში - 0,34%, ნაყოფებში - 0,38-9,41%, თესლებში - 0,77%.

სკოპოლამინი ხასიათდება გამოკვეთილი სპაზმოლიტური მოქმედებით, ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე მოქმედების მიხედვით მსგავსია ალკალოიდების ამავე ჯგუფის - ატროპინისა და ჰიოსცამინის.

სამკურნალო ნედლეული თესლებია; იხმარება სკოპოლამინის ჰიდრობრომიდის მისაღებად. მედიცინაში გამოიყენება ფსიქიატრიაში როგორც დამამშვიდებელი, ნევროლოგიაში - პარკინსონის, დამბლის დაავადებებისას; ქირურგიაში - ძილის მომგვრელ და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად, აგრეთვე ზღვისა და ჰაერის დაავადებებისას გულისრევის საწინააღმდეგოდ.

უკუქმედება: მთელი მცენარე ჰალუცინოგენურია, შეიცავს შხამებს საშიშ ზღვრამდე, მისი შემთხვევითი მიღება შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს ადამიანისა და ცხოველებისათვის.

ინდური ლოტოსი - *Nelumbo nucifera* Gaertn.

ოჯ. ლოტოსისებრნი - Fam. Nelumbonaceae



მრავალწლოვანი წყლის მცენარეა დაკორძებული ფესურით. ფოთოლი ორგვარია, მცურავი, გრძელღეროიანი, ფარისებრი ფორმის, შუაში ჩაზნექილი, სანთლისებრი ნაფიფქით დაფარული; მეორე ტიპის ფოთლები წყალზე ამალღებულია, სწორმდგომი ყუნწებით,

მაბრისებრი ფორმის, მცურავ ფოთლებზე უფრო დიდი, 60-70 სმ დიამეტრის. ყვავილები მსხვილია, წყლის ზემოთ აღმართული გრძელი ღეროებით; ყვავილობის დასაწყისში კაშკაშა ვარდისფერია, დაყვავილებისას - თეთრი, ნაზი სასიამოვნო არომატის. ნაყოფი კოლოფია, თესლი ტყის თხილის ზომისაა, მაგარი, მომწიფებისას წყლის ფსკერზე ეშვება, გაღივების უნარს დიდხანს ინარჩუნებს.

ტროპიკული რელიქტური სახეობაა. გავრცელებულია აზიის ტროპიკულ და ზომიერ რეგიონებში, მათ შორის ვიეტნამში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ირანში, კორეაში, პაპუა-ახალ გვინეაში, ტაილანდში, ფილიპინებზე, შრი-ლანკაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, რუსეთში - შორეულ აღმოსავლეთში, აზერბაიჯანში - კასპიის ზღვის სანაპიროზე.

მთელი მცენარე საკვებად გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ ლოტოსი იზრდება სილნარ, ჭუჭყიან წყალსატევებში, მას სისუფთავის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ამიტომ ითვლება, რომ მის ყველა ნაწილს ძალუმს ორგანიზმის გასუფთავება შხამების, შლაკებისა და ცუდი დაავადებებისაგან.

მედიცინაში გამოიყენებულია თესლები და ფოთლები. მათში აღინიშნება შემდეგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, წყალი, ნაცარი, გაჯერებული მჟავები, ვიტამინები (A, B₁, B₂, B₃, B₆, B₉), მაკროელემენტები (Ca, Mg, Na, K, P), მიკროელემენტები (Fe, Zn, Cu, Mn), ალკალოიდები.

ჩინური ტრადიციული მედიცინის თანახმად ლოტოსის თესლი შემდეგი თვისებებით ხასიათდება: “ტკბილი”, “შემკვრელი”, “ნეიტრალური”. მოქმედებს გულის მერიდიანებზე, თირკმელებსა და ელენთაზე; გულს ენერგიით კვებავს, ამშვიდებს ნერვებს. ფოთლების თვისებები: “მწარე”, ოდნავ “ტკბილი”, “ნეიტრალური”, მოქმედებს თესლის მსგავსად იგივე მერიდიანებზე.

თესლების ნახარშს იყენებენ აჩქარებული გულისცემის, გაღიზიანებისა და უძილობის, თირკმელებისა და ელენთის უკმარისობის, დიარეის დროს.

ფოთლები გამოიყენება ციებ-ცხელების, გაღიზიანების, მაღალი ოფლიანობის, კუჭის აშლილობის, თავბრუსხვევის, ჰიპერტონიის

შემთხვევაში; აჩერებს შარდსადინარებიდან, ცხვირიდან სისხლდენებს.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! უაღრესად მნიშვნელოვანია პრეპარატის დოზების ზუსტი დაცვა. მცენარეში შემავალი ალკალოიდი – ნელუმბინი იწვევს პირღებინებას, გულისცემის აჩქარებას, გადაჭარბებული დოზა კი ლეტალურ აღსასრულს. გამოორიცხულია თესლების მიღება ყაბზობისას.

იორდასალამი - *Paeonia anomala* L.

ოჯ. იორდასალამისებრნი - Fam. Paeoniaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 50-100 სმ სიმაღლის ფესურიანი მცენარეა კაშკაშა ვარდისფერი ყვავილებით. გავრცელებულია ციმბირში, ყაზახეთში, მონღოლეთსა და ჩინეთში. მიეკუთვნება იშვიათ მცენარეთა რიცხვს, შეტანილია ყაზახეთისა და კომის რესპუბლიკის „წითელ წიგნებში“. აქტიური ნივთიერებები თავმოყრილია ფესურაში; შეიცავს ეთერზეთებს, თავისუფალ სალიცინის, გალისა და ბენზოინის მჟავებს, მეთილსალიცილატს, პეონილს, პეონოზიდს, პეონოფლორინს, ირიდოიდებს, კარვაკროლს, მიკროელემენტებს, გლიკოზიდებს, ფლავონოიდებს, საპონინებს, სტერინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქარს, სახამებელს, გლიკოზიდ სალიცინს, ფისებს და ალკალოიდებს კვალის სახით. დამტკიცებულია მცენარის ფიტონციდური აქტივობა.

სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი და ფესურა ფესვებითურთ. იორდასალამის პრეპარატები ხასიათდება დამამშვიდებელი, კრუნ-

ჩხვების, ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული, გამაუმტკივნეული და მატონიზირებელი თვისებებით. გამოიყენება კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების, სისხლდენების, ხველების, უძილობის, ეროზიების, ჰიპერტონიის სამკურნალოდ; განსაკუთრებით ეფექტურია წყლულოვანი დაავადებებისა და გასტრიტების დროს, კარგად უმკლავდება ტიფს, დიზენტერიას, კუჭის აშლილობას, პირღებინებას, ხსნის დამაბულობას, აღადგენს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს განწყობილებას. არის აღმოსავლეთის მკურნალები წარმატებით იყენებდნენ სურავანდის, ხველების, ციებ-ცხელების, ნიკრისის ქარების სამკურნალოდ, გარეგანად: კანის ტუბერკულოზისა და ეროზიის, ყურის ჩირქოვანი დაავადებებისას. პრეპარატის რეგულარული გამოყენება აწესრიგებს გულ-სისხლძარღვთა და შარდსასქესო სისტემის მოქმედებას. არსებობს ვერსია, რომ ის კურნავს მამაკაცების იმპოტენციას, თუმცა მედიცინას ჯერ არ ჩაუტარებია კვლევები ამ მიმართულებით.

ბალახისა და ფესვების სპირტიანი ნაყენი იწვევს სედატურ და გამოკვეთილ გამაუმტკივნეულ მოქმედებას, მიიღება ნევრასტიკის, იპოხონდრიის, შიზოფრენიის, მაღალი ნერვული აღზნების, უძილობის, სხვადასხვა ეთიოლოგიის ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონიის დროს.

მას იყენებენ ეროზიისა და საშვილოსნოს კიბოს ადრეული სტადიების სამკურნალო საშუალებად, არსებობს ფაქტები გამოჯანმრთელების ან სიმსივნის ზრდის შეფერხების.

უკუმაჩვენებლები: მცენარე შხამიანია! გამოყენებისას ზუსტად უნდა იყვეს დაცული ნორმები. არ არის რეკომენდირებული ჰიპერაციდული გასტრიტით დაავადებულთათვის, ჰიპოტონიკებისა და ფეხმძიმე ქალების მიერ მათი გამოყენება.

კავკასიური ხარისძირა - *Helleborus caucasicus* A.Br.
ოჯ. ხარისძირასებრნი - Fam.Helleboraceae



მრავალწლოვანი, ბალახოვანი მცენარეა, სუსტად შეფოთილი 20-40 სმ სიმაღლის ღეროთი. ფესვთაური ფოთლები გრძელ ყუნწებზეა, ტყავისებრი, შიშველი, თათისებრ გაყოფილი ფართოლანცეტა ან ფართო ელიფსურ ნაკვეთბად, ფუძესთან სოლისებრ შევიწროებული და კიდეებზე მსხვილ ორმაგხერხებილა. ყვავილები დიდი ზომისაა 5-8 სმ დიამეტრის, ყვავილსაფრის ფოთლები მომწვანო-მოყვითალო-მოთეთროა, ხშირად ყვავილობის შემდეგ მწვანდება. სანექტრები მწვანეა, თითქმის ორტუჩა. თესლები შავია, პრიალა, ნაოჭიანი. ყვ. II-III; ნაყ. V-VI; კავკასიის ენდემური, რელიქტური სახეობაა, ირადიაციებით, ტყის, მეზოფილური.

სამკურნალოდ გამოიყენება ფესურა ფესვებითურთ. აგროვებენ შემოდგომაზე. აშრობენ - ჰაერზე, ჩრდილში, ან საშრობებში, 35-40⁰ C ტემპერატურაზე.

შეიცავს საგულე გლიკოზიდებს: დეზგლიკოგენს, კოლერბორინ K და კოლერბორინ P; ალკალოიდებს, რანუნკულინს, პროტოანემონილს.

გვარი ხარისძირას სახეობებს, როგორც სამკურნალო საშუალებას, უძველესი დროიდან იცნობდნენ. მას ჯერ კიდევ პლინიუსი მოიხსენიებს, ნახსენებია აგრეთვე VII საუკუნის ფრანგი ეგზარხოსის იოანეს ნაშრომებში. დავით ბაგრატიონის (1985) „იადიგარ დაუდში“ მოცემულია ხარისძირა, როგორც თიაქარისა და ყურის

ტკივილის სამკურნალო საშუალება. ზაზა ფანასკერტელი-ციცი-შვილის (1978) „კარაბადინში“ მოყვანილია ხარისძირა, რომელიც „მხურვალ არს და გამღებელი შავისა ნაღველისა და თელგამისა და გამწმენდელი სტომაქისა და გამრეცხელი“. გამოიყენებოდა, როგორც ტკივილგამაყუჩებელი, მოწამვლის საწინააღმდეგო საშუალება, აგრეთვე „წამალი გულისა და ფერდთა ტკივილისა, რომე სიგრილისაგან და ბალღამისადან იყოს“.

ხარისძირაში შემავალი საგულე გლიკოზიდები (ჰელებორინი და ჰელებორეინი) მოქმედებს ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე, აძლიერებს მიოკარდიუმის შეკუმშვის უნარს, გააჩნია მნიშვნელოვანი კარდიოტონური აქტივობა. გლიკოზიდების გავლენით მცირდება მადა, აქვს დამამშვიდებელი მოქმედება. გამოიყენება ჭარბწონიანობის მძიმე ფორმის, სისხლის მიმოქცევის დარღვევის, გულის ქრონიკული უკმარისობის დროს. ძმარში მოხარშული ფესვები გარეგანად იხმარება ჩირქოვანი ჭრილობების ჩამოსაბანად. აგრეთვე თმის ცვენისა და ქერტლის საწინააღმდეგოდ.

უკუქმედება: მცენარის ფესვი და ფესურა შხამიანია! გამოყენებისას დიდი სიფრთხილე გმართებთ!

კოკა, კოკაინის ბუჩქი - *Erythroxylon coca* Lam.

ოჯ. ერთთროქსილონისებრნი - Fam. Erythroxylaceae



უხვად შეფოთლილი, მარადმწვანე, 2-3 მ სიმაღლის ბუჩქია. სამშობლო სამხრეთ ამერიკის ტროპიკული მთიანი ტყეებია: პერუ, ბოლივია და ანდების აღმოსავლეთი ფერდობები, მაგრამ ველურად

დღეს აღარ გვხვდება და ოდითგანვე აქ კულტივირებულია ინდიელების მიერ.

ესპანელებმა XVI ს-ში გაიგეს კოკას ფოთლების არაჩვეულებრივი თვისებები, გაირკვა, რომ ინდიელები დასრესილ ფოთლებს ურევდნენ სხვადასხვა მცენარის ნაცარს და ამზადებდნენ პატარა ზომის გუნდებს, რომლებსაც საღებავად იყენებდნენ, რაც იწვევდა მატონიზირებელ მოქმედებას, ენერჯის მატებას, შიმშილისა და წყურვილის გრძნობის დაქვეითებას; ხმარობდნენ ხანგრძლივი მოგზაურობების, ომების, ვერცხლის საბადოებში მუშაობისას და სხვ.

კოკას ფოთლები შეიცავს ალკალოიდებს, რომელთა საერთო ჯამი 0,5-1,5% შეადგენს. ძირითადად აქ კოკაინი წარმოადგენს, მიეკუთვნება ტროპანული ალკალოიდების ჯგუფს. ბიოსინთეზური პროცესების შედეგად, რომელიც კოკას ფოთლებში მიმდინარეობს, ტროპანი გარდაიქმნება შენაერთად, რომელსაც ეკგონინომს უწოდებენ, წარმოადგენს სხვადასხვა კოკაინების მიღების საფუძველს.

გამოიყენება ადგილობრივი ანესტეზიისათვის ქირურგიაში, აგრეთვე პირის ღრუს, ხახის, ცხვირის, თვალის რქოვანასა და კონიუნქტივის ოპერაციებში. კოკაინის ჰიდროქლორიდის ხსნარი იხმარება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში. კოკაინს შესწევს უნარი მოახდინოს ნერვული დაბოლოებების პარალიზება, ტკივილების გაყუჩება. სისხლში მოხვედრისას იწვევს ეიფორიას, მოქმედებს აღმგზნებად ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ხოლო განმეორებითი მიღება იწვევს მისადმი ძლიერ დამოკიდებულებას.

უკუქმედება: კოკაინი, რომელიც კოკას შემადგენლობაში შედის, ძლიერმომქმედი ნარკოტიკია, იწვევს მისადმი მყარ დამოკიდებულებას, სიმპტომებია: ტახიკარდია, არტერიალური წნევის აწევა, ქოშინი, ოფლიანობა, თვალის გუგის გაფართოება, ეიფორია, რაც გადადის დეპრესიაში; დოზების გადაჭარბებას მოსდევს ჰალუცინაციები, ფსიხოზები, ორგანიზმის მოწამლვა, ტვინის რღვევა და სიკვდილი.

დამოუკიდებლად, კოკაინის მიღება კანონით აკრძალულია!

კონიო - *Conium maculatum* L.
ოჯ. ქოლგოსანნი – Fam. Umbelliferae



ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 2 მ-მდე სიმაღლის; ღერო დაღარულია, დატოტვილი, ხასიათდება ლეგა ნაფიფქით და მოწითალო-მურა შეფერილობის ლაქებით. სიცოცხლის პირველ წელს ინვითარებს ფესვთანური ფოთლების კონას, მეორე წელს კი ღეროებს. ფოთლები მორიგეობითია, ქვედა - ყუნწიანია, სამმაგფრთისებრ განკვეთილი, ზედა - მჯდომარე. ყვავილები წვრილია, თეთრი, შეკრებილია ფარისებრსაგველა ყვავილედეზად. ნაყოფი მომრგვალო ან კვერცხისებრი ბაცი-მურა წყვილი თესლურაა. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX. **მცენარე ძლიერ ტოქსიკურია**, ისტორიაში შევიდა არა მხოლოდ სამკურნალო, სასიკვდილო შხამის სახელითაც, რომელსაც იყენებდნენ ძველ საბერძნეთში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში ადამიანების საჯაროდ დასასჯელად. ამ შხამით იქნა მოკლული ანტიკური სასამართლოს მიერ სიკვდილით მისჯილი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი სოკრატე.

სამკურნალო ნედლეულს ბალახის ზედა ნაწილი (ყვავილები, ფოთლები, ღერო, ნაყოფები) წარმოადგენს. ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი, სპაზმოლიტური, ჭრილობების შემახორცებელი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო, ჰიპოტენზიური, ანტისიმსივნური, იმუნო-მასტიმულირებელი მოქმედებით.

შინაგანად მიიღება ეპილეფსიის, ტუბერკულოზის, შაკიკის, ჰიპერტონიის, კუჭის წყლულის, ყაზოზის, ათაშანგის, სმენის დაკარგვის, სისუსტისა და სხვა დაავადებებისას.

კონიოს სპირტიან ნაყენს იყენებენ აგრეთვე მასტოპატიის, საშვილოსნოს მიომის, საშვილოსნოში და საშვილოსნოს ყელზე პოლიპების, წინამდებარე ჯირკვლის ადენომის, ქორეის, ეპილეფსიის, ენდომეტრიოზის, კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ და სხვ.

ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან გამოიყენება კიბოს პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის, ამასთან ყველა ლოკალიზაციის (მკერდის, კუჭის, ღვიძლის, ფილტვების, პროსტატის, თირკმელების, ლეიკოზისა და კანის კიბოს) სამკურნალოდ.

უკუჩვენება: კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ, მცენარის მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო, **დოზის სულ მცირე გადაჭარბება ლეტალურ დასასრულს იწვევს.**

კურდღლისცოცხა - *Genista tinctoria* L.

ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae



50-150 სმ-მდე სიმაღლის ნახევრადბუჩქია. ტოტები შიშველია, ზევით მიმართული. ფოთლები ხაზურია ან ლანცეტისებრი, მახვილწვერიანი, ფუძესთან - შუბისებრი. ყვავილები ყვითელია, მოკლე საყვავილე ყუნწებზე, შეკრებილია ტოტების წვერებზე ხშირ მტევნებად. ნაყოფი - ხაზური, შიშველი, ოდნავ მოღუნული პარკია. თესლი მოშავო-მურაა, ელიფსური, პრიალა. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

გავრცელებულია მცირე და შუა აზიაში, კავკასიაში და მთელ ევროპაში. იზრდება მშრალ ტყეებში, ბუჩქნარებში, ძირითადად კირქვიანებსა და ქვიშნარებზე.

სამკურნალოდ გამოიყენება მოყვავილე ყლორტები. შეიცავს: ალკალოიდებს (მეთილციტიზინს, ციტიზინს და სხვ.), ფლავონოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ტრიტერპენული ჯგუფის საპონინებს, ფისოვან ნივთიერებებსა და ორგანულ მჟავებს, ეთერზეთებს, პიგმენტებს - ლუთეოლინსა და გენისტეინს, ასკორბინის მჟავას, დიდი რაოდენობით მიკრო და მაკროელემენტებს, განსაკუთრებით კალციუმს, კალიუმს, რკინას, ფოსფორს, მარგანეცს, კრემნიუმს, ბარიუმს.

მცენარის სამკურნალო ფორმები ხასიათდება სისხლშემაჩერებელი, ოფლმდენი, შარდმდენი, ნალველმდენი, დამამშვიდებელი, საერთოგამაძლიერებელი და სისხლძარღვების გამაფართოებელი მოქმედებით. გარდა ამისა მისი ექსტრაქტი წარმოადგენს ძლიერ ანტიბაქტერიალურ და სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალებას.

ხალხურ მედიცინაში დაგროვილია მონაცემები ბალახით ვენერიული დაავადებებისა და ავთვისებიანი სიმსივნეების განკურნებისა. საკმაოდ მომქმედია ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სამკურნალოდ. ნაყენით მკურნალობენ საყმაწვილოს, კანის დაავადებებს (ფურუნკულებს, პიოდერმას), ბუასილს, სისხლდენებს, ჰიპოტენზიას, ქალურ დაავადებებს, პროსტატას, თირკმელებს, ციებას, შაკიკს, ასთენიას, ძვლის მოტეხილობებს; შველის საშვილოსნოდან სისხლდენებს.

უკუჩვენება: მცენარე შხამიანია, განსაკუთრებით თესლები! რის გამოც გულდასმით უნდა დაიცვათ ექიმის მიერ რეკომენდირებული დოზები. აკრძალულია ფეხმძიმე ქალებისათვის, ჰიპერტონიით და გულის იშემიური დაავადებულთათვის.

კუროსთავი - *Tribulus terrestris* L.
ოჯ. ორყურასებრნი - Fam. Zygophyllaceae



ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა გართხმული, დატოტვილი ღეროთი, ყვითელი ყვავილებით და ვარსკვლავისებრ გაფართოებული 5-კაკლუჭიანი ნაყოფებით, თითოეულ მათგანზე ორი ეკალია განვითარებული. ყვ. IV-X; ნაყ. V-XI. სარეველას, იზრდება მთის შუა სარტყლამდე, რუდერალურ და ქვიშნარ ადგილებში. სამკურნალოდ ბალახი გამოიყენება, აგროვებენ ყვავილობის და ნაყოფმსხმოიარობის პერიოდებში. შეიცავს დიდი რაოდენობით ვიტამინ C, ალკალოიდებს, სტეროიდულ გლიკოზიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, საპონინებს, ფლავონოიდებს, მცენარეულ სტერინებს, ცხიმზეთებს, ბიოლოგიურად აქტიურ ცილებს, კალციუმს, ფოსფორს, რკინას. თესლებში აღინიშნება ჰორმონები.

ხასიათდება ანტისიმსივნური, ანთების საწინააღმდეგო, სისხლშემაჩერებელი, მატონიზირებელი, შემკვრელი, შარდმდენი, ნაღველმდენი მოქმედებით.

საუკეთესო საშუალებაა სკლეროზის პროფილაქტიკის; ხელს უწყობს ნაღვლის წვენის გამოყოფის სტიმულირებას, ორგანიზმში ლიპიდების დონის შემცირებას, ახდენს ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედების ნორმალიზებას, აუმჯობესებს სქესობრივ აქტივობას, გამოაქვს თირკმელებიდან და შარდის ბუშტიდან ქვები, ზედმეტი ქოლესტერინი, ამცირებს სისხლის შედედებას. ნაყენსა და ნახარშებს იყენებენ კონიუნქტივიტის, თავის ტკივი-

ლების, ყაბზობის დროს; წვენი იხმარება კანის სოკოვანი და ვირუსული დაავადებებისას; მას ხმარობენ იშემიური და ჰიპერტონიული დაავადებების, სისხლძარღვების ათეროსკლეროზის სამკურნალოდ. რეკომენდებულია 30 წლამდე ასაკის მამაკაცებისა და ქალებისათვის, რაც ადვილი ასახსნელია, მცენარეში შემავალი ნივთიერება ორგანიზმში გამოიმუშავებს ჰორმონებს, რომელსაც მოჰყავს ტესტოსტერინის, ესტროგენის, პროგესტერონის სინთეზის ბალანსი ნორმაში. კურნავს მამაკაცეში უნაყოფობას.

უკუჩვენება: ვინაიდან მცენარეში აღინიშნება **შხამიანი ნივთიერებები**, მისი გამოყენება უნდა განხორციელდეს ექიმის კონსულტაციის შემდეგ. დაუშვებელია მისი ხმარება დაბალი არტერიული წნევის შემთხვევაში.

ლება - *Datura stramonium* L.

ოჯ. ძაღლყურძენასებრნი- Fam. Solanaceae



ერთწლოვანი ბალახოვანი 30-150 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მთავარდერძა დატოტვილი ფესვით. ღერო სწორმდგომია, შიშველი. ფოთლები მორიგეობითია, ყუნწიანი, კვერცხისებრი, მსხვილკბილისებრ ამოკვეთილი, წაწვეტებული, ზედა მხარეს მუქი მწვანე შეფერილობის, ქვედა - ბაცი. ყვავილები დიდი ზომისაა, ძაბრისებრი, 5-ნაკვთიანი თეთრი გვირგვინით, მძლავრი უსიამოვნო სურნელის. ნაყოფი კოლოფია, მსხვილი ეკლებით მოფენილი.

ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX; იზრდება რუდერალურ ადგილებში, ჩვეულებრივია. სამკურნალოდ გამოიყენება ფოთლები და თესლი. შეიცავს: ვიტამინ C, მინერალურ ნივთიერებებს - კალციუმს, კალიუმს, რკინას, მაგნიუმს, ნატრიუმს, სპილენძს, თუთიას, ფტორს, ლიმონელის, ოლეინის, პალმიტინის, სტეარინის და სხვა ორგანულ მჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ცხიმზეთებს, კაროტინს, ალკალოიდებს (ატროპინს, ჰიოსცამინს, სკოპოლამინს, დაურინს და ა.შ.), ცილებს და სხვ. ხასიათდება სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი მოქმედებით.

გამოიყენება ნაწლავების სეკრეციის შესამცირებლად, ანელებს საკვებმონელების პროცესებს, კურნავს ლიმფური კვანძების ანთებას, ასთმას, კრუნჩხვით ხველებას, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის და ნაღვლის სადინარების დაავადებებს, შველის კუჭის ჭვლებს, საშვილოსნოსა და მსხვილი ნაწლავის დაწვევას, აფართოებს ბრონქების მუსკულატურას. ბალახის ნახარშს იყენებენ ეპილეპსიის, სპაზმების, სლოკინის, ქოშინის, ყელისა და პირის ღრუს ანთების, კბილის ტკივილების დროს. ნაყენით მკურნალობენ ნერვული სისტემის დარღვევებს, სტრესებს, უძილობას, ფსიქიურ დაავადებებს, ნევრასტენიას. ადვილად კურნავს კრუნჩხვებს და მეტყველების დარღვევებს. რეკომენდებულია მისი აბაზანები და კომპრესები ეგზემის, რევმატიზმის, დაჟეჟილობებისას.

უკუჩვენება: შხამიანი მცენარეა! გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ძლიერი მოწამლევა, პირველი სიმპტომები: ადამიანი კარგავს ორიენტაციას, აღინიშნება მკვეთრი ალგზნება, ტემპერატურის აწევა, ქოშინი, კრუნჩხვები, არტერიალური წნევის დავარდნა, გონების დაკარგვა და კომატოზური მდგომარეობა. იშვიათ შემთხვევებში სასუნთქი ორგანოების დამზლა და ლეტალური აღსასრული. მიმართეთ სასწრაფო დახმარებას; ექიმის მოსვლამდე, ხელოვნურად გამოიწვიეთ პირღებინება, ნაწლავების გამორეცხვა, მოგვიანებით მიაღებინეთ ნახშირი.

ლენცოფა - *Hyoscyamus niger* L.
ოჯ. დაღლყურძენასებრნი - Fam. Solanaceae



ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, უსიამოვნო სუნით. სიცოცხლის პირველ წელს წარმოქმნის ფოთლისეულ როზეტს, მეორე წელს - 20-120 სმ-მდე სიმაღლის დატოტვილ ღეროს. ფოთლები მორიგეობითია, რბილი, მჯდომარე, ზედა მხარეს - მუქი მწვანეა, რბილი, ქვედაზე - ბაცი ნაცრისფერი, წებოვანი. ყვავილები ძაბრისებრია, მოყვითალო-მომწვანო შეფერილობის, იშვიათად - მოთეთრო, მეწამულ-იისფერი ძარღვებით, მცირე-რიცხოვანი. ნაყოფი - დოქისებრი, კვერცხისებრი, მრავალრიცხოვანი კოლოფია. ყვ. V-VII; ნაყ. VIII-IX; საქართველოს ბევრ კუთხეშია გავრცელებული, იზრდება უმენ ადგილებში, საცხოვრებელ სახლებთან, საქონლის სადგომებთან, იშვიათად ბოსტნებსა და მიწოდვრებში.

სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს, პირველ წელს აგროვებენ ზაფხულის ბოლოს, მეორე წელს ყვავილობის დაწყებამდე. მცენარის მთავარ მომქმედ საწყის წარმოადგენს ტროპანული რიგის ალკალოიდები - ჰიოსცამინი, სკოპოლამინი, ატროპინი, აგრეთვე, ალკალოიდები - ჰიოსციპიკრინი, ჰიოსცერინი, ჰიოსცი-რე-ზინი, აღინიშნება მინარევების სახით ეთერ-ზეთები, ცილები, შაქრები, ფისი, მინერალური მარილები, მთრიმლავი ნივთიერებები. უძველეს სამკურნალო მცენარეების რიცხვს მიეკუთვნება. მისი პრეპარატები ახდენს ნაწლავების, ნაღვლის ბუშტის, შარდსადინარი გზების გლუვი მუსკულატურის სპაზმების შემცირებას, მოქმედებს ბრონქების გლუვ კუნთებზე, ამუხრუჭებს ლორწოვანი

სითხის, ნერწყვის, ლორწოსა და კუჭის წვენი გამოყოფას. ოფიცინალური მედიცინა იყენებს ლენცოვას პრეპარატებს. ექსტრაქტს - როგორც სპაზმების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას; ატროპინს - კუჭისა და თორმეტგოჯანწლავის წყლულის, ბრონქიალური ასთმის, ნაწლავებისა და ნაღვლის ბუშტის სადინარების სპაზმური მდგომარეობის დროს. ჰიოსცამინი აქტივობით აჭარბებს ატროპინს; სკოპოლამინი განსხვავებით ატროპინისაგან, დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ქირურგიაში იყენებენ ნარკოზისათვის მოსამზადებლად. შედის პრეპარატ „აერონის“ შემადგენლობაში, იხმარება ზღვის ავადმყოფობის პროფილაქტიკისა და სამკურნალოდ. ფოთლები შედის ანტიასმატური მოსაწევი ნაკრების შემადგენლობაში. თესლებისაგან მიღებული ე. წ. „თეთრი ზეთი“ სკიპიდართან და ქლოროფორმთან ერთად გამოიყენება დასაზღვრად რევმატიზმისა და ნევრალგიური ტკივილებისას (ადგილობრივი გამაუმტკივნეული მოქმედების გამო). რექტალური სანთლების სახით გამოიყენება მსხვილი ნაწლავის, შარდსადინარი გზების, საშვილოსნოს ყელის გლუვი მუსკულატურის მტკივნეული სპაზმების შესამცირებლად.

ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდან იხმარება, როგორც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი და ანტისპაზმოლიტური საშუალება; ფოთლებს იყენებდნენ თავის ტკივილის, ხველების, ბრონქიალური ასთმის, კუჭის სპაზმის, გართულებული მოშარდვის, ტკივილიანი მენსტრუაციის, უძილობისა და ისტერიის დროს. თესლებისაგან დამზადებულ მაღამოს იყენებდნენ ძვლის ტუბერკულოზის დროს. ქართულ ხალხურ მედიცინაში გამოიყენებოდა როგორც ტკივილის დამაყუჩებელი ცოფის, ავი ზნისა და კრუნჩხვითი მოვლენების საწინააღმდეგო საშუალებად. ლენცოვას ორთქლის აბაზანას უკეთებდნენ უშვილო ქალებს, ხოლო მთლიანი მცენარისაგან მოხარშულ ფაფას სიმსივნის ჩასაცხრობად შემოადებდნენ.

უკუჩვენებები: მცენარე ძლიერ შხამიანია! ყველა პრეპარატი მაღალი აქტიურობით გამოირჩევა, რის გამოც მიღებისას უკიდურესი სიფრთხილეა საჭირო, მიიღება მხოლოდ ექიმის გამოწერით და მისი მეთვალყურეობის ქვეშ. **თვითმკურნალობა, მით უმეტეს დამოუკიდებლად მისი დამზადება ყოვლად დაუშვებელია!**

ლობელია – *Lobelia inflata* L.

ოჯ. ლობელიასებრნი - Fam. Lobeliaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50 სმ-მდე სიმაღლის, სწორმდგომი, წახნაგოვანი, დატოტვილი მოწითალო ღეროთი. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო-კვერცხისებრი, პრიალა, დამარღვული. წვრილი ორტუჩა ყვავილები მოკლეყუნწიანია, ცისფერი ან ლურჯი ფერის, დიდ მტევნისებრ ყვავილედებად შეკრებილი. ნაყოფი ორბუდიანი კოლოფია წვრილი, კვერცხისებრი მურა თესლით. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII.

სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა. სადღეისოდ კულტივირებულია შუა და აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთში, დასავლეთ საქართველოში.

სამკურნალო ნედლეულია ფოთლები, ყვავილები, თესლები. მათგან გამოყოფილია ნივთიერებები: ლობელია, ლობინინი, ნორლობელანინი, ნორლობლანიდინი, ლობელანინი, ლობელანიდინი და ა.შ.

როგორც სამკურნალო საშუალება გამოიყენება კოლაპსის საშიშროების, ნარკოტიკული მოწამლვის, ასთმის, ყივანახველის, ხველების, მზის დარტყმისა და მძიმე ინფექციური დაავადებებისას; კუჭქვეშა ჯირკვლების ფუნქციის სტიმულირებისათვის, გულის მწვავე უკმარისობის, სისხლძარღვების ტონუსის ასამაღლებლად, წნევის დაქვეითების, სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის შემთხვევაში. მას აგრეთვე იყენებენ ახალდაბადებულ ბავშვებში ასფიქსიის მოსახსნელად, სუნთქვის აღსადგენად და სტიმულირებისთვის.

ოფიცინალურ მედიცინაში მიღებულია პრეპარატი ლობესილი, რომელიც ხელს უწყობს თამბაქოს წვეის გადაჩვევას. ბალახს იყენებენ ასთმის საწინააღმდეგო სიგარეტებში.

ტრადიციული ფიტოთერაპევტები ლობელიას თვლიან ერთ-ერთ ყველაზე მომქმედ და სასარგებლო ბალახად პლანეტაზე და იყენებენ მრავალ ბალახოვან ფორმულაში. ლობელია ადაპტოგენია ან “მოაზროვნე” ბალახი, ანუ მას გადააქვს სხვა ბალახების სასარგებლო ფიტოქიმიური ნივთიერებები თავის ნივთიერებებთან ერთად ადამიანის სხეულის იმ წერტილებში, რომლებიც მკურნალობას საჭიროებენ. მცენარე ეფექტურია ორგანიზმიდან ტოქსინების გამოსადევნადაც.

უკუჩვენებები: შხამიანი მცენარეა! დიდ დოზებში იწვევს სუნთქვის პარალიზებას, პირღებინებას, კუჭის ტკივილებს, ფალარათს, გუგების შევიწროებას.

მაგნოლია მსხვილყვავილა - *Magnolia grandiflora* L.

ოჯ. მაგნოლიასებრნი – Fam. Magnoliaceae



მარადმწვანე დეკორატიული 25-30 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, პირამიდალური ხშირი ვარჯით. ფოთლები ყუნწიანია, მორიგეობითი, ტყავისებრი, ელიფსური ან უკუკვერცხისებრი, კიდემთლიანი, ზედა მხარეს შიშველი, პრიალა, ქვედა მხარეს – შებუსხვილი. ყვავილები დიდი ზომისაა (20 სმ-მდე დიამეტრის), არომატული, მარტოული, წვეროსეული; ყვავილსაფრის

გვირგვინის ფურცლები კრემისებრ თეთრია, განწყობილია წრიულად. ნაყოფი - გირჩისებრი მრავალი ფოთლურაა; თესლი დიდია, წითელი, ნაყოფედში ძაფებზეა ჩამოკიდებული. ყვ. VI-IX; ნაყ. X. სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც როგორც დეკორატიული მცენარე.


სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს, რომელსაც ყვავილობის მთელ პერიოდში ამზადებენ. ფოთლები შეიცავს ალკალოიდებს (0,14 %-მდე), რუტინს, ფლავონურ გლიკოზიდებს (0,24 %), ეთერზეთებს (0,6%-მდე), რომლის შემადგენლობაშია ეთერები, სპირტები, ფენოლები და სესკვიტერპენების ნარევი.

მაგნოლიის გალენური პრეპარატები ხასიათდება გამოკვეთილი წნევის დამწევი თვისებებით, რასაც ახლავს გულის რიტმის შენელება, გულის მიდამოებში ტკივილების მოხსნა და ავადმყოფების საერთო განწყობილების გაუმჯობესება. პრეპარატები ეფექტურია ჰიპერტონიული დაავადებების საწყის სტადიაში სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნაყენი გამოიყენება როგორც გარეგანი საშუალება თმის ცვენის დროს.

ოფიცინალურ მედიცინაში გამოიყენება მაგნოლიის ფოთლების თხევადი ექსტრაქტი. ძირითად მაჩვენებელს მის მისაღებად წარმოადგენს ჰიპერტონიული დაავადების I და II სტადია. ხალხური მედიცინის მკურნალების მიერ ამავე მიზნით რეკომენდირებულია ფოთლების სპირტიანი ნაყენის კურსი.

უკუქმდება: მცენარე შხამიანია! დოზის გადაჭარბება სახიფათოა.

მანდრაგორა - *Mandragora officinarum* L.
ოჯ. ძაღლყურძენასებრნი – Fam. Solanaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, რთული ფორმის მუქი ყავისფერი ფესვით, რომელიც მოხაზულობით ადამიანის ფიგურას მოგვაგონებს. ბუნებრივად გავრცელებულია ევროპის სამხრეთით, ხმელთაშუაზღვეთში, განსაკუთრებით აპენინის ნახევარკუნძულის სამხრეთ დაბოლოებაზე და კუნძულ სიცილიაზე, შუა აზიაში, ჰიმალაის მთისწინებსა და ახლო აღმოსავლეთში.

ფესვი, ნაყოფი და თესლი შეიცავს მაღალტოქსიკურ ალკალოიდებს: ატროპინს, მანდრაგორინს (ატროპინის იზომერი), ჰიოსცამინს და სხვ., აგრეთვე მირისტინის მჟავას, ფიტოსტერინებს.

მცენარეში შემავალი ალკალოიდები იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის დათრგუნვას, რის გამოც ხასიათდება დამამშვიდებელი და ძილის მომგვრელი მოქმედებით. ოფიცინალურ მედიცინაში მანდრაგორის ფესვის ექსტრაქტი და ნაყენი შედის ზოგიერთი ანტისპაზმური და ტკივილგამაყუჩებელი წამლების შემადგენლობაში. მას ღებულობენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობის დარღვევების, სხვადასხვა გენეზისის ტკივილების (სახსრების, კუნთების და ა. შ.), ვიტილიგოზა და კანის სხვა პათოლოგიების დროს.

ნედლი დაქუცმაცებული მცენარე ცხელი საფენების სახით იხმარება გამაგრებული ჯირკვლების, სიმსივნეების, შეშუპების დროს; ძალამოების სახით - როგორც გარეგანი ტკივილგამაყუჩებელი საშუალება რევმატიზმისა და ნიკრისის ქარებისას.

ფართოდ გამოიყენებოდა ძველ მედიცინაში, მას იყენებდა დიოსკორიდი და ავიცენა. ანტიკური პერიოდიდან XVIII საუკუნემდე ფართო დიაპაზონის სამკურნალო საშუალებას წარმოადგენდა. არის ერთ-ერთი პირველი ანესთეზიის გამომწვევი პრეპარატი, ვინაიდან ადრეულ პერიოდებში ღვინოსთან შერეულ მანდრაგორის წვეს აძლევდნენ ოპერაციების დროს გასაუმტკივნებლად; მცირე დოზებში გამოიყენებოდა დეპრესიებისა და ფობიებისას.

უკუჩვენება: ძლიერ შხამიანია! უკონტროლო გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს მახსოვრობის დაკარგვა, ტვინის ფუნქციის დარღვევა, ჰალუცინაციები, კომატოზური მდგომარეობა, სუნთქვის შეჩერება და სიკვდილი.

მარიამსაკმელა - *Peganum harmala* L.

ოჯ. მარიამსაკმელასებრნი - Fam. *Peganaceae*



მრავალწლოვანი ბალახოვანი 40-50 სმ სიმაღლის მცენარეა, გრძელი მხოხავი ფესურითა და დამახასიათებელი სპეციფიური სუნით. ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული, შიშველია, ძირამდე სამად გაყოფილი, თითოეული მათგანი თავის მხრივ 2-3 ნაკვთიანია. ყვავილები ტოტების ბოლოებში თითო-თითოდაა განლაგებული, გვირგვინი თეთრია ან მკრთალი ყვითელი. ნაყოფი სფერული კოლოფია, მომწიფებისას სამი საგდულით იხსნება. თესლი სამწახნაგოვანია ან პირამიდული, ბორცვებიანი და ოდნავ პრიალა. ყვ. V-IX; ნაყ. VII-IX.

საქართველოში გავრცელებულია ქართლში, ქიზიყში, გარდაბანში, მესხეთში. იზრდება მთის ქვედა სარტყელში, სტეპებზე, ნახევარ-

უდაბნოებში, ხშირად მლაშობ ადგილებში. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი (შეგროვილი ყვავილობის დასაწყისში), თესვები და ფესვები. შეიცავს ალკალოიდებს: გარმალინს, გარმალოლს, გარმინს, პეგანინს, ცხიმზეთებს, ორგანულ მჟავებს, სტეროიდებს, პროტეინებს, საპონინებს, კაროტინოიდებს;

ბალახი მდიდარია მაკროელემენტებით - კალიუმი, მაგნიუმი, რკინა, აღინიშნება მიკროელემენტებიც - მანგანუმი, სპილენძი, ქრომი, ალუმინი, ნიკელი, ტყვია. მცენარეში აღრიცხულია დიდი რაოდენობის თუთია, სტრონციუმი, მოლიბდენი, ბარიუმი.

მისი პრეპარატები ხასიათდება ანტიოქსიდანტური, ანტიმუტაგენური, ანტისიმსივნიური, ანტიჰელმინტური, ანტიბაქტერიალური, ანტიპროტოზოოული, ანტისპაზმური, ტკივილგამაყუჩებელი, ანთების და პირღებინების საწინააღმდეგო, ძილისმომგვრელი, შარდმდენი და ოფლმდენი მოქმედებით. ბალახის ნახარშები და ნაყენები გამოიყენება შინაგანად გაციების, ათამანგის, მალარიის, ნევრასტენიის, ეპილეპსიის სამკურნალოდ. პირის გამორეცხვის სახით ღრძილების დაავადებებისას, აბაზანები - რევმატიზმის, მუნისა და კანის სხვა ავადმყოფობებისას.

მცენარის ერთ-ერთი ალკალოიდი - გარმალინი წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის სტიმულიატორს. მის საფუძველზე ამზადებენ პრეპარატ დეზოქსიპეგანინის ჰიდროქლორიდს, რომელსაც უნიშნავენ პერიფერიული ნერვული სისტემის (ნევრიტები, მონო და პოლინევრიტები), მიასტენიითა და ჰემიპლეგიით დაავადებულებს.

მეორე ალკალოიდი - გარმინი მედიცინაში გამოიყენება ექსტრაპირამიდული სისტემის, როგორცაა თავის ტვინის - ენცეფალიტი, სისხლძარღვოვანი - ათეროსკლეროზი, ჰიპერტონიული დაავადებების სამკურნალოდ. ალკალოიდის მოქმედება ეფექტურია თავის ქალისა და დაბადებითი ტრავმების, თავის ტვინის სიმსივნეების ან გემატომების დროს. ამ ნივთიერებას, ორგანიზმიდან სწრაფად გამოაქვს ტოქსინები, ხსნის დარიშხნით, ნახშირბადის მჟავით ინტოქსიკაციის შედეგებს, შველის გართულებულ ალერგიებს, ასფიქსიას, ზრდის ერთროციტების რიცხვს, არის სედატური და ძილისმომგვრელი.

ბალახი მოქმედებს თავის ტვინის გარსის მამოძრავებელ ცენტრებზე, რის გამოც იყენებენ არტერიალური წნევის ასამაღლებლად, ნაწლავების, საშვილოსნოს მუსკულატურის მოსადუნებლად, პერიფერიული სისხლძარღვების გასაფართოებლად; ხელს უწყობს დაძაბულობის მოხსნას, სწრაფ და თავისუფალ მოძრაობას, გამოიყენება პარკინსონისა და დამბლის საწინააღმდეგოდ.

თესლებს იყენებენ როგორც ანტისეპტიკურ საშუალებას.

სამკურნალოდ უძველესი დროიდან გამოიყენება. შუა საუკუნეების მეცნიერები მისით მკურნალობდნენ მწვავე ნერვულ დაავადებებს, ეპილეპსიას, დამბლას, სუსტ მხედველობას. მარიამსაკმელა ორგანიზმს სითბოში ამყოფებს, შველის უძილობას, აძლიერებს მენტრუაციას, ორგანიზმიდან გამოაქვს სქელი ნახველი, ნაწლავებიდან გაზები, აღვივებს სისხლს. მისი ნახარში აზიური ქვეყნების ხალხური მედიცინის მიერ რეკომენდირებულია ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებებისას, ასევე მუცლის ტკივილების მოსახსნელად, გულ-სისხლძარღვთა სისტემის პრობლემის, რადიკულიტის სამკურნალოდ. მაგარი ნახარში ტრანკვილიზატორული თვისებისაა.

უკუჩვენება: ვინაიდან მცენარე შხამიანია, მარიამსაკმელას პრეპარატები მიღებულ უნდა იქნეს მხოლოდ ექიმის დანიშნულებით!!! მარიამსაკმელას საშუალებებით მკურნალობისას აუცილებელია დოზების ზუსტი დაცვა. შეიძლება გამოიწვიოს დეპრესია, კრუნჩხვები, გახშირებული გულის ცემა, ჰალუცინაციები, სხეულის ტემპერატურის ვარდნა. ძირითადი ალკალოიდების დიდი კონცენტრაციებით მიღება იწვევს კანკალს, კონვულსიას, მამოძრავებელი აპარატის დამბლას.

მაჯადვერი - *Daphne mezereum* L.
ოჯ. თიბელასებრნი - Fam. Thymelaeaceae



სუსტად დატოტვილი, სწორმდგომი 59-150 სმ სიმაღლის ფოთოლ-მცვენი ბუჩქია, ღერო მსხვილია, მურა ნაცრისფერი ქერქით, ძირიდანვე დატოტვილი. ტოტები წამოწეულია, მარტივია ან ორთითასებრ დატოტვილი. ფოთლები მოგრძო-ლანცეტა ან ნიჩბისებური, მჯდომარეა და თავმოყრილი ტოტების ბოლოებზე. ყვავილები სურნელოვანია, 3-16 ყვავილი კონებადაა შეკრებილი. ყვავილსაფარი გარედან ვარდისფერია, შიგნიდან – თეთრი. ყვავილსაფრის ნაკვეთი ლანცეტაა. ნაყოფი კაშკაშა - წითელი კენკრაა. ყვ. VI; ნაყ. VII-VIII. საქართველოში ბუნებრივადაა გავრცელებული, იზრდება მთის ზედა სარტყლის ტყეებში, ტყის მდელოებზე. სამკურნალოდ გამოიყენება ქერქი, მზადდება ადრე გაზაფხულზე წვენების მოძრაობის პერიოდში და ნაყოფები (გროვდება სრული სიმწიფის პერიოდში). ნედლეულთან მუშაობისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან მცენარის ყველა ნაწილი ძლიერ მზამიანია. მცენარის მზამიან საწყის წარმოადგენს გლიკოზიდი დაფნინი, განსაკუთრებით ფისი - მეზერიინი, რომელსაც ქერქი შეიცავს, ხოლო 10-15 კენკრის მიღება იწვევს სიკვდილს. ქერქში დაფნინის გარდა აღინიშნება უმბელიფერონი, საღებავი ნივთიერებები. ფენოლოგლიკოზიდები, დაფნოზიდი, მეზერიინი, რომელიც წარმოადგენს მოყვითალო-მურა ფისს. ნაყოფებში აღინიშნება - ეთერზეთები, მწარე და საღებავი ნივთიერებები, დაფნინის მსგავსი ნივთიერება, ცხიმები,

ცილები და სხვა ნივთიერებები; თესლებში - ცხიმზეთები და ალკალოიდები კვალის სახით.

წარსულში ქერქის სპირტიანი ნაყენი გამოიყენებოდა გარეგან საშუალებად რევმატიზმის, ნევრალგიების, იშიაზისა და რადიკულიტის, ნიკრისის ქარების, დამბლის, სიმსივნეების და წყლულების, დიათეზის სამკურნალოდ. არასწორი გამოყენების შემთხვევაში პრეპარატი იწვევს დამწვრობას, რომელსაც თან ერთვის კანის ანთებითი პროცესები.

ხალხურ მედიცინაში მცენარე გამოიყენება გარეგანად რადიკულიტის, იშიაზის და ა. შ. სამკურნალოდ. იშვიათად - გაციების, ტუბერკულოზის, სიყვითლის, დიზენტერიის, საყლაპავი მილის და ხახის სიმსივნეების სამკურნალოდ, აგრეთვე, როგორც ჭიების საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი საშუალება კბილების ტკივილისას.

უკუჩვენება: მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

მთის ჩადუნა - *Dryopteris filix-mas* (L.) Schott

ოჯ. მთის ჩადუნასებრნი - Fam. Dryopteridaceae




მრავალწლოვანი ფესურიანი ბალახოვანი 50-100 სმ სიმაღლის მცენარეა. კვირტობისას ფოთლები სპირალურადაა დახვეული, დიდი ზომისაა, მუქი მწვანე, რბილი, მოგრძო ელიფსური ფორმის, ორჯერ ფრთისებრ დაკვეთილი. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სახეობაა, როგორც ბუნებაში, ასევე კულტურის პირობებში. მცენარის

ყველა ნაწილი შეიცავს ფენოლურ ნაერთებს და ანთოციანებს; ფესურაში ამის გარდა აღინიშნება ტრიტერპენოიდები, B ჯგუფის ვიტამინები, მთრიმლავი ნივთიერებები, უმაღლესი ალიფატური სპირტები და ცხიმმჟავები; ფოთლებში ნაპოვნია ეთერზეთები, ვიტამინი C, ფლავონოიდები, უმაღლესი ცხიმმჟავები, მათ რიცხვში ლინოლენის, პალმიტინის, ოლეინის, ლინოლენის, სტეარინის; ლიპიდები, სახამებელი, მწარე ნივთიერებები. სამკურნალოდ ფესურა გამოიყენება. ცნობილია მისი ფარმაცევტული პრეპარატები ექსტრაქტების, ფხვნილებისა და კომპლექსური შენაერთების სახით. მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება ფესურა. როგორც სოლიტერის საწინააღმდეგო ძლიერ მომქმედი საშუალება. იგივე დანიშნულებით ხალხურ მედიცინაში უხსოვარი დროიდან იხმარებოდა. არის ცნობები იმის შესახებაც, რომ ხალხში ჩადუნა ცნობილია, როგორც სისხლდენის შემაჩერებელი და სიცხის დამწვევი საშუალება. გარეგანად გამოიყენება საფენების ან აბაზანების სახით ჩირქოვანი ჭრილობების, წყლულების, რევმატიზმის დროს; ფესურების წყლის ნახარში რეკო-მენდირებულია საჯდომის ნერვის დაავადებების, ხოლო სპირტიანი ნაყენი მშრალი პლევრიტის სამკურნალოდ.

უკუჩვენება: საყურადღებოა ჩადუნას ძლიერი შხამიანობა, მისი სამკურნალოდ გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ექიმის რეკომენდაციით.

მინდვრის ნარი - *Cirsium arvense* (L.) Scop.

ოჯ. რთულყვავილოვანნი - Fam. Compositae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 30-200 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა სწორმდგომი ღეროთი. ფოთლები მარტივია, ფოთოლთგანწყობა მორიგეობითი. ყვავილეთი მომრგვალო-კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-მოგრძო ფორმის კალათებია, ერთეულად განწყობილი ყლორტების წვეროებზე ან მათ უბეებში; ყვავილები აქტინომორფულია, გვირგვინის ფურცლები 5-7 ან უფრო მეტი, მუქი მოვარდისფრო-იისფერი. ნაყოფი მშრალი თესლურაა, მოყვითალო მურა ფერის. ყვ. VI-X; ნაყ. VII-XI. ფართოდ გავრცელებული მავნე სარეველაა, იზრდება მინდვრებში, ბოსტნებში, ტყის ახალგაზრდა ნარგაობებში. ქიმიური შემადგენლობა სუსტადაა შესწავლილი, ცნობილია, რომ შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ალკალოიდებს, გლიკოზიდებს, ცხიმებს, ფისებს, ეთერზეთებს. სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები და მიწისზედა ნაწილი.

ბალახის ნახარში რეკომენდირებულია ჭვლების, კანის დაავადებებისა და ბუასილის სამკურნალოდ. ნედლი ბალახის ფაფა ხსნის ქავილს, ანთებით პროცესებს, ეგზემას და სირსველს (ლიქენს). ყვავილებისა და ფესვების ნახარში შველის თავის ტკივილებს, ეპილექსიას, ნერვულ-ფსიქიურ დაავადებებს.

ხალხურ მედიცინაში მცენარის მშრალი მოყვავილე ყლორტები გამოიყენება ფილტვის სიმსივნეების სამკურნალოდ. ცნობილია, რომ ნარი იწვევს ერიტროპოეზს (ძვლის ტვინში სისხლწარმოქმნა), რაც მეტად მნიშვნელოვანია ონკოვადმყოფისთვის, განსაკუთრებით სისხლიანი ნახველის შემთხვევაში.

უკუჩვენებები: მცენარე შხამიანია! გამოყენებისას სიფრთხილისა და რეცეპტში მითითებული დოზების ზუსტი დაცვაა საჭირო.

მინდვრისნემსა - *Galium verum* L.
ოჯ. ენდროსებრნი - Fam. Rubiaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 60-120 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა სწორმდგომი, სუსტი, მოკლედ შებუსვილი ღეროთი. ფოთლები პრიალაა, ვიწრო ხაზური, წაწვეტებული, რგოლურად შეკრებილი. ყვავილები შეკრებილია გრძელ პირამიდალურ საგველა ყვავილედებად, კაშკაშა ყვითელი შეფერილობისაა, წვრილი, არომატული - თაფლოვანი სურნელის. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII. საქართველოში ბუნებრივად იზრდება მთის შუა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე, მშრალ ფერდობებზე. სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ყვავილები, ბალახი და ფესურა ფესვებითურთ. ფესურა შეიცავს ირიდოიდებს, სტეროიდულ საპონინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, კუმარინებს, ფლავონოიდებს, ასკორბინის მჟავას. ბალახში აღმოჩენილია გლიკოზიდი ასპერულოზიდი, ორგანული მჟავები, ასკორბინის მჟავა, კაროტინოიდები, ფლავონოიდები, კუმარინები, მთრიმლავი ნივთიერებები, ასპერულინი, ეთერზეთები, გალოტინისა და ლიმონის მჟავები, საღებავი ნივთიერებები, მიკროელემენტები - Fe, Mn, Pb, Sr, V, Cu, Ga, Mo, Ni, Cr, Ti.

ხასიათდება ანტიესპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ნაღველმდენი, შარდმდენი, გამაუმტკივნეული, ოფლმდენი, სასაქმებელი, საერთოგამამლიერებელი, ესტროგენული, სედატური, სასხლდენის შემაჩერებელი და ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით. ტიბეტურ მედიცინაში ფესურები გამოიყენება პნევმონიის, ენდომეტრიტის, თირკმელების დაავადებების, შინაგანი სისხლდენების

დროს; მონდოლოურ მედიცინაში - სიცხის დამწვევად, კუჭ-ნაწლავის და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისას. ხალხურ მედიცინაში ნახარში იხმარება პოტენციის გასაძლიერებლად, მენტრუაციის დაკარგვისას; გარეგანად - ჩირქოვანი ჭრილობების, დაჟეჟილობის, ჭრილობების, დამწვრობების მოსაშუშებლად. შორეულ აღმოსავლეთში ფესურების, მიწისზედა ნაწილების ნახარშს იყენებენ შეშაპუნების სახით საშვილოსნოს ყელის ეროზიის, საშვილოსნოს კიბოს წინააღმდეგ.

მიწისზედა ნაწილი პრაქტიკულ მედიცინაში გამოიყენება დიფუზური გლომერულონეფრიტის დროს; ბულგარეთში ცხელი ნაყენი - გასტროენტერიტის, სკროფულოზის; ნაყენი შინაგანად - დერმატოზისა და დერმატიტის შემთხვევაში, რომელსაც თანსდევს ტკივილიანი სინდრომი; ფხვნილი შინაგანად - დიზენტერიის; წვენიშაქრიანი დიაბეტის; გარეგანად - კარცინომისა და როგორც ტკივილგამაყუჩებელი კანის კიბოს დროს; წვენი, ნაყენი, ნახარში - ნეფრიტის, თირკმელების კენჭოვანი და სხვა დაავადებების, შეშუპების, დიარეის, დისპეპსიის, გასტრალგიის, ნაწლავების ჭვლების, ეპილეპსიის, ბავშვების კრუნჩხვებისას; როგორც სედატური - ნევრასტენიის, ისტერიის სამკურნალოდ. ცენტრალურ ციმბირში ნაყენი, ნახარში იხმარება სიყრუის, ღვიძლისა და ნაღველსადინარი გზებისა და ქალური დაავადებების, გულის ტკივილების, ათეროსკლეროზის, ნიკრისის ქარის, გაციების დროს. ნაყენი - პნევმონიის, სურავანდის, შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისას; ნახარში - ფილტვების ტუბერკულოზის, ანგინის, ხველების სამკურნალოდ. ყვავილების ნაყენი - დიარეის, დიზენტერიის; გამოსავლები სახით - ანგინის; ნახარში - ათეროსკლეროზის; აბაზანები - ბავშვებში მაღალი ალგუნებადობისა და ასტენიის დროს.

უკუჩვენებები: შარდმდენი ეფექტიდან გამომდინარე, სიფრთხილე მართებთ დიაბეტით დაავადებულებებს; **სუსტად გამოხატული შხამიანობის** გამო, არ შეიძლება მისი გამოყენება ბავშვების, ფეხმძიმე და მეძუძური ქალებისათვის.

მწვავე ფუნთუშა - *Sedum acre* L.

ოჯ. სქელფოთლიანნი - Fam. Crassulaceae



მრავალწლოვანი მცირე ზომის შხამიანი მცენარეა დამოკლებული უნაყოფო ყლორტებით, ცილინდრული ხორცოვანი ფოთლებითა და ყვითელი გვირგვინის ფურცლებით. გავრცელებულია საქართველოს მთელ რიგ რეგიონებში. იზრდება კლდოვან და ქვიან ადგილებში, მშრალ ბალახოვან ფერდობებზე.

მცენარე ხასიათდება მალარიის საწინააღმდეგო, შარდმდენი და მასტიმულირებელი მოქმედებით, აძლიერებს ნაწლავების პერისტალტიკას, ხელს უწყობს საშვილოსნოს მუსკულატურის მოდუნებას და სისხლის წნევის ამაღლებას. ექსპერიმენტალურად დამტკიცებულია, რომ ექსტრაქტის შინაგანი მიღება იწვევს აღმგზნებ მოქმედებას, ააქტიურებს სუნთქვას და იწვევს სისხლძარღვების შევიწროებას. ხალხურ მედიცინაში ნედლი ბალახი ან წვენი გარეგანად გამოიყენება დამწვრობებისა და წყლულების დროს, ინფიცირებული ჭრილობების, მეჭეჭებისა და კოჟრების მოსაშორებლად. იგივე დანაყილ ბალახს ადებენ კიბოს წყლულებს, მათი მოშუშების მიზნით.

სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა სხვადასხვა დანიშნულებით იყენებს; ბურიატიაში - ზედა სასუნთქი გზების კატარის, ბავშვებში კანის ტუბერკულოზის, ღვიძლის დაავადებების, კუჭის კოლიკების დროს; გარეგანად - ფურუნკულების, სკროფულოზის, ეგზემის, ჩიყვის სამკურნალოდ; წვენი (თაფლთან და ძმართან ნაზავში) -

ეპილეპსიის, სიყვითლის, ანემიის, ცინგის, ავთვისებიანი წყლულების, კარბუნკულების, აგრეთვე, როგორც დეტოქსიკაციური საშუალება ცოფიანი ძაღლების ნაკბენისას; წვენი (მცენარეულ ზეთთან) - თავის თმიანი ნაწილის დერმატომიკოზების განსაკურნავად.

უკუწვენებები: მცენარე შხამიანია! შინაგანად გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო; დოზის გადაჭარბება იწვევს საჭმლის მომნელებელი სისტემის აშლილობას, სუნთქვისა და გულის მოქმედების დარღვევას. ნედლი წვენი იწვევს კანის ძლიერ გაღიზიანებას (სიწითლე, ბებერები), რის გამოც, ინფიცირებულ ჭრილობაზე მისი გამოყენებისას, ჯანმრთელი კანი დაცული უნდა იყოს ლეიკოპლასტირის ზოლით.

ნიუკა - *Arum orientale* M. Bieb. (*Arum elongatum* Steven)

ოჯ. ნიუკასებრნი - Fam. Araceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი ეფემეროიდია, ტუბეროვანი 20-40 სმ სიმაღლის მცენარე. ფოთლები ფესვთანურია, ყუნწიანი, ნაწილობრივ ლაქიანი, ფოთლის ფირფიტა ფართო გულისებრ-შუბისებრია, ძირში დაფარულია გარეთა ქერქლისებრი ფოთლების ქერქლისებრი ვაგინით; საყვავილე ისარი ფოთლების ყუნწებზე ორჯერ გრძელია. საბურველი კვერცხისებრია ან ელიფსური, ფართო, ტაროს ქვევიდან ეკვრის. მომწვანო თეთრი მილით და მუქი ყავისფერ-მეწამული გადანაღუნით. ნაყოფი - პრიალა კაშკაშანარინჯისფერ-წითელი, უკუკვერცხისებრი კენკრაა, პერიკარპიუმი წვნიანია, თესლი მრავალია, ელიფსურიდან კვერცხისებრამდე ფორმის. ყვ. IV-V; ნაყ.

VII-VIII. ყვავილობის პერიოდში გამოყოფს უსიამოვნო, აყროლებული ხორცის მსგავს სუნს, რითიც მრავალ მწერს იზიდავს. გავრცელებულია საქართველოში, ტყის საფარქვეშ.

ნიუკას ტუბერში აღმოჩენილია ალკალოიდები, სახამებელი, საპონინები, გლიკოზიდები, ცხიმოვანი ზეთები, ფრუქტოზა, მიკროელემენტები - თუთია, მოლიბდენი, ნიკელი, სპილენძი; ფოთლებსა და ნაყოფებში ჭარბობს: კვერცეტინი, მჟაუნისა და ყავის მჟავა, აპიგენინი, რუტინი, ლუთეონინი.

არატრადიციული მედიცინის ზოგიერთი მომხრეები სპეციალურად ამრავლებენ სამკურნალო საჭიროებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ბალახის შემადგენლობაშია ძლიერმოძქმედი შხამიანი ნივთიერებები. ჰომეოპათიაში მიზერული დოზით უმატებენ სხვადასხვა პრეპარატებს, რომლებიც განკუთვნილია უამრავი რაოდენობის დაავადების სამკურნალოდ. სახალხო მკურნალები მისგან ამზადებენ მალამოებს, ნაყენებსა და ნახარშებს, როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი დაავადებების სამკურნალოდ, წყლულების, შეუხორცებელი ჭრილობების მოსაშუშებლად.

უკუქმედება: იყავით ფრთხილად, ნიუკას ყველა სახეობა **შხამიანია!!!** გაშრობის შემდეგ კარგავს შხამიანობას.

ოლეანდრე - Nerium oleander L.

ოჯ. ქენდირისებრნი – Fam. Apocynaceae



მარადმწვანე ბუჩქი ან მცირე ზომის ხეა მურა დატოტვილი ღეროებით. ფოთლები მორიგეობითია, ლანცეტა ფორმის, შევიწროებ-

ული მოკლე ყუნწით. ყვავილები მსხვილია, ჩვეულებრივ ვარდისფერი, წითელი ან თეთრი, შეკრებილია მკვრივ ფარისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მოგრძო ფოთლურაა მრავალრიცხოვანი თესლით. ყვ. VI-VIII; ნაყ. IX-X.

სამშობლო ხმელთაშუაზღვეთია. ფართოდაა კულტივირებული დეკორატიულ მებაღეობაში. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია. ფოთლები და ყვავილები შეიცავს დიგიტალინს, ურზოლის მჟავას, ოლეანდრომიცინს (ანტიბიოტიკი), საღებავ ნივთიერებებს, რუტინს, საპონინებს და დიდი რაოდენობის გულის გლიკოზიდებს, მაგ.: ოლეანდრინს. ოლეანდრის შემცველი გლიკოზიდები ხასიათდება მძლავრი კარდიოტონური მოქმედებით, ანელებს გულის შეკვეცის სიხშირეს, აძლიერებს მის ამპლიტუდას, ასტიმულირებს მიოკარდში სისხლის მიწოდებას, ზრდის სისტემური სისხლის მოძრაობის სისწრაფეს. ადრე ფარმაცევტული მრეწველობა უშვებდა პრეპარატებს, რომლებიც ფოთლებისაგან მზადდებოდა: კორნერინი, ნერიოლინი. უნიშნავდნენ ქრონიკული სისხლის მოძრაობის უკმარისობისას ფილტვებში, ღვიძლში, მაგისტრალურ ვენების სისხლძარღვებში, აგრეთვე მიტრალური მანკისა და ტახიკარდიის დროს. სადღეისოდ აღნიშნული პრეპარატები არ გამოიყენება მაღალი ტოქსიკურობის გამო.

დიდი სიფრთხილით იხმარება ხალხურ მედიცინაშიც, მხოლოდ მინიმალური დოზებით. გამოცდილი ფიტოთერაპევტები მის ნაყენს უნიშნავენ თავის ტკივილის, ნერვული გადაღლილობის, კრუნჩხვების, უძილობის, ჰემორაგიული ინსულტის შემდგომ აღდგენის პერიოდში. გარეგანად ნაყენის საფენებს ხმარობენ ეგზემის და კანის სოკოვანი დაავადებებისას.

მიღებულია ჰომეოპათიური პრეპარატი, რომელსაც იყენებენ მიოკარდიტების, გულის უკმარისობის, მიოკარდიო-დისტროფიის, კანდიდოზის, სველი ეგზემის, მსხვილ ნაწლავში მიმდინარე გაძლიერებული ლპობის პროცესში.

უკუქმედება: იმდენად ძლიერი შხამიანი მცენარეა, რომ ცნობილია მისი ბოლით მოწამვლის მძიმე შემთხვევებიც კი. არ არის რეკომენდირებული იმ შენობებში კულტურის გამოზრდა, სადაც ბავშვები იმყოფებიან. თვითმკურნალობა აკრძალულია!

ოპუნცია – *Opuntia vulgaris* Mill. (= *O. ficus-indica* (L.) Mill.)
ოჯ. კაქტუსისებრნი - Fam. Cactaceae



მსხვილი, მრავალწლოვანი 4-6 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, გამოირჩევა სწრაფი ზრდის უნარით და ბუჩქების თავისებური, უცნაური ფორმირებით. ახასიათებს მუქი-მწვანე კვერცხისებრი ღეროები, მათი წვერები (კლადოდიუმები) წვნიანია, სქელი, ბაცი-მწვანე, მოგრძო ან უკუკვერცხისებრი, იზრდება ერთი მეორეზე, გაბრტყელებულ ღეროებს შეცდომით ფოთლებად ღებულობენ. ნორჩი წვერების არეოლებზე იზრდება მათზე მიკრული ჩანასახოვანი ფოთოლაკები, რომლებიც შემდეგ ცვივა; ფოთლები მცირე ზომისაა, წვნიანი, სადგისისებრი, კაშკაშა მწვანე. ეკლები ვითარდება რამდენადმე გვიან მწიფე სეგმენტებზე, ჩვეულებრივ განლაგებულია არეოლებზე (ზოგჯერ 2-4 ეკალი ერთად), მსხვილი და ნემსისებრია; გარდა ეკლებისა არეოლებზე ვითარდება ე. წ. **გლობიდიუმები** - წვრილი, სუსტი, მახვილი და ხეშეში ეკლები, იზრდება არეოლების ირგვლივ კონებად. აპრილიდან სექტემბრამდე მცენარე ყვავილობს კაშკაშა ყვითელი ყვავილებით, წარმოიქმნება სეგმენტების წვერებზე და მათ კიდებზე. ნაყოფი მწიფდება ივლისის შუა რიცხვებიდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე, მსხლისებრი ფორმის კენკრაა, ხორცოვანი, საკმაოდ მსხვილი, რბილობი ტკბილია ნახევრადგამჭვირვალე, მრავალრიცხოვანი მსხვილი თესლებით.

გავრცელებულია კანადის სტეპური ზონიდან სამხრეთ არგენტინამდე, წყნარი ოკეანის სანაპიროდან ანდების მთიან რაიონებამდე, ზღ.დ. 5000 მ სიმაღლემდე. კულტივირებულია ევროპის რიგ ქვეყნებში.

ოპუნციის ნაყოფები და ღეროები საკვებად გამოიყენება როგორც ნედლი, ასევე გადამუშავებული სახით. ოპუნციის კლადოდიუმებში აღინიშნება დიდი რაოდენობის კაროტინი და ასკორბინის მჟავა, ფლავონოიდები (იზორამეტინომი), გლიკოზიდები, კემპფეროლი, პენდუმეტინომი, კვერცეტინი, რუტინი, ლუთენომი, ცხიმები, უჯრედისი, სასარგებლო მინერალები, უმთავრესად კალიუმი, კალციუმი, თუთია, მაგნიუმი, მცირე რაოდენობით ცილები.

გამოირჩევა მრავალმხრივი სამკურნალო თვისებებით, აქტიურად გამოიყენება როგორც ტრადიციულ, ასევე ხალხურ მედიცინაში.

ხასიათდება ბაქტერიციდული, ანტისეპტიკური თვისებებით და ფართოდ გამოიყენება ყელის ტკივილების, ნაწლავებისა და შარდსასქესო სისტემის ანთებისას, ამავდროულად ააქტიურებს ღვიძლის, თირკმელების, ელენთის მუშაობას. ვინაიდან აუმჯობესებს ტვინის სისხლძარღვების მიმოქცევას, ხსნის თავის ტკივილებს, ამხვილებს გონებას და მახსოვრობას, რეკომენდირებულია საკვებად გამოყენება მათთვის, ვინც გონებრივი შრომითაა დაკავებული.

ოპუნცია იწვევს ორგანიზმზე საერთო გამაჯანსაღებელ მოქმედებას, ამაღლებს დამცავ ფუნქციებს, აძლიერებს იმუნურ სისტემას; ახალი მონაცემებით ოპუნციის გამონაწერი - ეთილის აცეტატი შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავის ტვინის დაავადებების (ალცჰეიმერია, პარკინსონი, ინსულტი), გულ-სისხლძარღვთა სისტემის, კერძოდ მიოკარდიუმის ინფარქტის თავიდან ასაცილებლად და მათ სამკურნალოდ.

ამერიკაში ჩატარებული ცდებით გაირკვა, რომ კაქტუსის 20-მდე სახეობა, მათ შორის ოპუნცია, საუკეთესო ანტიბიოტიკია, ხოლო ბოლივიასა და პერუში ამ მცენარეებით დაიწყეს კიბოს სიმსივნეების მკურნალობა.

ხალხურ მედიცინაში მცენარის ყველა ნაწილს სამკურნალოდ უძველესი დროიდან იყენებდნენ; კერძოდ: ცინგის, ყელის დაავადე-

ბების, ნაწლავებისა და შარდსასქესო სისტემის ანთების, თირკმელების, ღვიძლის, ელენთის მუშაობის გააქტიურებისათვის, მამაკაცებში პოტენციის ასამაღლებლად; ოპუნციის წებოვან წვეს ინდიელები ხმარობდნენ მოტეხილობებისას თაბაშირის მსგავსად, ასევე რადიკულიტის საწინააღმდეგოდ.

უკუჩვენება: სასიამოვნო სიურპრიზების გარდა, ოპუნციის გამოყენებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო, წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრ უსიამოვნებას გადაეკიდებით. საქმე იმაშია, რომ გლობიდიები ადვილად იჭრება კანში, წვრილი ეკლების ამოღება კი გართულებულია, იწვევს ქავილს, დისკომფორტს, ზოგჯერ შემუშუბას და ანთებას.

ორყურა – *Zygophyllum fabago* L.

ოჯ. ორყურასებრნი – Fam. Zygophyllaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 30-60 (80) სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მეტ-ნაკლებად სქელი ფესვით. ფოთლები ყუნწიანია, ერთი წყვილი სქელი, ფართო, მწვანე უკუკვერცისებრი ფოთოლაკებით. ყვავილები მოთეთროა, ქვედა ნაწილში ნარინჯისფერი, უკუკვერცხისებრი. მტვრიანები აღემატება გვირგვინის ფურცლებს. ნაყოფი ქვევით მიმართული კოლოფია. ყვ. IV-VI; ნაყ. VII-VIII. ბუნებრივად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. იზრდება უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოებში, ქვიშნარებზე, თიხნარებსა და ზღვის პირებზე. მცენარის ყველა ნაწილი ხასიათდება მწარე გემოთი, იხმარება სანელებლად.

ფესვები შეიცავს ნახშირწყლებს, ტრიტერპენულ საპონინებს, ალკალოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს; ბალახში აღმოჩენილია საპონინები, ტრიტერპენოიდები, ალკალოიდები, კატეხინები, ფლავონოიდები. ფოთლებში ნაპოვანია ნახშირწყლები, სახამებელი, გუმფისი, ეთერზეთები, საპონინები, ალკალოიდები, ფენოლკარბონული მჟავები, კუმარინები, ფლავონოიდები, ცხიმზეთები, ვიტამინები C, K. ფოთლებსა და ნაყოფებში – გლუკოზა.

მცენარე ხასიათდება ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ჭიისმდენი, ჭრილობების შემახორცებელი, სასაქმებელი, დეტოქსიკაციური და სისხლმარღვების გამაფართოებელი მოქმედებით. დასრესილ ნედლ ფოთლებს იყენებენ გარეგანად – ფურუნკულების მოსამწიფებლად და ჭრილობების შესახორცებლად. ბალახის ექსტრაქტი ხასიათდება ბაქტერიციდული მოქმედებით.

უკუჩვენება: ორყურას შინაგანი მიღება სიფრთხილესა და ექიმის კონტროლს საჭიროებს.

ოქროწყველა - *Solidago virgaurea* L.

ოჯ. რთულყვავილოვანი - Fam Compositae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მოკლე გამერქნებული ფესურით. ღერო სწორმდგომია, ხშირად დაუტოტავი, შეფოთილი, 1 მ-მდე სიმაღლის. ფოთლები კვერცხისებრია, წაწვეტებული, კიდებზე ხერხკბილა, ფესვთანური და ქვედა ღეროსეული შევიწროებულია ფრთისებრ ყუნწად, ზედა - მჯდომარეა. ყვავილები ყვითელია, წვრილი კალათები შეკრებილია მტევნისებრ ან საგველა

ყვავილედებად. ნაყოფი - ცილინდრული წახნაგოვანი თესლურაა. ყვ. VIII-IX; ნაყ. IX-X.

გავრცელებულია ნათელ ტყეებში, ტყის პირებზე, მდელოებზე, ნაჩხატებში, ბუჩქნარებში მთელ საქართველოში. სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ზედა შეფოთლილი ყლორტები, ამზადებენ ყვავილობის პერიოდში.

შეიცავს ორგანულ მჟავებს, დიტერპენოიდებს, საპონინებს, ფენოლურ შენაერთებს, ფენოლკარბონულ მჟავებს და მათ წარმოებულებს, ფლავონოიდებს, კუმარინებს, ეთერზეთებს. ხასიათდება ძლიერი შარდმდენი მოქმედებით, სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება თირკმელებისა და შარდის ბუშტის, განსაკუთრებით შარდკენჭოვანი დაავადებისას. ამასთან ერთად ავლენს ანთების საწინააღმდეგო და ანტიბაქტერიალურ თვისებებს. ძალიან ეფექტურია ქრონიკული პროსტატის, ცისტიტის და ურეთრიტის სამკურნალოდ. ზოგჯერ ნაკრებში გამოიყენება იმპოტენციისა და პროსტატის ადენომის შემთხვევაში.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! აუცილებელია დოზირების ზუსტი დაცვა.

რაუვოლფია - *Rauwolfia serpentina* Benth.

ოჯ. ქენდირისებრნი - Fam. Apocynaceae



მარადმწვანე, მცირე ზომის 20-დან 50 სმ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ფოთლები რგოლურადაა განწყობილი, მკვრივია, შიშველი, ელიფსური ან მოგრძო-ოვალური, ოდნავ წამახვილებული და მოკლე

ყუნწად შევიწროებული. ყვავილი თეთრია, იშვიათად ვარდისფერი, მილისებრი, 5-ნაკვთიანი, შეკრებილია ხშირ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი წითელი, სფერული კენკრაა, შუამდე შეზრდილი ორი წვნიანი კურკით.

ბუნებრივად გავრცელებულია ინდონეზიაში, ბირმაში, ინდოეთში, პერუში, ბენგალიაში, ჰიმალაიზე, კუნძულ იავასა და შრი-ლანკაზე. სამკურნალო ნედლეულს ფესვები წარმოადგენს, რომელიც დიდი რაოდენობის ალკალოიდებს შეიცავს, მათ შორის ისეთ მნიშველოვანს, როგორცაა რეზერპინი, რაუნატინი, რაუვოლფინი და სხვ. უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სხვადასხვა მწერებისა და გველების ნაკბენების დროს, ქოლერის, ფაღარათის, მუცლის ჭიების საწინააღმდეგოდ, დამამშვიდებლად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე და აქვეითებს სისხლის წნევას.

თანამედროვე მედიცინაში რაუვოლფინის კომპონენტების საფუძველზე მიღებულია უამრავი პრეპარატი, რომლებიც მთელი რიგი დაავადებების საწინააღმდეგოდ გამოიყენება. ხასიათდება საოცარი სედატიური მოქმედებით მანიაკალური ქცევის, მოუსვენრობის, ეპილეპსიის, ფსიქიური დაავადებების, ქრონიკული უძილობის დროს. მას უნიშნავენ ციებ-ცხელების (მალარია), სხვადასხვაგვარი დერმატოზების დროს. ასევე წარმოადგენს ეფექტურ ჭიისმდენ საშუალებას.

სამკურნალო მოქმედება პრეპარატებისა დაფუძნებულია ცალკეულ გამოყოფილ ალკალოიდებზე. როგორც წესი, რეზერპინი გამოიყენება როგორც ჰიპოტენზიური და ანტიარითმიული საშუალება, ვინაიდან ხელს უწყობს არა მარტო ძილის აღდგენას, არამედ აქვეითებს ტვინში დოფამინის, სეროტონინისა და ნორადრენალინის შემცველობას. ჰიპერტონიის დროს ასეთი პრეპარატები საერთოდ შეუცვლელია. ნერვულ სისტემაზე მისი დადებითი მოქმედებიდან გამომდინარე. რაუნატინის რეგულარული მიღებით იხსნება თავის ტკივილების სიმძიმე, გაღიზიანება და თავბრუსხვევები.

თანამედროვე ჰომეოპათების მიერ დამტკიცებულია რაუვოლფინის ეფექტურობა არა მხოლოდ ჰიპერტონიის, არამედ დეპრესიებისა და სხვადასხვა სახის ნევროზების დროსაც.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! დოზის გადაჭარბებამ ან არასწორ-
მა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დარღვევები
სისხლის მიმოქცევის სისტემაში, აღინიშნება მძიმე დეპრესიაც,
იშვიათად მოძრაობის შენელება. მკურნალობის დაწყების წინ აუცი-
ლებელია ექიმთან კონსულტაციის მიღება.

რძიანა (პალასის ან ფიშერის) – *Euphorbia fischeriana* Steud
ოჯ. რძიანასებრნი - Fam. Euphorbiaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მოკლე 20-25 სმ სიმაღლის
ღეროთი და მძლავრი, ხორცოვანი, სქელი მთავარღერძა ფესვით,
აქედან მისი მეორე სახელი “კაცური ფესვი”. გავრცელებულია
რუსეთში ჩიტასა და ამურის ოლქებში, მონღოლეთში, ჩინეთსა და
იაპონიაში.

აღნიშნული სახეობა გვარის სხვა სახეობებთან შედარებით სამკურ-
ნალო მნიშვნელობით გამორჩეულია და დიდი ხანია მეცნიერების
კვლევის ობიექტია.

სამკურნალო ნედლეული ფესვებია. მის შემადგენლობაშია ლაქტო-
ნები, რომლებიც გამოირჩევა სიმსივნის საწინააღმდეგო და ანტიბა-
ქტერიული აქტივობით. დადგინდა, რომ რძიანას პრეპარატები
ამუხრუჭებს სიმსივნის უჯრედებისა და მეტასტაზების განვითარე-
ბას, არეგულირებს ქალის სასქესო ჰორმონების ცვლას, კურნავს
ანემიას, საშვილოსნოს მიომასა და მასტოპატიას, ასტიმულირებს

სისხლისმიმოქცევას, ხელს უწყობს სისხლის აღდგენას ქიმიოთერაპიის შემდგომ, გამოიყენება ლეიკოზიის დროს; ასევე წარმატებით კურნავს თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებებს, ეპილეპსიას, ტუბერკულოზს, კუჭის წყლულს.

ითვლება, რომ ფესვების სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება განპირობებულია მისი უნარით აამაღლოს ორგანიზმის დამცველი ძალები და გააძლიეროს იმუნური სისტემა. მიჩნეულია ყველა დაავადების ადრეულ პროფილაქტიკურ საშუალებად.

ტიბეტურ ხალხურ მედიცინაში იხმარება ციმბირული წყლულის, სიმსივნეების, ჩირქგროვების საწინააღმდეგოდ. ჩინურ ტრადიციულ მედიცინაში მისით მკურნალობდნენ კანის, სახსრებისა და ძვლების ტუბერკულოზს, ლიმფურ კვანძებს, წინამდებარე ჯირკვლის ადენომას, ქრონიკულ პროსტატიტს, საკვერცხეების დაზიანებას.

უკუქმედება: წვენი ძლიერ ტოქსიკური და შხამიანია!

საკპინაჭი - *Ferula assafoetida* L.

ოჯ. ქოლგოსანნი - Fam. Umbelliferae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. წარმოქმნის ფოთლისეულ როზეტს, ფოთლები მსხვილია, ყუნწიანი. სიცოცხლის მეხუთე წელს იწვითარებს საყვავილე ღეროს, რომელიც საკმაოდ მძლავრია, სწორმდგომი, ყვავილობის პერიოდში 3 მ-მდე სიმაღ-

ლეს აღწევს. ყვავილები ყვითელია, შეკრებილია რთულ ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი მომწიფებისას იშლება ორ ერთ-თვისლიან მერიკარპიუმად, ფართო გვერდითი წახნაგებით.

სამშობლო ირანი (ჰერათი, ხორასანი), ავღანეთი და ტაჯიკეთია. VI ს-ში შეტანილ იქნა ჩრდ. აფრიკის (კირენაიკა) ტერიტორიაზე, სადაც პიველ ხანებში გაამრავლეს, მაგრამ შემდგომ პერიოდებში მათზე მეტად დიდი მოთხოვნილების გამო ბარბაროსულად განადგურდა.

ფარმაკოლოგიაში გამოიყენება ფესურას გუმფისი – ფისები (მშრალი რძის წვენი), რომელიც ცნობილია საფოეტიდას სახელით. ფესურა შეიცავს დიდი რაოდენობით ფისებს, რომლის შემადგენლობაშია ვანილინი, კუმარინები, ეთერზეთები.

გუმფისი ხასიათდება ამოსახველებელი, სასაქმებელი, სპაზმოლიტური, დამამშვიდებელი მოქმედებით. მისი პრეპარატები ეფექტურია ისტერიისა და მაღალი აღზნებადობის დროს.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება გალენური პრეპარატების სახით ისეთი სიმპტომების დროს როგორცაა მეტეორიზმი, ნაწლავების მოდუნება; როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება იხმარება ართრიტისა და სახსრების ტკივილებისას. ადგილობრივი მოსახლეობა მას საჭმელს უმატებენ მადის გასაძლიერებლად.

ჩინურ მედიცინაში იყენებენ საერთო გამაჯანსაღებელ და მატონიზირებელ საშუალებად ისტერიის, ნევრასტენიის, ვეგეტატიური ნევროზის, გაციების, აგრეთვე კანის ზოგიერთ დაავადებისას. სხვა მცენარეებთან ნაკრებში - კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ ექსუდატური დიათეზის დროს, ფილტვების ტუბერკულოზის, ლიმფადენიტების სამკურნალოდ.

შუა აზიის ხალხი გუმფისს ჭიისმდენად იყენებს. ზოგიერთ წყაროში მითითებულია მცენარის ეფექტური მოქმედება ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ვენერიული დაავადებების – ათამანგის სამკურნალოდ, რისთვისაც ფოთლებს ურევენ რძეში და ისე ღებულობენ.

უკუქმედება: არ არის რეკომენდირებული ფეხმძიმე ქალებისა და მაღალი მგრძნობელობის ადამიანებისათვის. ნეგატიურად მოქმედებს ნაღვლის ბუშტზე.

სამკურნალო ლაშქარა - *Symphytum officinale* L.
ოჯ. ლაშქარასებრნი - Fam. Boraginaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 1 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, გამერქნებული მოშავო-მურა ფერის გრძელი ფესვით. ღერო სწორმდგომია, დატოტვილი, დაფარულია ხეშეში ბეწვებით. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო-ლანცეტა, ყუნწიანი, ზედა-მჯდომარე. ყვავილები იისფერი და მკრთალი ვარდისფერია. ნაყოფი მშრალი კაკალია, მომწიფებისას ოთხ ნაწილად იშლება. ყვ. V-IX; ნაყ. VII-IX. გავრცელებულია რუსეთის ევროპულ ნაწილში, კავკასიაში, კარპატებში, შუა აზიაში.

სამკურნალო ნედლეულს ფესვები წარმოადგენს. შეიცავს ალკალოიდებს - ლიზიოკარპინსა და ცინოგლოსინს, მთრიმლაჟ ნივთიერებებს, გლიკოზიდებს, ლორწოს, გუმფისს, ფისებს, ეთერზეთებს, ალამტონს.

ხასიათდება შემკვრელი, ანთების საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული, შემომგარსავი, სისხლშემაჩერებელი მოქმედებით. ფესვების ნახარში ამალღებს ტონუსს, აუმჯობესებს მადას, გამოიყენება კოლიტის, ფადარათის, კუჭ-ნაწლავიდან სისხლდენებისას.

ხალხური მედიცინის მიერ ლორწოვანი ნახარში და ნედლი ფესვების ნაყენი რეკომენდირებულია ავთვისებიანი ახლადწარმოქმნილი, სხვადასხვა ლოკალიზაციის სიმსივნეების - სარკომის, კიბოს სამკურნალოდ, ამცირებს ტკივილებს და ანთებით პროცესებს. კურნავს სხვა დაავადებებსაც: კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს, ტუბერკულოზის საწყის სტადიას, ტრომბოფლებიტს,

ძვლის ტუბერკულოზს, ძნელად შესახორცებელ ჭრილობებს, ფურუნკულებს, პაროდონტოზს, ანგინას, რადიკულიტს და სხვ. არსებობს მონაცემები ფესვებისაგან დამზადებული მალამოს დადებითი კლინიკური ეფექტისა რგოლისებრი გრანულომის, ვასკულიტის, ბუდობრივი და ჰემიატროფიული სკლეროდერმიის, ტროფიკული წყლულების შემთხვევაში.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! აღინიშნება მოწამლვის ხშირი შემთხვევები. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრძალულია მისი შინაგანი გამოყენება ყველა ფორმით, გარდა ჰომეოპათიისა. დადგენილია, რომ მასში შემავალმა ალკალოიდებმა შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლში კაპილარული სისხლჩაქცევები, თვით ლეტალური აღსასრულით. მიიღება მხოლოდ ექიმის დანიშნულებით!!!

სამკურნალო ძიძო - *Melilotus officinalis* (L.) Desr.

ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae



ორწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 2 მ-მდე სიმაღლის სწორმდგომი დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, სადგისისებრი კიდემთლიანი თანაფოთლებით. ფოთოლაკები ხერხისებრ დაკბილულია, შიშველი; ქვედა ფოთლების ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, ზედასი - ლანცეტასებრი. ყვავილი წვრილია, ყვითელი, შეკრებილია მრავალყვავილიან, 15 სმ-მდე სიგრძის მტევნებად. ნაყოფი ერთ-ორთესლიანი პარკია, უკუკვერცხისებრი ფორმის, შიშველი ან წვრილხორკლიანი, მურა-ყვითელი. ყვ. V-VII;

ნაყ. VII-VIII. ბუნებრივად გავრცელებულია საქართველოში. იზრდება მდელოებზე, მინდვრებში, გზისა და ტყის პირებზე, ბუჩქნარებში. გამშრალი მცენარის მიწისზედა ნაწილი არომატულია, ხასიათდება მომლაშო-მომწარე, ოდნავ მწვავე გემოთი.

სამკურნალო ნედლეულია მცენარის მიწისზედა ნაწილი შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. შეიცავს კრისტალურ ნივთიერება კუმარინს (ფოთლებში მათი შემცველობა ყვავილობისას 0,1% შეადგენს, ღეროებში - 0,4%, ყვავილებში - 0,9%), კუმარინის მჟავას, მელილოტინს, მელილოტის მჟავას, გლიკოზიდებს, მელტრილოტოზიდს, ცილებს და ცხიმისმაგვარ ნივთიერებებს.

ძიძოსგან ამზადებენ ნაყენებსა და ნახარშებს. ბულგარულ ხალხურ მედიცინაში იყენებენ ბრონქების ქრონიკული კატარის, თირკმელეზისა და შარდის ბუშტის ტკივილების, შაკიკის, მაღალი არტერიული წნევის, კლიმაქსის დროს. კომპრესებსა და პლასტირებს გარეგანად ხმარობენ ფურუნკულების, კარბუნკულების, ჩირქიანი ჭრილობების, შუა ყურის ანთებითი პროცესების დროს; საფრანგეთში იხმარება ანტისპაზმურ და შემკვრელ საშუალებად, ინდოეთში - როგორც დამარბილებელი, ქარმდენი და სისხლდენის შემაჩერებელი, ავსტრიაში - კუჭის დაავადებების, ბრონქიტის, პოლონეთში - გულის ტკივილების, უძილობის, ნევრასტენიის, ბუასილის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში ბალახის ნახარში გამოიყენება სასუნთქი ორგანოების დაავადებების, უძილობისა და მეტეორიზმის დროს. გარეგანად - აბაზანებისა და კომპრესების სახით წყლულების, ჩირქგროვების, ფურუნკულების, სარძევე ჯირკვლების ანთებისა და სახსრების რევმატიზმის სამკურნალოდ. დაქუცმაცებული ფოთლები ხასიათდება ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით.

უკუჩვენება: არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ძიძო შხამიანია! მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ექიმის კონსულტაციის შემდეგ; ფეხმძიმე ქალებისათვის არ არის რეკომენდირებული მისი მიღება. გამოყენებისას დაცული უნდა იყვეს ნორმები, დარღვევები იწვევს ნერვული სისტემის დათრგუნვას, უძილობას, თავის ტკივილებსა და პირღებინებას.

სამფერა ია - *Viola tricolor* L.
ოჯ. იისებრნი - Fam. *Violaceae*



ერთ ან ორწლოვანი, მცირე ზომის 10-30 (45) სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ფოთლები მორიგეობითაა, შიშველი, დაკბილული, ქვედა ფოთლები ფართო კვერცხისებრია, საკმაოდ გრძელყუნწიანი, ზედა - მოგრძო ლანცეტა, მჯდომარე, მოკლე ყუნწიანი. ყვავილები ზიგომორფულია, გვირგვინი - შედგება 5 თავისუფალი ფურცლისაგან, ჭარბობს მუქი ლურჯი-მოიისფერო ან ბაცი იისფერი. ნაყოფი მომრგვალო-სამწახნაგოვანი, მოგრძოკვერცხისებრი, შიშველი, ერთბუდიანი მომწვანო კოლოფია. თესლი წვრილია, უკუკვერცხისებრი ფორმის, ბაცი ყავისფერი ან ბაცი ყვითელი, პრიალა, გლუვი. ყვ. III-XI; ნაყ. V-XI.

გავრცელებულია ევროპასა და აზიის ზომიერ ოლქებში. ფართოდაა კულტივირებული დეკორატიული მიზნებისათვის. სამკურნალოდ გამოიყენება ყვავილობის პერიოდში შეგროვილი მიწისზედა ნაწილი (ბალახი). ძირითადი მომქმედი ნივთიერებებია - ფლავონოიდები (რუტინი, ვიტექსინი, ორიენტინი), ანთოცინები, სალიცილის მჟავა. ტრადიციულ და ხალხურ მედიცინაში გამოიყენება შემდეგი დაავადებების - სიყვითლე, ხველება, თიაქარი, კბილის ტკივილების და სხვ. სამკურნალოდ.

ჩატარებული გამოკვლევებით დადგენილია იის ფართო თერაპიული დიაპაზონი. მცენარის გამონაწერი ხასიათდება ანტიმიკრობული, ანტიესპტიკური, ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმ-

დეგო, ანტიბიოსივნიური, ბრონქოლიტური, სპაზმოლიტური, ოფლმდენი, დამამშვიდებელი, შარდმდენი, სისხლგამწმენდი, ნალველმდენი, ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით.

სწორედ ამ უნიკალური თვისებებიდან გამომდინარე, იის პრეპარატები გამოიყენება გულისცემის გაზშირების, ათეროსკლეროზის, გულის შეტევების, ბრონქიტის, ყივანახველის, ბრონქოპნევმონიის, ძლიერი ხველების, თირკმელების კენჭოვანი დაავადებების, შარდის ბუშტის, რევმატიზმის სამკურნალოდ. ეფექტურია ტუბერკულოზის, ართრიტის, ნიკრისის ქარის, რაქიტის დროს. აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ხელს უწყობს სისხლის გაწმენდას, ახდენს შარდის სადინარების დეზინფექციას.

უკუქმედება: მცენარე სუსტად შხამიანია! დოზის გადაჭარბება აზიანებს ნაწლავების ლორწოვან გარსს და შეიძლება გამოიწვიოს ე.წ. ორგანული დაავადებები.

საპონა - *Saponaria officinalis* L.

ოჯ. მიხაკისებრნი - Fam. Caryophyllaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 30-100 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა, დატოტვილი მოწითალო-მურა ფერის ფესურით. ღეროები მრავალრიცხოვანია, სწორმდგომი, წახნაგოვანი, შიშველი ან მოკლე ბუსუსებით მოფენილი. ფოთლები მოპირისპირეა, მოგრძო ან ოვალური, წაწვეტებული, ზედა - მჯდომარეა, ქვედა - მოკლე ყუნწიანი. ყვავილები სურნელოვანია, შეკრებილია მრავალყვავილოვან ფარისებრ-საგველა ყვავილედეხად. გვირგვინი 5-ფოთოლაკიანია, 1,5-ჯერ გრძელია ჯამის ფოთლებზე, შეფერილობით თეთრია, იშვიათად

მოთეთრო-ვარდისფერი. ნაყოფი მოგრძო-ოვალური ერთბუდანი კოლოფია, იხსნება წვერიდან. თესლები წვრილია, შავი, მრავალრიცხოვანი. ყვ. VI-IX; ნაყ. IX. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული; იზრდება ტყის პირებზე, დატბორილ მდელოებზე, მდინარეების ნაპირებზე, დასარეველიანებულ მინდვრებზე. მცენარის ყველა ნაწილი, განსაკუთრებით ფესვები შეიცავს საპონინებს, რომლებიც წყალში ქაფდება საპნის მსაგავსად, რის გამოც მას უწოდებენ „ძაღლის საპონსაც“. ვეტერინარიაში გამოიყენება ნაწლავების დაავადებებისა და ჭიისმდენ საშუალებად.

ხალხურ მედიცინაში ფესვებისა და მიწისზედა ნაწილების ნაყენი იხმარებოდა როგორც ამოსახველებელი და ხველების საწინააღმდეგო საშუალება ფილტვების დაავადებებისას (ბრონქიტი, პნევმონია, ყვიანახველა, აუტანელი, მტანჯავი ხველება); ხასიათდება ნალველმდენი (სიყვითლის დროს), შარდმდენი (წყალმანკი, თირკმლისეული შეშუპებები), ოფლმდენი, და საფალარათო მოქმედებით. ფოთლებისა და ფესვების ნაყენს უნიშნავენ შინაგანად ნივთიერებათა ცვლის დარღვევებისას - ნიკრისის ქარის, ეგზემის, ექსუდატიური დიათეზის, ფურუნკულების, ქერცლოვანი სირსველის, დერმატოზების სამკურნალოდ. ფესვების ნახარშს იყენებენ რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, სახსრების ტკივილს, სიყვითლის, ქრონიკული ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, კუჭ-ნაწლავის (განსაკუთრებით მეტეორიზმის), ელენტის დაავადებების, გულისრევისას. ფაფას (დაქუცმაცებული ფესვები მცირე რაოდენობის მდულარე წყალში გახსნილი) ადგილობრივ იყენებენ ჩირქოვანი ჭრილობების, ეგზემის, მუნის საწინააღმდეგოდ.

უკუქმედება: მცენარის ყველა ნაწილი, განსაკუთრებით ფესვები **შხამიანია!** დიდი დოზით შინაგანი მიღებისას იწყება პირღებინება, მუცლის ტკივილები, კუჭის აშლილობა, ხველება. მოწამლვის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მოტკბო, შემდეგ მწვავე გემოლორწოს შეგრძნებით. აუცილებელია სასწრაფოდ მოხდეს კუჭის გამორეცხვა აქტივირებული ნახშირის 2%-იანი ნატრიუმის ჰიდროკარბონატის (საქმელი სოდა) ხსნარით და დაენიშნოს შემომგარსავი საშუალებები.

სელიჭა - *linaria vulgaris* Mill.

ოჯ.შავწამლასებრნი – Fam. Scrophulariaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 30-60 სმ-მდე -სიმაღლის ღეროებით და გრძელი მხოხავი ფესურებით. ფოთოლი ხაზურია ან ხაზურ-ლანცეტა, მახვილწვერიანი. გვირგვინი მკრთალი ყვითელია. ნაყოფი ოვალური კოლოფია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

სარეველაა, საქართველოს ყველა რაიონშია გავრცელებული. იზრდება მთის შუა სარტყლამდე, მდელოებზე, ბალ-ბოსტნებში, მშრალ გორაკებზე. სამკურნალოდ გამოიყენება ბალახი, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, ალკალოიდ პეგანინს, ფლავონურ გლიკოზიდებს, ორგანულ მჟავებს (ვაშლის, ძმრის, ჭიანჭველის), პექტინებს, საპონინებს, მინერალურ ნივთიერებებს, ვიტამინ C. მეცნიერულ მედიცინაში არ გამოიყენება, თუმცა კვლევები ამ მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს. მიიჩნევენ, რომ სელიჭას პრეპარატები მატებს ძალას, არეგულირებს გულის კუმშვადობის რიტმს, ამაღლებს არტერიალურ წნევას, სისხლდენის სიჩქარეს, ზრდის დიურეზს. ნაყენი რეკომენდირებულია შეშუპების (გულისმიერი და თირკმლის-მიერი წარმოშობის), ქრონიკული ყაბზობის, მეტეორიზმის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, მენსტრუალური ციკლის დარღვევის შემთხვევაში. ცნობილია, რომ მისი პრეპარატები ამაღლებს პოტენციას და მოქმედებს როგორც სიმსივნის საწინააღმდეგო და ანტიჰელმინტური საშუალება.

ფართოდ და უძველესი დროიდან გამოიყენება ხალხურ მედიცინაში როგორც სასაქმებელი, შარდმდენი, ოფლმდენი, ნაღველმდენი და ჭიის საწინააღმდეგო საშუალება. სასარგებლოა წყალმანკის, ყაბზობის, სიყვითლის, საყმაწვილოს სამკურნალოდ; აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, მეტეორიზმის დროს ანთავისუფლებს გაზეზისგან, ამცირებს და სპობს ანთებით პროცესებს; ხმარობენ თავისა და შარდის ბუშტის ტკივილების, ღამით შარდშეუკავებლობის (განსაკუთრებით ბავშვებში), ქოშინისა და ხველების დროს. გარეგანად - ანგინის დროს ყელში გამოსავლებად, მალამოს სახით იხმარება ეგზემისა და ფსორიაზის სამკურნალოდ.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია!

სვია - *Humulus lupulus* L.

ოჯ. კანაფისებრი - Fam. Cannabaceae



მრავალწლოვანი ხვიარა ლიანაა, 6-7 მ სიგრძის ექვსწახნაგოვანი, მოკლე ეკლებით დაფარული ღეროთი. ფოთლები მოპირისპირეა, გულისებრი, მთლიანი ან სამ-ხუთნაკვთიანი, კიდეებზე ხერხკბილა, ყუნწიანი და თანაფოთლებიანი. მცენარე ორსახლიანია; ყვავილები წვრილია, ერთსქესიანი, შეკრებილია ხშირ ყვავილედებად; მამრობითი ყვავილები საგველა ყვავილედს ქმნის, მდედრობითი (40-60 ყვავილი) - გირჩისებრ თავთავებადაა შეკრებილი, ნაყოფობისას ფრთისებრ გამობერილი ყვავილსაფრით; ნაყოფი კაკალია. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX.

ბუნებრივად მთელ საქართველოშია გავრცელებული, მოჰყავთ ბაღებსა და ბოსტნებში. სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენება

სვიის ნაყოფედი ან მდედრობითი ყვავილედი „გირჩები“. შეიცავს ეთერზეთებს, სვიის ფისებს, ცვილს, გუმფისს, მწარე ნივთიერებებს, ვალერიანის, სვიის, ასკორბინისა და ნიკოტინის მჟავებს, გლიკოზიდ ლუპულინს, კაროტინს, ქოლინს, თიამინს, მთრიმლაჯ და საღებავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს. სვიის ეთერზეთები არომატულია, ბაცი ან მუქი ყვითელი ფერის, მის შემადგენლობაშია: მირცენი, მირცენოლი, ლინალოლი, გერანიოლი, ფარნეზენი, კარიოფილენი, ლუპაროლი, ლუპარენოლი, ჭიანჭველის, ძმრისა და სხვა მჟავების ეთერები.

ხასიათდება ანთებისა და კრუნჩხვების საწინააღმდეგო, ანტიალერგიული, გამაუმტკივნეული, ჭიისმდენი, ანტიბაქტერიული მოქმედებით. გირჩების ექსტრაქტი ესტროგენული აქტივობით გამოირჩევა და ისწავლება ჰორმონოთერაპიის მიზნით. ახალი გამოკვლევებით, საუკეთესო თერაპიული ეფექტი აღინიშნება თირკმელებისა და შარდსასქესო სისტემის, ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის, წყალმანკის, სიყვითლის, გასტრიტისა და ღვიძლის დაავადებების მკურნალობაში. არეგულირებს ადამიანის ორგანიზმში მინერალების, წყლისა და ცხიმების ცვლას.

მისი სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი; ნახარშს ღებულობდნენ მადის გასაძლიერელად და როგორც ლაქტოგენურ საშუალებას, ელენთის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, გასტრიტის, ფილტვების ტუბერკულოზის, ცისტიტის, პიელონეფრიტის, ხშირი შარდვის, შეშუპების, მალარიის, ეგზემის, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, ანთებითი პროცესების, ცინგის, ჰიპერტონიის, სიყვითლის, თმის ცვენის დროს. ფესვების ნახარშს ხმარობდნენ აბორტის გამომწვევ საშუალებად. ფოთლებს იყენებდნენ **კანისა და მკერდის კიბოს** სამკურნალოდ.

სვიის ფუძეზე დამზადებული პრეპარატები ეფექტურია ნევრასტიკის, გულ-სისხლძარღვთა და თირკმელების დაავადებებისას. შედის დამამშვიდებელი ჩაის შემადგენლობაში.

უკუქმედება: **შხამიანია!** დიდი დოზით მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მოწამვლა.

სკოპოლია – *Scopolia carniolica* Iacq.
ოჯ. დაღლყურძენასებრნი – Fam. Solanaceae



მრავალწლოვანი 30-50 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, ხორცოვანი, სუსტად დატოტვილი ფესურით, რომელიც ღეროსეული ნაჭდევებითაა დაფარული - წლიური ნამატების საზღვრები. მიწისზედა ნაწილი შედგება ვეგეტატიური ყლორტებისაგან, 10-13 ქვედა, მჯდომარე, ქერქლისებრი ფოთლებით, რომლებიც თანდათანობით გადადის შუა თანაფოთლებში. ყლორტი მთავრდება წვეროსეული ყვავილით; სუსტ ეგზემპლარებში 1 ყვავილი ვითარდება, მძლავრ მცენარეებში - 1-3 შეფოთლილი ყვავილედი. გვირგვინი ზარისებრია ან მილისებრზარისებრი, გარედან ალუბლისფერ-იისფერი ან მურა წითელი, შიგნიდან მოყვითალომურა ან მკრთალი იისფერი. ნაყოფი მომრგვალო, კოლოფია, მრავალრიცხოვანი თესლით. ყვ. III-IV; ნაყ. V-VI.

ბუნებრივად გავრცელებულია უკრაინაში, კარპატებში, მოლდოვასა და კავკასიაში (სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილში). სამკურნალო ნედლეულია ფესურები, ამზადებენ გაზაფხულზე ნაყოფმსხმოიარობამდე. მცენარის ყველა ორგანო შეიცავს ტროპანულ ალკალოიდებს: ჰიოსცამინს (რომელიც ალკალოიდების ჯამის ძირითად ნაწილს შეადგენს), სკოპოლამინს, ტროპინს, პსევდოტროპინს, სკოპოლეტინს და სხვ.

ფარმაკოლოგიური ეფექტი განსაზღვრულია ალკალოიდ ატროპინისა და სკოპოლამინის მოქმედებით. ატროპინი – ძირითადი წარმომადგენელია ქოლინოლიტური ნივთიერებების, რომელიც იწვევს უმთავრესად ქოლინორეცეპტორების ბლოკირებას. თანამედროვე წარმოდგენებით, ატროპინი არის ეგზოგენური ლიგანდა – ქოლინორეცეპტორების ანტაგონისტი.

მცენარიდან მიღებულია პრეპარატები: სკოპოლამინის ჰიდრობრომიდი და ატროპინის სულფატი სხვადასხვა სამკურნალო ფორმებში (ხსნარები, აბები, მალამო), ტაბლეტები – “აერონი” გამოიყენება ბრადიკარდიის, გლუვი მუსკულატურის ჭვლების, წყლულოვანი და ნაღველკენჭოვანი დაავადებების, ნაწლავებისა და შარდსადინარი გზების ჭვლების, ბრონქიალური ასთმის, დროს. ატროპინი გამოიყენება ანესტეზიოლოგიურ და ოფთალმოლოგიურ პრაქტიკაშიც.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! ყურადღება უნდა მიექცეს სკოპოლამინის პრეპარატებისადმი ინდივიდუალურ მგრძობელობას; ზოგიერთ შემთხვევაში ჩვეულებრივი დოზა იწვევს ალგუნებას, ჰალუცინაციებს და სხვა გვერდით მოვლენებს.

ტეგანი – *Ruta graveolens* L.

ოჯ. ტეგანისებრნი – Fam. Rutaceae



ნახევრად ბუჩქია, 50-100 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომი, დატოტვილი, ძირში გამერქნებული ღეროთი. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო-კვერცხისებრი, ორმაგ ან სამმაგფრთისებრ განკვეთილი, მოკლეყუნწიანი (ზედა - მჯდომარე), ხორცოვანი, მოცისფრო-მწვა-

ნე. ყვავილი წვრილია, მომწვანო-ყვითელი, ხუთ-ფურცლიანი, შეკრებილია ფარისებრ საგველა ყვავილედებად. ნაყოფი სფერული, ოთბუდიანი კოლოფია. თესლი მურაა, წვრილი. ყვ. VI-VII; ნაყ. VII-VIII.

ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში და ყირიმში. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში. იზრდება მშრალ, კლდოვან, მზით განათებულ ადგილებში. ხასიათდება ძლიერი, მწვავე არომატითა და ხახვისა და ნივრისებრი მომწარო გემოთი. ნორჩი ფოთლები სანელებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის კერძებში.

ბალახი შეიცავს ეთერზეთებს, C-ვიტამინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფურანოკუმარინებს, ალკალოიდებსა და ფლავონოიდურ გლიკოზიდ - რუტინს. ფესვებში აღინიშნება კუმარინები, ფუროკუმარინები, ალკალოიდები, ეთერზეთები.

არომათერაპიაში ტეგანის ეთერზეთები გამოიყენება თავისა და ყურის ტკივილის, რევმატიზმისა და ნალრძობების საწინააღმდეგოდ. ტეგანისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლების მსგავსად, ტეგანის ეთერზეთები ხასიათდება ფოტოტოქსიკური, ფოტოალერგიული მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ყვავილობამდე შეგროვილი ფოთლები ხასიათდება საერთო გამაჯანსაღებელი, ანტისეპტიკური და კრუნჩხვების საწინააღმდეგო მოქმედებით. იხმარება სხვადასხვა ლოკალიზაციის სიმსივნური წარმონაქმნების სამკურნალოდ, განსაკუთრებით საშვილოსნოს კიბოს შემთხვევაში.

ოფიცინალურ მედიცინაში გამოიყენება უძილობის, ნევროზებისა და თავის ტკივილების საწინააღმდეგოდ. ხასიათდება ჭისმდენი მოქმედებით.

P.S. პონტოს მეფე მითრიდატე IV (ჩვ. წ.-მდე II საუკუნე), ხანგრძლივ ომს აწარმოებდა ძველ რომთან, განხეთქილების ცენტრში მყოფი, მოწამლვის საფრთხიდან გამომდინარე მუდმივად ღებულობდა შხამსაწინააღმდეგო საშუალებებს. როდესაც, დამარცხებულმა მითრიდატემ თავის მოკვლა გადაწყვიტა, საწამლავმა მასზე აღარ იმოქმედა. ლეგენდის მიხედვით, რთული შხამსაწინააღმდეგო ნაკრების შემადგენლობაში, ძირითადი ტეგანი იყო.

უკუქმედება: მცენარე ძლიერ შხამიანია! ფრთხილად, გამოირჩევა აბორტული მოქმედებით.

ტილჭირი - *Aconitum L.*

ოჯ. ბაიასებრნი - *Fam. Ranunculaceae*



Aconitum orientale



Aconitum napellus

ტილჭირის სახეობები მაღალტოქსიკური მრავალწლოვანი ბალახოვანი 2 მ-მდე სიმაღლის მცენარეებია ლურჯი ან ყვითელი შეფერილობის ყვავილებით. მცენარეების ყველა ნაწილი შეიცავს ორი სახის ალკალოიდებს: ანტიზინური და აკონიტური. მფრინავი ალკალოიდების პირველი ტიპი არ არის შხამიანი, ჰიდროლიზის შედეგად იშლება არუკანინად და ორგანულ მჟავად, მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი და განაპირობებს სასიკეთო მოქმედებას ადამიანის გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე.

მეორე ტიპი ალკალოიდებისა, რომელიც მცენარის სახელწოდებით - აკონიტინის სახელითაა ცნობილი, ბევრად საინტერესოა, გამოირჩევა მაღალი შხამიანობით, ჰიდროლიზის დროს იშლება ბენზონისა და ძმრის მჟავებად. აკონიტინის ალკალოიდების ყველაზე დიდი კონცენტრაცია ტუბერებში აღინიშნება. ალკალოიდების გარ-

და ფესვტუბერები შეიცავს შაქარს, დაუკოსტერინს, ფსევდოაკონიტინს, მეზოინოზიდოლს, საპონინებს, ფლავონოიდებს, ფისებს, კუმარინს, სახამებელს, ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ბენზოინის, ტრანსაკონიტინის, სტეარინის, ოლეინის, პალმიტინის). მცენარის მიწისზედა ნაწილში აღინიშნება აგრეთვე: მთრიმლავი ნივთიერებები, 20-მდე მიკრო და მაკროელემენტები, ინოზიტი, ფლავონოიდები, ვიტამინი C.

სამკურნალო დანიშნულებით გამოიყენება აკონიტინის მიზერული რაოდენობა, ახდენს გულის რიტმისა და სუნთქვის ნორმალიზებას, ააქტიურებს უჭრედების ცვლას, ეწინააღმდეგება ინფექციების გამრავლებას და ამუხრუჭებს ახლადწარმონაქმნების ზრდა-განვითარებას.

თანამედროვე ჰომეოპათიაში ტილჭირის ერთ-ერთი სახეობა ჯუნგარის ტილჭირი (*Aconitum soongaricum* (Regel) Stapf) შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ გამოიყენება: სისხლნაკლებობის და ძალის დაკარგვის, ჰორმონალური დისფუნქციის, უნაყოფობის, იმპოტენციის, შაქრიანი დიაბეტის, ტოქსიკური ჩიყვის, სიყრუის, კატარაქტის, სიბრმავის, კეთილთვისებიანი ახლადწარმონაქმნების (მიომა, ადენომა, ფიბრომი, პოლიპები, კისტა), ნაღველ და თირკმელკენჭოვანი დაავადებები, არითმია, სტენოკარდია, ჰიპერტონია, წყლულები, გასტრიტი, ქოლეცისტიტი, პანკრეატიტი, ყაზოზობა, დიარეი, მეტეორიზმი, ბრონქიტი, პნევმონია, ასთმა, ტუბერკულოზი, პლევრიტი, სამწვერა ნერვის ნევრალგია, შაკიკი, დეპრესია, უძილობა, დამბლა, პარკინსონის დაავადება, ფსიხოზი, შიზოფრენია, ეპილეპსია, კრუნჩხვები, რევმატოიდული ართრიტი, ართროზები, ციმბირის წყლული, ფსორიაზი, ოსტეოხონდროზი, ნაღრძობი, მოტეხილობები, ვენერიული დაავადებები, ათაშანგი; გარეგანად - პედიკულოზი და მუნის სამკურნალოდ.

ასევე, სიმსივნის საწინააღმდეგო წარმატებული საშუალებაა, გამოიყენება ყველა სახის კიბოს სამკურნალოდ. მთელ მსოფლიოში ონკოლოგების მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდის შედეგად, დამტკიცებულია ტილჭირის ეფექტურობა. აკონიტინის მოქმედება ორგანიზმზე სრულად გამჭვირვალე და ნათელია, ამიტომ კვალიფიცირებული ექიმები არ გამორიცხვენ ამ მცენარით მკურნალობის

პრაქტიკულ სარგებელს. უფრო მეტიც, აკონიტის ნაყენის მიღება შესაძლებელია განხილულ იქნეს ქიმიოთერაპიის ალტერნატივად, ამ უკანასკნელის ჩატარების შეუძლებლობის შემთხვევაში.

ოფიცინალური მეთოდებისაგან განსხვავებით ტილჭირით კიბოს მკურნალობას აქვს შემდეგი უპირატესობა: ხელს უშლის ახალი მეტასტაზების წარმოქმნას და ამუხრჭებს არსებულის ზრდას, ზოგიერთ შემთხვევაში კი ამცირებს სიმსივნის ზომებს; ნაყენის ფრთხილი და გონიერი გამოყენების შემთხვევაში, არ იწვევს გვერდით ეფექტებს და დეგენერატიულ ცვლილებებს ორგანიზმში, განსხვავებით ქიმიოთერაპიისაგან; აკონიტინი ეხმარება ონკოავადმყოფებს დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას, ხსნის ტკივილებს, ანეიტრალებს დეპრესიას და უძილობას; აკონიტის ნაყენი 40-ჯერ უფრო მეტად შხამიანია, ვიდრე კიბოს საწინააღმდეგო სხვა პოპულარული საშუალებები - კონიოსა და ქრისტესისხლას ნაყენები. როდესაც კიბოს გართულებულ ფორმებზეა საუბარი, ტილჭირი უპირატესობას იმსახურებს.

უკუქმედება: ალკალოიდი აკონიტინი ადამიანის ნერვულ სისტემაზე მოქმედებით ცნობილი შხამის კურარეს მსგავსია! სულ მცირე დოზით მისი გადაჭარბება იწვევს სასუნთქი ცენტრის პარალიზებას და სიკვდილს. აქედან გამომდინარე, ჰომეოპათის მთავარი ამოცანაა დოზის სწორი შერჩევა.

ტყის ჩიტისთვალა – Galium odoratum (L.) Scop.

(syn. *Asperula odorata* L.)

ოჯ. ენდროსებრნი - Fam. Rubiaceae



მრავალწლიანი 10-60 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, წამოწეული ოთხწახნაგოვანი ღეროებითა და მხოხავი ფესურით. თხელი, თავწვეტიანი ლანცეტა ფორმის, კიდეხაოიანი მუქი მწვანე ფოთლები ღეროზე რგოლურადაა განლაგებული, რომელთა რიცხვი თითოეულ რგოლში 6-8 არ აღემატება. თეთრი ყვავილები თავმოყრილია კენწრულ, მეჩხერ ნახევარქოლგა თანაყვავილედებად. ნაყოფი მოკლე კაუჭაბეწვიან გარსშია მოთავსებული. ბუნებრივად გავრცელებულია ევროპისა და აზიის ზომიერ სარტყელში. საქართველოში იზრდება წიწვოვან და ფოთლოვან ტყეებში, განსაკუთრებით ფართოფოთლოვნებში, ჩრდილში.

ნედლი ფოთოლი თითქმის უსუნოა, მაგრამ გაშრობის შემდეგ რამდენადმე მუქდება და იძენს სპეციფიურ არომატულ სურნელს. სამკურნალო ნედლეულია მცენარის მიწისზედა ნაწილი (ბალახი). ჩიტისთვალას მიწისზედა ნაწილები შეიცავს კუმარინს, გლიკოზიდ ასპერულოზიდს, ციტრონსა და ასპერტანის მჟავებს, პიროკატეხინის ჯგუფის მთრიმლავ ნივთიერებებს, ფლავონოიდებს, ფისებს, ასკორბინის მჟავას, ეთერზეთებს. ხალხურ მედიცინაში ნაყენით მკურნალობენ სხვადასხვაგვარ წყალმანკს; გამოირჩევა სედატური მოქმედებითაც, წყვეტს ისტერიულ გულყრებს, ამცირებს სხვადასხვა ხასიათის ნერვიულ ტკივილებს, შველის უძილობას. შარდსადინარი სისტემის დაავადებებისას ამცირებს ქვების წარმოქმნას და მოქმედებს, როგორც შარდმდენი საშუალება. გარეგანად ცხელი საფენების სახით იყენებენ ფურუნკულების, კანის გამონაყრების, ჭრილობებიდან სისხლდენის, კანქვეშა სისხლჩაქცევების და სისხლის ცუდი შედედებისას.

გერმანიის ხალხური მედიცინა მას იყენებს დამაწყნარებლად, უძილობის, მუცლის ტკივილის, ნერვებაშლილობის და მენსტრუაციული ანომალიების დროს. გამოიყენება აგრეთვე ოფლისა და შარდმდენ საშუალებად.

უკრაინის ხალხური მედიცინა ჩიტისთვალას სხვა სამკურნალო ბალახებთან შერევით, როგორც მსუბუქად გამხსნელ საშუალებას, ხმარობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით კი ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების

დროს. ხოლო როგორც შარდდენის გამამდიერებელი, საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს შარდის ბუშტისაგან ქვებისა და ქვიშის გამოდევნისათვის.

ბულგარეთის ხალხურ მედიცინაში ჩიტისთვალას ნედლ ბალახს უფრო ეფექტურ მოქმედებად მიიჩნევენ ხმელთან შედარებით. რეკომენდირებულია ნაწლავების ჭვალის, უძილობის, შეტევითი ისტერიის, დისმენორიის, ღვიძლის დაავადებებისა და სიყვითლის დროს. მოქმედებს აგრეთვე შარდმდენ და ოფლისმომგვრელად წყალმანკის დროს და საშარდე ბუშტში ქვებისა და ქვიშის დაგროვების საწინააღმდეგოდ.

უკუქმედება: შხამიანი მცენარეა! გამოყენებისას დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, დოზის გადაჭარბება იწვევს პირღებინებას, თავის ტკივილებს, თავბრუსხვევას, ლეტალურ აღსასრულს.

ურთხელი, უთხოვარი - *Taxus baccata* L.

ოჯ. ურთხლისებრნი - Fam Taxaceae



10-25 მ-მდე სიმაღლის, ხშირწიწვოვანი მარადმწვანე, ორსახლიანი ხეა, გამოირჩევა სიცოცხლის ხანგრძლივობით, სხვადასხვა მონაცემებით, აღწევს 1,5-4 ათასამდე წელს. გავრცელებულია დასავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ ევროპაში. საქართველოს ყველა რეგიონშია წარმოდგენილი, მესხეთ-ჯავახეთის გარდა. იზრდება ტყეებში, უმთავრესად ერთეული ინდივიდების ან მცირე ჯგუფების სახით; მისი საუკეთესო კორომი შემორჩენილია კახეთში (ახმეტის რაიონი) ალაზნის სათავესთან - ბაწარას ხეობაში, ზღვ. დ. 1000-1300 მ სიმაღ-

ლეზე, 800 ჰა-მდე ფართობზე. იშვიათ სახეობათა რიცხვს მიეკუთვნება, შეტანილია სხვადასხვა ქვეყნის „წითელ წიგნებში“, მათ შორის საქართველოს „წითელ წიგნსა“ (1982) და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ (2006).

მერქანი ხასიათდება ძლიერი ბაქტერიციდული თვისებებით, ანადგურებს იმ მიკროორგანიზმებსაც კი, რომლებიც ჰაერშია გავრცელებული, განსაკუთრებით ფასდებოდა მასობრივი ეპიდემიების დროს. მერქანი, ქერქი და წიწვები შეიცავს შხამიან ალკალოიდ ტაქსინს, რომელიც იწვევს მოწამლვას, ხშირად ლეტალური დასასრულით.

1990-იანი წლებიდან მცენარის ალკალოიდებს იყენებენ სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალებების (პაკლიტაქსელი, დოცეტაქსელი) დასამზადებლად.

ძლიერი შხამიანობიდან გამომდინარე, არ არის რეკომენდებული სახლის პირობებში შინაგანი გამოყენებისათვის. წიწვების ნახარშს გარეგანად ხმარობენ რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, კანის მიკოზის, სხვადასხვა სახის დერმატიტებისა და მუნის სამკურნალოდ.

იხმარება კლასიკურ ჰომეოპათიაში, საფეთქლისა და სუპრაორბიტალური თავის ტკივილების, ყელის ქრონიკული კატარის, საჭმლის მიღების შემდეგ წარმოქმნილი ხველების, საკვებმომწელებელი სისტემის დაავადებებისას, რომლებსაც ახლავს ტკივილები ან ჩხვლეტები, ღვიძლის ციროზის, ათონური ყაბზობის, შარდსადინარი გზების დაავადებების, გართულებული შარდვის, კანის დაავადებების (წითელი ქარი, ფოლიკულიტი, გამონაყრები) სამკურნალოდ.

უკუჩვენება: მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

უცუნა - *Colchicum speciosum* Stev.
ოჯ. სათოვლიასებრნი - Fam. Colchicaceae



მრავალწლოვანი ტუბერბოლქოვანი მცენარეა 40 სმ-მდე სიმაღლის მიწისზედა ყლორტებით. ფოთოლი 4-5, მოგრძო ოვალური, გრძელვაგინიანი. ყვავილი 1-3, იისფერ-ვარდისფერია, უსუნო. ნაყოფი ელიფსური, მრავალთესლიანი კოლოფია, თესლი სფერულია, დანოჭებული, ყავისფერი. ხასიათდება განვითარების საინტერესო რიტმით: მცენარე ყვავილობს აგვისტო-სექტემბერში, ხოლო ფოთლები და ნაყოფები უნვითარდება მომავალი წლის გაზაფხულზე, ნაყოფი მწიფდება ივნისის დასაწყისში.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშია გავრცელებული. იზრდება ტენიან მდელოებზე მთის ზედა სარტყელში. სამკურნალო ნედლეულს ტუბერბოლქვები წარმოადგენს, რომელსაც აგროვებენ ყვავილობის პერიოდში, აგვისტოს ბოლოდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე; ნედლეული თავის თვისებებს 3 თვეს ინარჩუნებს.

შეიცავს ალკალოიდებს, მათ შორის ძირითადია - კოლხიციინი (ძლიერ ტოქსიკურია, ითვლება მიტოზურ შხამად), კოლხამინი, სპეციოზინი და კოლხიცერინი. კოლხამინი ხასიათდება კოლხიციინის მსგავსი მოქმედებით, მაგრამ ნაკლებ შხამიანია. ორივე ნივთიერება მიეკუთვნება კარიოკლასტურ შხამებს, ხასიათებიან უჯრედის ბირთვის დაყოფის (მიტოზი) შეჩერების უნარით. აღნიშნული ალკალოიდები განსაზღვრავს მცენარის საერთო ფარმაკოლოგიურ მიმართულებას. ანტიმიტოზური აქტივობიდან გამომდინარე გამოირჩევიან ავთვისებიანი სიმსივნეების საწინააღმდეგო მოქმედებით.

ტუბერ-ბოლქვების გარდა სამკურნალოდ თესლებიც გამოიყენება, რომლებიც ასევე მდიდარია ალკალოიდებით.

მიღებულია პრეპარატები: 0,5% კოლხამინის მალამო, გამოიყენება კანის კიბოს ენდოფიტური და ეგზოფიტური ფორმების I და II სტადიის დროს; კოლხამინის პერორალური გამოყენების ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს ლეიკოზი და კუჭ-ნაწლავის კიბო, რომელიც ოპერატიულ მკურნალობას არ ექვემდებარება. მცირე დოზებით მიღებისას აფართოებს სისხლძარღვებს, სწორედ ამითაა გამოწვეული მისი თერაპიული ეფექტი ნიკრისის ქარის, რევმატიული დაავადებებისა და ნევრალგიის დროს. კოლხიციინის შემცველი პრეპარატების მიღება ამ შემთხვევაში შედეგიანია, მაგრამ გაბედული, ვინაიდან დიაპაზონი მკურნალობასა და მის ტოქსიკურობასთან დოზებში ძალიან მცირეა. იგი არ უნდა აჭარბებდეს 0,001 გ 3-4 ჯერ დღეში.

უცუნას ალკალოიდები ფართოდ გამოიყენება გენეტიკურ გამოკვლევებში, აგრეთვე სელექციაში პოლიპლოიდური ფორმების მისაღებად.

გვ. Colchicum-ის წარმომადგენლები უძველეს სამკურნალო მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნებიან. გალენი, ძველი რომის ცნობილი ექიმი უცუნას თესლებს კარგ საშუალებად თვლიდა ნიკრისის ქარის საწინააღმდეგოდ. აქედან ცნობები მის შესახებ გავრცელდა ევროპაშიც. XIII ს-ში გამოვიდა ბერძენი ექიმის დიმიტრი პაპაგენოსის ტრაქტატი, რომელიც სპეციალურად ნიკრისის ქარს მიემდგნა და იქ სხვა მცენარეებთან ერთად უცუნას თესლებიც იყო აღნიშნული. შუა საუკუნეებში დიდი სახელი მოიხვეჭა ფრანგი ოფიცრის ჰუსონის სამკურნალო საშუალებამ, რომელიც “ჰუსონის წყლის” სახელწოდებით იყო ცნობილი და პანაცეად ითვლებოდა. წამლის შემადგენლობა გასაიდუმლოებული იყო, ვიდრე ერთმა ინგლისელმა ფარმაცევტმა არ გამოიკვლია, რომ უცუნას ღვინის ნაყენს წარმოადგენდა (Caro, 1975).

კავკასიაში უცუნას ტუბერბოლქვის ფხვნილს ხმარობდნენ ჩირქოვანი ჭრილობებისა და განგრენული წყლულების სამკურნალოდ.

უკუქმედება: მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, კოლხიცი-
ნის პრეპარატებით მკურნალობა ექიმის მეთვალყურეობის გარეშე
დაუშვებელია!

უძოვარა - *Trollius europaeus* L.

ოჯ. ბაიასებრნი - Fam. Ranunculaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 20-100 სმ სიმაღლის. ინ-
ვიტარებს ორი ტიპის ფოთლებს - ღეროსეულს და ფესვთანურს,
რომლებიც როზეტადაა შეკრებილ და ფორმით თათისებრ დაყოფი-
ლია. ყვავილები მსხვილია, სფერული, სუსტად არომატული, ფერი
ვარირებს ბაცი ყვითლიდან ოქროსფერ ყვითლამდე. ნაყოფი ფო-
თელურაა. ყვ. V-VI; ნაყ. VIII. იზრდება მაღალბალახეულობაში სუ-
ბალპურ მდელოებზე, ტყის ნაკაფებზე.

მიწისზედა და მიწისქვეშა ორგანოები მდიდარია ალკალოიდებით
(მაგნოფლორინი), აზოტის შემცველი შენაერთებით (ქოლინი),
ფლავონოიდებით; ფოთლებში დამატებით ნაპოვნია ფენოლკარბო-
ნული მჟავები; ყვავილები შეიცავს ფლავონოიდებს, კაროტინოი-
დებს. თესლებში აღმოჩენილია აგეთვე ალკალოიდები, ფერმენტი
ლიპაზა, ცხიმზეთები.

ოფიცინალურ მედიცინაში როგორც სამკურნალო მცენარე პრაქტი-
კულად არ გამოიყენება. მეცნიერების ყურადღება მიიპყრო მცენა-
რეში შემავალი ნივთიერებების სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმე-
დებად, მაგრამ ადამიანის ორგანიზმზე მისი მოქმედება ჯერ შეუს-
წავლელია. მიუხედავად მისი ტოქსიკურობისა, ხალხურ მედიცი-
ნაში უძველესი დროიდან დღემდე ითვლება სხვადასხვა

დაავადებების ძლიერ სამკურნალო საშუალებად. ფართოდ გამოიყენება შეშუპების დროს; ყვავილების ნახარშით მკურნალობენ კუჭს, ღვიძლს, შარდსასქესო ორგანოებს, თირკმელებს. ყვავილები ხასიათდება აგრეთვე შარდმდენი და ნალველმდენი ეფექტით. ფესვების ნაყენი რეკომენდირებულია წყალმანკის, მენტრუალური ციკლის დარღვევების, ეპილეპსიის, მუნის სამკურნალოდ.

უკუქმედება: შხამიანი მცენარეა! არასწორმა გამოყენებამ შეიძლება ადამიანების ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე შეუქმნას. არასწორი დოზირება აზიანებს ნერვულ სისტემას, იწვევს ალერგიულ რეაქციებს და დამწვრობებს. კატეგორიულად ეკრძალებათ ბავშვებს და ფეხმძიმე ქალებს მისი გამოყენება.

ფებფოთოლა - *Podophyllum peltatum* L.
ოჯ. კოწახურისებრნი – Fam. Berberidaceae



მრავალწლოვანი 40-50 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ბუნებრივად იზრდება ჩრდილოეთ აფრიკაში, კანადაში, სამხრეთ ამერიკის ტყესტეპის ზონაში, წიწვოვან ტყეებში. კულტივირებულია რიგ ქვეყნებში. სამკურნალო ნედლეული ფესურაა, შეიცავს ფისოვან ნივთიერებებს, ლიგნინებს (პოდოფილოტოქსინისა და პელტატინის წარმოებულები).

ფესურიდან და გვერდითი ფესვებიდან მიიღება ფისი, რომელიც მედიცინაში გამოიყენება როგორც მძლავრი კუჭის გამწმენდი საშუალება, არ გააჩნია შემდგომი გამამაგრებელი მოქმედება. მისი პრეპარატები იხმარება აგრეთვე ავთვისებიანი ახლადწარმონაქმნების, კონდილომას, პაპილომისა და კანის დაავადებების სამკურნალოდ.

უკუქმედება: ძლიერ შხამიანი მცენარეა! უკუმაცვენებელია რეცესიული ჰერპესის, ანთებითი კონდილომისა და სისხლიანი ჭრილობების დროს.

ფერულა - *Ferula foetidissima* Regel et Schmalh.

ოჯ. ქოლგოსანნი - Fam. Umbelliferae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 2 მ-მდე სიმაღლის, მძლავრი ფესვთა სისტემით. ფოთლები უმთავრესად სადგისისებრია, იშვიათად გასქელებული, ფესვთანური ფოთლები როზეტადაა შეკრებილი, სამმაგგანკვეთილი ფირფიტით. ყვავილები პოლიგამურია ყვითელი ან მოთეთრო შეფერილობის, დიდ ქოლგისებრ ყვავილედებადა შეკრებილი, რომლებიც თავის მხრივ საგველა ყვავილედებადა შეკრებილი. ნაყოფი ბრტყელი თესლურაა.

გავრცელებულია შუა აზიაში, უზბეკეთში, პამიროალაის ქედზე. სამკურნალოდ ფესვები გამოიყენება, მისი რძისებრი წვენიდან ამზადებენ სანელებელს - გუმფისს, რომელიც მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა. ფესვების საერთო მასის 25-დან 60%-მდე ფისები შეადგენს, რომლის დიდი ნაწილი შედგება ფერულას მჟავის რთული ეთერებისაგან და გუმფისისაგან; ეთერზეთები შეიცავს გოგირდის ნაერთებს, გარკვეული რაოდენობის ტერპენებს, კარბონულ მჟავებს (ძმრისა უდეცილის), სულფანილის მჟავას, სესკვიტერპენებსა და კუმარინებს. მკვეთრი სუნი, რითიც გამოირჩევა ფერულას ფესვები, განპირობებულია 2-ბუთილ-1-პროპენილ დისულფიდისა და სხვა დისულფიდებისაგან, რომლებიც იშლება სითბური დამუშავებისას.

ფერულას სასარგებლო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი; მას შესწევდა უნარი შეეჩერებინა ათეროსკლეროზის, კატარაქტის, ფსიქიური და ნერვული დარღვევების, თირკმელებში კენჭების წარმოქმნისა და განვითარების პროცესები. ავიცენას მიაჩნდა, რომ მისი პრეპარატების რეგულარული გამოყენება იწვევდა ორგანიზმის დამცავი ძალების (იმუნიტეტის) აღდგენას; მას იყენებდა კანის, ნერვულ-ფსიქიური, თვალისა და ინფექციური დაავადებებისას. დღემდე ჩინურ მედიცინაში გუმფისი გამოიყენება როგორც მატონიზირებელი და გამაძლიერებელი საშუალება ვეგეტონევროზის, ნევრასტენიისა და ისტერიისას. ტაჯიკეთის სახალხო მკურნალები დღესაც წარმატებით იყენებენ ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ, კუჭ-ნაწლავის ანთების, ტუბერკულოზის, ნერვული, კანისა და გულის დაავადებებისას.

ხასიათდება მრავალი სასარგებლო თვისებებით: ხსნის სპაზმებს, აუმჯობესებს საკვების მონელების პროცესებს, შეუცვლელია ორგანიზმიდან მუცლის ჭიების, მახვილა ნემატოდების, მრგვალი პარაზიტების გამოსადევნად; წარმატებით იხმარება თავის ტკივილების, ისტერიის, ნერვული აშლილობის, კრუნჩხვების, ციებ-ცხელებიანი მდგომარეობის დროს. ხასიათდება ანტიმიკრობული თვისებებით, რადიკალურია ბაქტერიებისა და სოკოების მიმართ. კურნავს გინეკოლოგიურ სნეულებებსაც: სპაზმებს, ტკივილის სინდრომებს, მენსტრუალურ ტკივილებს, უნაყოფობას, იმპოტენციასა და ფრიგიდულობას; საწინააღმდეგო ფეხმძიმობის შემდეგ ორგანიზმს უბრუნებს ტონუსს, ამაღლებს ენერგიას; დაფიქსირებულია გაახალგაზრდავების საუცხოო ეფექტი და დაბერების შეწყვეტის პროცესები, რაც ჯერ კიდევ ინდიელების მიერ იყო დამტკიცებული; ასევე მშვენივრად შველის სახსრების ტკივილს (რადიკულიტს, ოსტეოხონდროზს), ართრიტს, ამ შემთხვევაში საწინააღმდეგოა ამზადებენ პასტას და მტკივან ადგილებზე ადებენ კომპრესებს; კურნავს სასუნთქი სისტემის დაავადებებს: ასტმას, ფარინგიტს, ბრონქიტს, ყვიანახველას, ასევე ხმარობენ ყურისა და კბილის ტკივილებისას.

უკუჩვენება: მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, გამოყენებისას უკიდურესი სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

ფითრი - *Viscum album* L

ოჯ. ფითრისებრნი - Fam. Loranthaceae



მარადმწვანე, ნახევრადპარაზიტი ბურთისებრი ფორმის, დატოტვილი ბუჩქოვანი მცენარეა, გვხვდება მსხალზე, ვაშლზე, აკაციაზე, ცაცხვზე, სოჭზე, ვერხვზე და სხვა მერქიანი მცენარეების ტოტებზე. სამკურნალოდ გამოიყენება ნორჩი ყლორტები, შეიცავს ალკალოიდის მსგავს ნივთიერებებს, ორგანულ მჟავებს, ტრიტერპენოიდულ საპონინებს, ნახშირწყლებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, სპირტებს, ფლავონოიდებს, ქოლინს, ამინომჟავებს, ვისკოტოქსინს, უმაღლეს ცხიმოვან მჟავებს, ციკლოტილებს; ნაყოფში მოიპოვება კაუჩუკი და ინოზიტი 1-2%-მდე.

ხასიათდება ანტიათეროსკლეროზული, სისხლდენის შემაჩერებელი, ტკივილგამაყუჩებელი, შემომგარსავი, ლაქტაციის გამაძლიერებელი, შარდმდენი, საფაღარათო, წნევის დამწევი, ანთებისა და ავთვისებიანის სიმსივნეების საწინააღმდეგო მოქმედებით.

მეცნიერულ მედიცინაში გამოიყენება ათეროსკლეროზისა და სხვადასხვა სახის სიმსივნეების, ნევრალგიის, ათეროსკლეროზის, გასტრიტის, კოლიტის, ნეფრიტის, ბრონქიალური ასთმის, კიდურების ტროფიკული წყლულის, ყივანახველის, მიოზიტების, შინაგანი სისხლდენების (საშვილოსნოდან, ფილტვებიდან) საწინააღმდეგო საშუალებად. ხასიათდება ჰიპოტენზიური (სისხლის წნევის დაბლა დამწევი) მოქმედებითაც.

ფითრის ფოთლებისაგან მიღებული პრეპარატი ერთ-ერთი კომპონენტია ფართოდ ცნობილი კომპლექსური პრეპარატ „აკოფიტის“, რომელიც იხმარება რადიკულიტის დროს.

ფიტოს იყენებენ აბაზანისათვის ბუასილის მკურნალობაში. სასარგებლოა ფიტოს ჩაის მიღება სტრესულ მდგომარეობაში დაუძლეულობისა და თავბრუს ხვევის დროს.

უმჯობესი დროიდან იხმარება სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში ყლორტებს იყენებდნენ ეპილეფსიის, ისტერიული აშლილობის, თავბრუსხვევის, როგორც შემკვრელ, პირსასაქმებელ, ტკივილგამაყუჩებელ, სისხლის დენის შემაჩერებელ საშუალებას უხვისხლიანი მენსტრუაციისა და საშვილოსნოს, კუჭისა და ნაწლავებიდან ყოველგვარი სისხლდენების დროს, პარაზიტი ჭიების გამომდენ საშუალებად.

უკუქმედება: ხასიათდება სუსტი ტოქსიკური მოქმედებით!

ფუტკარა, სათითურა - Digitalis L

ოჯ. შავწამალასებრნი – Fam. Scrophulariaceae)



Digitalis ferruginea

Digitalis purpurea

ორ ან მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია, 150 სმ-მდე სიმაღლის ხეშემი ღეროებით. ფესვთანური ფოთლები გრძელყუნწიანებია, ღეროსეული - მოგრძო კვერცხისებრი, მოკლე ყუნწებით და ხერხებილა კიდებებით. ყვავილები უსწორო ფორმისაა, შეკრებილია წვეროსეულ, ხშირ ცალგვერდა ან მრავალმხრივიან მტევნისებრ ყვავილედებად. გვირგვინი მოგრძო ზარისებრია, ყვითელი, წითელი ან მოჟანგისფრო-მოყვითალო. ნაყოფი კოლოფია, თესლი წვრილია, ყავისფერი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VII-IX.

საქართველოში ამ გვარის 4 სახეობა იზრდება: *Digitalis ciliata*, *D. nervosa*, *D. ferruginea*, *D. schischkinii*, მათ შორის 2 სახეობა კავკასიის

ენდემია. იზრდებიან მთის ქვედა სარტყლიდან ზედა სარტყლამდე, ტყეებში და ბუჩქნარებში.

სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს. შეიცავს გლიკოზიდებს, რომელთაგან ფართო გამოყენება აქვთ: დიგიტოქსინს, გიტოქსინს, დიგოქსინს. გამოყოფილია ახალი გლიკოზიდებიც - დიგინინი და დიგიკორინი.


ფუტკარას სახეობები უმთავრეს საგულე საშუალებებს მიეკუთვნებიან. ფართოდ გამოიყენება გულის კომპენსაციის დარღვევების, გულის მანკის, გულის ქრონიკული უკმარისობის, არითმიის, შეშუპებისა და ჰიპერტონიული დაავადებების დროს. ფუტკარას პრეპარატები კურნავს აგრეთვე სისხლის მიმოქცევის მძიმე დარღვევებს, ჰიპერტონიას და გულისმიერ შეშუპებებს. მაქსიმალური მოქმედება შეინიშნება 8-12 საათის განმავლობაში. ფუტკარას სამკურნალო პრეპარატების ხანგრძლივი დროით მიღება დაუშვებელია, ის ადვილად შეიწოვება და დაუზოგავად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე. ამასთან ერთად გათვალისწინებული უნდა იყვეს, რომ დიგიტოქსინი ხასიათდება კუმულატორული მოქმედებით და მისმა ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ორგანიზმის მოწამლვა.

ოფიცინალური მედიცინა ფართოდ იყენებს ფუტკარას ფარმაკოლოგიაში. მეწამული ფუტკარასაგან (*Digitalis purpurea*) მიღებულია პრეპარატები: გიტალენი, დიგიპურენი, ლანტოზიდი, კორდიგიდი, დიგიტოქსინი, ცელანიდი, აცეტილდიგიტოქსინი და სხვ., რომლებიც ფართოდ გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მკურნალობისას.

მეორე სახეობისგან - წამწამიანი ფუტკარასაგან (*Digitalis lanata*) მიღებული პრეპარატები არეგულირებს გულის კუნთის მოქმედებას.

უკუქმედება: მცენარის ყველა ნაწილი **შხამიანია!** ოფიცინალურ მედიცინაში არსებული პრეპარატების ფართო ასორტიმენტიდან გამომდინარე, სახლის პირობებში ნაყენებისა და ნახარშების დამზადება არ არის რეკომენდირებული!

ქართული ყოჩივარდა - *Cyclamen vernum* Sm. (= *C. ibericum* Stev.)
ოჯ. ფურისულასებრნი - Fam. Primulaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სფერული ან მობრტყო ტუბერით, ფესვები ფუნჯისებრია და ტუბერის ქვედა მხარეს ვითარდება. ფოთლები გულისებრია, ზოგჯერ მოგრძო კვერცხისებრ-გულისებრი, კიდემთლიანი, მოთეთრო-მომწვანო ლაქებით. ყვავილები მრავალრიცხოვანია, წითელი, ყვავილების ყუნწები ყვავილობამდე სწრომდგომია, ყვავილობისას თავდახრილი, დაყვავილების შემდეგ კი სპირალურად ეხვევა და თესლი მიწაში ჩააქვს. ნაყოფი სფერული კოლოფია, მრავალრიცხოვანი თესლით. ადრე გაზაფხულზე მოყვავილე მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება. ყვ. I-III; ნაყ. V-VI. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული მთელ ტყის სარტყელში. ტუბერი შეიცავს საპონინებს.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ღვიძლის და გინეკოლოგიური დაავადებისას, ნევრალგიის, ფრონტიტის და ჰაიმორიტის საწინააღმდეგოდ. ნედლი ფესურის წყალზე ნაყენს ყურში აწვეთებენ ქრონიკული გამონადენების დროს. სისტემატიური თავის ტკივილების დროს ცხვირის ნესტოებში ფესურის თბილ წვენს აწვეთებენ. ყოჩივარდას ფესურის პრეპარატებს ხალხური მედიცინა იყენებს მენსტრუაციის ციკლის დარღვევის და მასთან დაკავშირებული ალგუნებულობის დროს. რეკომენდირებულია აგრეთვე ნევრალგიის, საჭმლის მონელების მოშლის, გაზების დაგროვებით გამოწვეული ჭვალეების და რევმატული ტკივილების შემთხვევებში.

უკუქმედება: ყოჩივარდას ყველა სახეობა **შხამიანია!** გამხმარი ტუბერი ტოქსიკურობას ჰკარგავს და მისი საკვებად გამოყენება შეიძლება.

ქენდირი – *Apocynum cannabinum* L.

ოჯ. ქენდირისებრნი - Fam. Apocynaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 1-1,5 მ სიმაღლის დატოტვილი ღეროთი. ხასიათდება მსხვილი სქელი ვერტიკალური ფესურით, რომელიც წვრილ მთავარღერძა ფესვში გადადის; ფესურიდან ვითარდება 2-4 მ სიგრძის ჰორიზონტალური ყლორტები. ფოთლები მოპირისპირეა, მოკლეყუნწიანი, კვერცხისებრი, მოკლე მახვილი წვერით. ყვავილები წვრილია, მკრთალი ვარდისფერიდან მუქ შეფერილობამდე, შეკრებილია ფარისებრ წვეროსეულ ყვავილედებად. ნაყოფი რთული ფოთლოვანაა; თესლი მრავალრიცხოვანია, საფრენი ბეწვებით შემოსილი.

ბუნებრივად იზრდება ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ რეგიონების მაღალმთიანეთში, ზღ. დ. 2000 მ სიმაღლეზე. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

სამკურნალო ნედლეულია ფესურა ფესვებითურთ. შეიცავს გულის გლიკოზიდებს (ციმარინს, აპოკანოზიდს, ცინოკანოზიდს, K-სტროფანტინ ბეტას), ცხიმოვან მჟავებს (ლინეოლის, ოლეინის, პალმიტინის, სტეარინის), ტრიტერპენულ შენაერთებს, ტანიებს, კაუჩუკსა და ალკალოიდებს კვალის სახით.

ჩრდილოეთ ამერიკის ხალხურ მედიცინაში პირველ ხანებში წყალმანკის სამკურნალოდ ხმარობდნენ. 1911 წელს გერმანელი მეცნიერების მიერ მცენარის მიწისქვეშა ორგანოებიდან გამოყოფილი იყო კრისტალური გლიკოზიდი – ციმარინი, დადგინდა რომ ფარმაკოლოგიური აქტივობით ახლოა სტროფანტინთან, აძლიერებს გულის კუმშვადობას, გულის რიტმს, ზრდის სისხლდენის სიჩქარეს, აფართოებს გულის კორონარულ სისხლძარღვებს, ხელს უწყობს შარდის გამოყოფას.

ფესურიდან მიღებულია გულის პრეპარატი – ”კენდოზიდი”, მოქმედებს როგორც ციმარინი, მაგრამ მისგან განსხვავებით აღაგზნებს სასუნთქ ცენტრს და აძლიერებს სუნთქვის მოქმედებას. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება გულის რევმატიული მანკის ნიადაგზე წარმოქმნილი სისხლდარღვევების, კარდიოსკლეროზისა და ჰიპერტონიული დაავადებებისას.

უკუქმედება: მცენარის **შხამიანობიდან** გამომდინარე, შინაგანი მიღებისას სიფრთხილის დაცვა აუცილებელია!

ქრისტესისხლა - *Chelidonium majus* L.

ოჯ. ყაყაჩოსებრნი - Fam. Papaveraceae



მრავალწლოვანი 25-70 სმ სიმაღლის ბალახოვანი, ფართოდ გავრცელებული მცენარეა, ყვითელი რძე-წვენით. ფოთლები თხელია, ქვემოდან უფრო მკრთალი, 5-7 სეგმენტად ფრთისებრ დაკვეთილი. ყვავილები ყვითელია, კენწრულ ქოლგის მსგავს მტევნებად

შეკრებილი. ნაყოფი მოგრძო-ცილინდრული ერთბუდიაანი კოლოფია, მომწიფებისას ორი საგდულით იხსნება. თესლი თანათესლითაა, ზადისებრ დაქსელილი. ყვ. V-VIII; ნაყ. VI-VIII. საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

სამკურნალო ნედლეულს მიწისზედა ყლორტები წარმოადგენს, შებრავილი ყვავილობის საწყის პერიოდში. შეიცავს ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ქარვის, ვაშლის), ეთერზეთებს, საპონინებს, ალკალოიდებს (კოპტიზინები, პროტოპინი, ქელიდონინი, სანგვინარინი და სხვ.), ქოლინს, ჰისტამინს, ფლავონოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფენოლკარბოლმჟავებს, ასკორბინის მჟავას, კაროტინს.

ხასიათდება სპაზმის მომხსნელი, ანთების საწინააღმდეგო და ბაქტერიციდული თვისებებით. ფარმაკოლოგიური მოქმედებით გამოირჩევა მცენარეში შემავალი ალკალოიდები, კერძოდ ალკალოიდი ქელიდონინი ავლენს ძლიერ ტკივილგამაყუჩებელ და დამამშვიდებელ ეფექტს, ახდენს სპაზმოლიტურ მოქმედებას გლუვი კუნთების შემცველ ორგანოებზე. შესაბამისად, აქვს ჰიპოტენზიური (წნევის დამაქვეითებელი) და ბრადიკარდიული (პულსის გამაიშვიათებელი) ეფექტი. მეორე ალკალოიდი - ჰომოქელიდონინი აღმგზნები, კრუნჩხვის გამომწვევი და ტკივილგამაყუჩებელი (ანესთეზიურ) მოქმედებით გამოირჩევა. ალკალოიდი პროტოპინი ამცირებს ვეგეტატიური ნერვული სისტემის რეაქტიულობას და აძლიერებს გლუვი კუნთების ტონუსს. ქრისტესისხლას პრეპარატები გამოიყენება ანთებისა და ქავილის საწინააღმდეგოდ, ჭრილობების შესახორცებლად და მოსაწვავად, ანტიმიკრობული დანიშნულებით; ახალგამოწურული წვენითა და დაქუცმაცებული ბალახით შეიძლება ხალების, კონდილომების, კოჟრებისა და ჭორფლის მოცილება. ბალახის წვენით მკურნალობენ ცხვირ-ხახის პათოლოგიებს, ადენოიდებს, პოლიპებს, კოჟრებს, ხორცმეტებს, ნახეთქებს, სხვადასხვა წარმოშობის მუწუკებს, ფურუნკულებს, ეგზემას, ღრძილებს, ჰერპესულ ინფექციას (განსაკუთრებით - ტუჩებზე), წარმატებით იყენებენ ჰიპერტონიის, ასთმის, ლეიკოზის, ათეროსკლეროზის, ფიბრომის, გრიპის, მსხვილი ნაწლავის პოლიპოზის, ბუასილის, გასტრიტის, ჩიყვის, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, საჭმ-

ლის მომწელებელი ტრაქტის წყლულის, სტენოკარდიის, ჰიპერტონიის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის პათოლოგიების შემთხვევებში, აგრეთვე თირკმელებისა და გულის დაავადებათა სამკურნალოდ. ამ მცენარისაგან დამზადებული პრეპარატები აბრკოლებენ ავთვისებიანი სიმსივნეების ზრდას, გააჩნიათ ბაქტერიოსტატიკური მოქმედება კოხის ჩხირის მიმართ.

ხალხურ მედიცინაში ტრადიციულად გამოიყენებოდა სხვადასხვა ლოკალიზაციის სიმსივნეების სამკურნალოდ. მეცნიერულმა მედიცინამ დაამტკიცა მისი კიბოს საწინააღმდეგო და იმუნომოდულირებული მოქმედება .

უკუქმედება: ქრისტესისხლას **ტოქსიკურობიდან** გამომდინარე, არასწორმა და არაზომიერმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის მოწამლვა, ორგანიზმის ცენტრალური ნერვული სისტემის დამბლა.

ღვედკეცი - *Periploca graeca* L.

ოჯ. ღვედკეცისებრნი - Fam. Asclepiadaceae



რელიქტური სახეობაა, 10-12 მ-მდე სიმაღლის ლიანა, ცილინდრული ფორმის ძლიერ დატოტვილი ფესურით. ღეროსა და ტოტების ქერქი მურა-მონაცრისფეროა, დაფარულია წვრილი მოყვითალო-მურა ხორკლებით. ფოთლები ტყავისებრია, მოპირისპირედ განწყობილი, კვერცხისებრ ლანცეტა ან ლანცეტა ელიფსური, ზემოდან უფრო მუქი მწვანე, ქვემოდან კი მკრთალი. ყვავილები მომწვანო-იისფერია, ნახევარქოლგისებრ ყვავილედებად შეკრებილი.

ნაყოფი წყვილი რკალისებრი ფოთლურაა, რომელიც ხშირად წვერში ერთმანეთთანაა შეზრდილი, მომწიფებისას შიგნითა მხრიდან მთელ სიგრძეზე სკდება და ბეწვიანი მრავალი თესლი თანდათან სცვივა და ქარის საშუალებით ვრცელდება. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX. იზრდება ტყის სარტყელში, ტენიან ადგილებში, მდინარეთა ნაპირებზე. მეტწილად დასავლეთ საქართველოს დაბლობის ტყეებში გვხვდება, აღმოსავლეთ საქართველოში უმთავრესად ჭალის ტყეებსა და ტენიან ხეობებშია გავრცელებული.

მედიცინაში ღვედკეცის ქერქს იყენებენ, რომელსაც ადრე გაზაფხულზე, წვენის მოძრაობის დაწყებისთანავე ამზადებენ. იგი შეიცავს ალკალოიდებს, ალდეჰიდებსა და 9 დასახელების გლიკოზიდებს. ერთ-ერთი გლიკოზიდისაგან მიღებულია პრეპარატი პერიპლოცინი, რომელიც სტროფანტინის მსგავსად გულის უკმარობისას გამოიყენება სისხლის მიმოქცევის მოშლის მძიმე მდგომარეობის დროს. პერიპლოცინის თერაპევტული ეფექტი პულსის ცემის რიცხვის შემცირებაში, გულის კუმშვის გაძლიერებაში, სისხლის მიმოქცევის დაჩქარებაში, სულის ხუთვის შეგრძნების შემცირებასა და დიურეზის (შარდმენი) გადიდებაში გამოიხატება.

პერიპლოცინს გულ-სისხლძარღვთა სისტემის უკმარობის II-III სტადიაზე იყენებენ. აღინიშნება საერთო მდგომარეობის გაუმჯობესება. მცირდება სულის ხუთვის შეგრძნება, გულის ცემა, ხელს უწყობს ძილის აღდგენას. მკურნალობის დაწყებიდან 8-12 დღის შემდეგ ბევრ შემთხვევაში ქრება ციანოზი (სისხლის მიმოქცევის მოშლით გამოწვეული სილურჯე, კანის და ლორწოვანი გარსის გალურჯება). კლებულობს შეშუპება, მცირდება პულსის სიხშირე და დეფიციტი. მოციმციმე არითმიის დროს ტახიკარდიის ინტენსივობა მცირდება.

უკუქმედება: ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერება პერიპლოცინი ძლიერი ტოქსიკური ნაერთია და ნედლეულის გამოყენება მხოლოდ ექიმის კონტროლქვეშაა შესაძლებელი.

ღორის ბირკა - *Xanthium strumarium* L.

ოჯ. რთულყვავილოვანნი – Fam. Compositae



ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, ინვითარებს 30-80 სმ სიმაღლის უსწორმასწოროდ დაფოთლილ, უეკლო მწვანე ღეროს, რომელსაც ზოგჯერ ყავის ფერი გადაჰკრავს. ფოთოლი დიდია, გულისებური, დაძარღვული, კიდებზე უთანაბროდ დაკბილული, ზედა მხრიდან მოყვითალო მწვანე, ქვედა მხრიდან - ღია მწვანე, ყვავილი - მოთეთროა, ძაბრისებრი, ხშირად შეუმჩნეველი. ნაყოფი - მრგვალი და წაგრძელებული, სიმწიფეში - ბასრი ეკლებით გარსშემოკრული. მწიფდება სექტემბერ-ოქტომბერში.

ფართოდ გავრცელებული სარეველაა. ქიმიური შემადგენლობა სუსტადაა შესწავლილი, ცნობილია, რომ ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით იოდს, ალკალოიდებს, იმუნომოდულატორებს და ასკორბინის მჟავას. თესლებში აღინიშნება ცხიმზეთები, ფისები, გლიკოზიდი ქსანტოსტრუმარინი და იოდი. ხასიათდება ანტისეპტიკური, ფუნგიციდური, ანთების საწინააღმდეგო, სუსტი გამაუმტკივნეული, ოფლმდენი და სიცხის დამწვევი მოქმედებით. სამკურნალო მიზნებისათვის იყენებენ ფოთლებს, ღეროებსა და ფესვებს. მცენარის ნახარში მიიღება ფაღარათის, დიზენტერიის, ჩიყვის (ხელს უწყობს ფარისებრი ჯირკვლის შემცირებას) სამკურნალოდ. შუა აზიაში ფოთლების წვესს ღებულობენ ასტმის, ყელის სპაზმებისა და ბუასილის დროს. ჩინურ ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც სიცხის დამწვევი, ოფლმდენი, დამამშვიდებელი

საშუალება; ნაყოფებს მალამოს სახით ხმარობენ ეგზემის, გამონაყარების, მუნისა და მწერების ნაკბენების საწინააღმდეგოდ.

მშრალი ფოთლების ნახარშს ან ნედლ წვეს (წვეთების სახით) იყენებენ ფილტვების კიბოს სამკურნალოდ, ხოლო დამწვარი თესლების ბოლის შეხრჩოლებით კურნავენ ზემო სასუნთქი გზების (ტრაქეა, ხორხის) სიმსივნეს.

უკუჩვენება: შხამიანი მცენარეა! შინაგანი გამოყენებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

ყვანჩალა – *Stachys sylvatica* L.
ოჯ. ტუჩოსანნი - Fam. Labiatae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 35-120 სმ-მდე სიმაღლის აღმავალი, ზედა ნაწილში დატოტვილი ღეროებით. ღეროსეული ფოთლები ყუნწიანია, კვერცხისებრ-გულისებრი, წაწვეტებული, ღარისებრ-ხერხისებრ დაკბილული, ზედა მხარეს ბაცი-მწვანე, ქვედაზე - მონაცრისფრო მწვანე. ყვავილები მუქი წითელია, გვირგვინი ორტუჩაა, შეკრებილია გრძელ წვეროსეულ ყვავილედებად. ნაყოფი მუქი მურა, გლუვი, ფართი კვერცხისებრი კაკალია. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII. ბუნებრივად გავრცელებულია საქართველოს ყველა რაიონში. იზრდება ტყეებში, დაბლობიდან მთის შუა სარტყლამდე.


სამკურნალო ნედლეულს მცენარის მიწისზედა ნაწილი წარმოადგენს, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. შეიცავს ბეტაინის შენაერთებს – სტახიდრინს, ბეტონიცინს, ტურიცინს, ტრიგონელინს, აგრეთვე ქოლინს, ალენტონინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს, ეთერზეთებს, ასკორბინის მჟავასა და ორგანულ მჟავებს.

ხასიათდება ჰემოსტატიკური, სედატური, ჰიპოტენზიური მოქმედებით. ყვანჩალას პრეპარატები იწვევს სედატურ მოქმედებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, აქვეითებს არტერიულ წნევას, ამალღებს ტონუსს და ამლიერებს საშვილოსნოს შევიწროებას. იყენებდნენ სამეანო-გინეკოლოგიურ პრაქტიკაში მშობიარობის შემდგომ პერიოდში საშვილოსნოს ჰიპოტონიის ან ატონიისა და ამით გამოწვეული სისხლდენებისა და სხვა წამოშობის სისხლდენების სამკურნალოდ, რაც დადგენილია კლინიკური გამოკვლევებით. წარსულში, ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა ნიკრისის ქარის, კუჭისა და ღვიძლის დაავადებების, ისტერიის, ეპილეპსიის, ანთების საწინააღმდეგოდ და სისხლდენის შემაჩერებლად.

უკუჩვენება: შხამიანი მცენარეა!

ყვითელი დუმფარა - *Nuphar lutea* (L.) Smith

ოჯ. დუმფარასებრნი - Fam. Nymphaeaceae



მრავალწლოვანი წყლის მცენარეა, ჰორიზონტალური, სქელი, ხორცოვანი ფესურით და წყლის პირზე მცურავი ფოთლებით. ინვითარებს ორი სახის ფოთლებს, ქვედა, წყლისქვეშა ფოთლები თხელია, მოკლე ყუნწიანი, ნახევრად გამჭვირვალე; ზედა - მცურავი ფოთლები მრგვალია ან კვერცხისებრ-ოვალური, ტყავისებრი, გრძელი სამწახნაგოვანი ყუნწებით. მცურავი ყვავილები მარტოულია, წვეროსეული, ყვითელი ფერის. ნაყოფი ბრტყელი, მრავალბუდიანი კოლოფია, მრავალრიცხოვანი თესლით. ყვ. VI-IX; ნაყ. VIII-IX.

ბუნებრივად გავრცელებულია საქართველოში. სამკურნალოდ გამოიყენება ფესურა, ფოთლები, ყვავილი. ფესურა შეიცავს დიდი რაოდენობით მთრიმლავ ნივთიერებებს, ალკალოიდ ნიმფეირს, სახამებელს; ყვავილებში აღინიშნება კრისტალური ტიპის გლიკოზიდი ნიმფალინი.

ხასიათდება მძლავრი სიცხისდამწევი მოქმედებით. ყვავილების ნაყენი ეფექტურია ნევროზების, ნევრალგიების, რევმატიზმის, სიცვითლის, უძილობის სამკურნალოდ. ღვინოზე დაყენებული ფესვის ნაყენი ხსნის უხვ ჩირქოვან გამონაყოფს; ხოლო ფესვების ნახარში - ტკივილებს, ეპიდერმისის ანთებითი პროცესების უსიამოვნო სიმპტომებს, გამოიყენება კუჭის აშლილობის დროსაც. ფესვები საფენების სახით იხმარება მწვავე ვირუსული ინფექციებისა და გაციების შემთხვევაში. მითითებულია ფესვის ნაყენის სამკურნალო გამოყენება ელენტის სხვადასხვა სახის სიმსივნეების, აგრეთვე ავთვისებიანი წარმონაქმნებისას.

უკუჩვენება: შხამიანი მცენარეა!

ყვითელი ყაყაჩურა - *Glaucium flavum* Crantz

ოჯ. ყაყაჩოსებრნი - Fam. Papaveraceae



ორ ან მრავალწლოვანი 20-65 სმ სიმაღლის ლეგა შეფერილობის ბალახოვანი მცენარეა დატოტვილი ღეროებით. ფესვთანური ფოთლები მრავალრიცხოვანია, ფრთისებრ განკვეთილი, ღეროსეული-მცირე ზომისაა, ღერომხვევი, ფართოკვერცხისებრი. ყვავილები


კამკაშა მონარინჯისფრო-ყვითელია, მსხვილი. ნაყოფი - ცილინ-დრული კოლოფია, ჭოტის მსგავსი, მოფენილია მოთეთრო ბორცვე-ბით. თესლი წვრილია, შავი ფერის. ყვ. V-VII; ნაყ. VI-VIII.

სახეობის არეალი მოიცავს ზღვისპირა სანაპიროებს ევროპაში, წინა აზიასა და ჩდილოეთ აფრიკაში. კულტივირებულია სამკურნალო და დეკორატიული მიზნებისათვის მრავალ ქვეყანაში. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ყლორტები, შეგროვილი კოკრიანობის ან ყვავილობის საწყის პერიოდში. ბალახი შეიცავს აპომორფული ჯგუფის იზოქინოლოურ ალკალოიდებს (15-ზე მეტი სახის), მათ შორის უმთავრესი - გლაუცინია. ხასიათდება ხველების საწინააღმდეგო, სპაზმოლიტური, ანალგეტიკური, ადრენოლიტური მოქმედებით. გამოიყენება I და II სტადიის ჰიპერტონიისა და ენდარტერიტის (არტერიების შიდა გარსის ანთება) სამკურნალოდ. კლინიკურმა გამოკვლევებმა აჩვენა მაღალი თერაპიული ეფექტურობა სასუნთქი ორგანოების დაავადებებისას (ბრონქიტი, ბრონქოპნევმონია, კრუპოზული პნევმონია, ფილტვების აბსცესი, ფილტვების კეროვანი ტუბერკულოზი, ექსუდატური პლევრიტი). გლაუცინის ხველების საწინააღმდეგო მოქმედება სიძლიერით და ხანგრძლივობით კოდეინზე ეფექტურია და მისგან განსხვავებით არ იწვევს მიჩვევას.

ნედლეულს ამზადებენ მასში შემავალი ალკალოიდების მიღების მიზნით, რომელიც ხველების საწინააღმდეგო მოქმედებით ხასიათდება. ფარმაცევტიული მრეწველობა ამზადებს პრეპარატ „გლაუცინის ჰიდროქლორიდის“, რომელსაც უნიშნავენ ფილტვების სხვადასხვა დაავადებისას: მწვავე ბრონქიტი, ფილტვების აბსცესი, ფილტვების ფიბროზული ტუბერკულოზის და სხვ. სიძლიერითა და ხანგრძლივობით გლაუცინის ხველების საწინააღმდეგო ეფექტი რამდენადმე აქტიურია კოდეინთან შედარებით. ის არ იწვევს მავნე მოქმედებას კუჭ-ნაწლავის ტრაქტზე და არ იწვევს მიჩვევას. თესლების ფხვნილს ღებულობენ ძლიერ მცირე დოზით (დანის წვერზე) უმატებენ თბილ ანადუღარ წყალს, ყველა სახის ხელების დროს.

უკუქმედება: შხამიანი მცენარეა! გვერდითი მოვლენებია - თავბრუსხვევა.

ყვითელი ცხვირისატეხელა - *Adonis vernalis* L.
ოჯ.ზაიასებრნი - Fam. Ranunculaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, 40 სმ-მდე სიმაღლის სწორ-მდგომი, მცირედ დატოტვილი, უხვად შეფოთილი ღეროებით. ღეროსეული ქვედა ფოთლები მჯდომარეა, მორიგეობითი, შიშველი, მომრგვალო, თათისებრდაყოფილი; წვეროსეული - სადგისისებრწაწვეტებული. ყვავილი ოქროსფერ-ყვითელია, მსხვილი, მარტოული, წვეროსეული, გვირგვინი შედგება 12-20 განცალ-კეცებული ფოთოლაკისაგან. ყვავილი ერთდროულად ფოთლებთან ერთად ვითარდება, ნაყოფი ოვალური ფორმისაა, ცილინდრული ყვავილსაჯდომი მრავალრიცხოვანი, მონაცრისფრო-მომწვანო მშრალი თესლურებითაა მოფენილი. ყვ. IV-V; ნაყ. VI-VII.

გავრცელებულია რუსეთის ევროპულ ნაწილში, უკრაინაში, ყირიმში, ჩრდ. კავკასიასა და ციმბირის სტეპურ ნაწილში. მედიცინაში ბალახი გამოიყენება, რომელსაც აგროვებენ ყვავილობის დაწყებიდან თესლების სრულ დაცვენამდე. აშრობენ საშრობებში 30-40⁰ ტემპერატურაზე, ინახავენ მთელი წლის განმავლობაში მშრალ, კარგად განიავებულ შენობებში.

ბალახი შეიცავს გულის გლიკოზიდებს. მათგან გამოყოფილია სუფთა სახით კარდენოლიდები: ადონიტოქსინი, იხლიჩება შაქარ რამნოზად და აგლიკონ ადონიტოქსიგენინად; ციმარინი, იხლიჩება შაქარ ციმაროზად და სტროფანტიდინად; K-სტროფანტინი, იხლი-

ჩება შაქარ ციმაროზად, გლუკოზად და აგლიკონ სტროფანტიდინად. კვალის სახით აღინიშნება გულის სხვა გლიკოზიდები და საპონინები. ერთ-ერთი უმთავრესი გულის საშუალებაა, ხასიათდება კარდიოტონური თვისებებით, ანელებს გულის რიტმს, აძლიერებს სისტოლას, ზრდის გულის დარტყმის მოცულობას, ზომიერად აქვეითებს გულის შიდა გამტარიანობას.

სამედიცინო პრაქტიკაში ცნობილია XIX ს-დან, დღესაც ფართოდ გამოიყენება. მისი გამოყენების მაჩვენებელია გულის დეკომპენსირებული მანკი, გულის ფუნქციონალური ნევროზები, ინფექციური დაავადებები, რომლებიც მიმდინარეობს გულის მოქმედების დასუსტების სიმპტომებით, თირკმლის დაავადებები, გულ-სისხლძარღვა სისტემის უკმარისობის სიმპტომებით.

ბალახისაგან მიღებულ მშრალი ექსტრაქტისაგან მიიღება „ადონის-ბრომის“ ტაბლეტები, კალიუმის ბრომიდთან 1:1 თანაფარდობით. იხმარება გულის ნევროზების, გულის ქრონიკული უკმარისობისას, უნიშნავენ დღეში 2-3 ტაბლეტს.

უკუჩვენება: მთელი მცენარე შხამიანია!

შავთარა - *Fumaria officinalis* L.

ოჯ. ყაყაჩოსებრნი - Fam. Papaveraceae



ერთწლოვანი 10-30 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა ვიწრო-ხაზურ სეგმენტებად რამდენჯერმე ფრთისებრ დაკვეთილი ლეგა ფოთლებით. ყვავილები ზიგომორფულია, ჩვეულებრივ მოწითალო ან მოვარდისფრო, უფრო ხშირად პატარა ზომის, თანაყვავილე-

ბიანი, მოკლე მტევნებად შეკრებილი. ნაყოფი ფართო-უკუკვერცხი-სებრია, თავჩაზნექილი, ერთთესლიანი მომრგვლო კაკალია. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII.

სარეველათ, იზრდება ნათესებში, რუდერალურ ადგილებზე მთის შუა სარტყლამდე. სამკურნალოდ გამოიყენება მცენარის მიწისზედა ყლორტები, შეგროვილი ყვავილობის პერიოდში. ბალახი შეიცავს: ალკალოიდებს (ამ ჯგუფში შედის - სანგვინარინი, პროტოპინი, კრიპტოკავინი, 1-ტეტრაჰიდროკოპტინინი, აურეტენზინი, კრიპტოკარპინი), ორგანულ მჟავებს (ფუმარინის, ვაშლის, ლიმონის, ქარვის, კოფეინის, ქლოროგენის), მთრიმლავ ნივთიერებებს, ვიტამინებს K და C, ფისებს. წარმოადგენს ფუმარინის მჟავის წყაროს.

კლინიკური და ფარმაკოლოგიური გამოკვლევების თანახმად, ხასიათდება ორგანიზმზე მოქმედების ფართო სპექტრით - ანტიესპეტუკური, ანთების საწინააღმდეგო, საერთო-გამაძლიერებელი, დიურეზული, ჰიპოტენზიური, სპაზმოლიტური, ანტიქოლერგიული, ანტიგისტამინური და ანტიფსიქიკური. შავთარას პრეპარატები აქტიურებს ნაღვლისა და შარდის გამოყოფას, აუმჯობესებს მადას, აწესრიგებს ნახშირბადის ცვლას, ამცირებს ნაწლავებში მიმდინარე დუღილისა და სიდამპლის პროცესებს, ამლიერებს იმუნურ და ნერვულ სისტემებს.

მცენარის სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი. ჯერ კიდევ გალენი და ავიცენა უნიშნავდნენ მის პრეპარატებს ღვიძლისა და ნაღვლის სადინარების დაავადებებისას; მას იყენებდნენ ჰიპოტენზიურ საშუალებად, აგრეთვე დასუსტებულ და დანაღვლიანებულ ადამიანებში ცენტრალური ნერვული სისტემის მცირედ აღმგზნებად. ნედლი ბალახის ნახარში შველის გულისმიერი წარმოშობის შემუპებებს. წვენი ეფექტურია ფილტვების ტუბერკულოზის, ციებ-ცხელების, ჰემოროიდალური სისხლდენებისას; წვენივე მკურნალობენ სხვადასხვა წარმოშობის დერმატოზებს, მუნს.

ბულგარეთის ხალხურ მედიცინაში რეკომენდებულია სიყვითლის (ჰეპატიტი), სკროპულოზის, კანის გამონაყრების, ლიქენის, ბუასილის, ფერიმქამელების სამკურნალოდ, აგრეთვე როგორც შარდმდენი და ოფლმდენი საშუალება.

ბალახი გამოიყენება ჰომეოპათიაში, ღვიძლის დაავადებების, ნალველსადინარი გზების დისკინეზიის, ქრონიკული ფორმის ჰეპატიტების სამკურნალოდ.

შსორილომი - იმუნომოდულირებული გომეოპათიური საშუალებაა ფსორიაზის კომპლექსურ თერაპიაში, ატოპური დერმატიტის, ნეიროდერმიტის, ეგზემების, კანის მაღალი სიმშრალის დროს.

უკუქმედება: შხამიანი მცენარეა! გამოყენებისას დაცული უნდა იქნეს დადგენილი ნორმები. დოზის გადაჭარბება იწვევს ხშირ შარდდენას, მუცლის არეში ჩხვლეტივით ტკივილებს, დიარეის. არ არის რეკომენდირებული მისი მიღება ორსულობისა და ლაქტაციის პერიოდში.

შავი ძაღლყურძენა - *Solanum nigrum* L.

ოჯ. ძაღლყურძენასებრნი - Fam. Solanaceae



ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 70 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომი, დატოტვილი ღეროთი. ფოთლები მარტივია, მორიგეობითი, ყუნწიანი, კვერცხისებრი ან მოგრძო-კვერცხისებრი, წაწვეტებული, კიდეშთლიანი ან ამოკვეთილ-დაკბილული. ყვავილები თეთრია ვარსკვლავისებრი, შეკრებილია 3-8 გვერდით ქოლგებად. ნაყოფი სფერული შავი კენკრაა. ყვ. VI-X; ნაყ. VIII-XI. ბუნებრივად იზრდება საქართველოში მთის შუა სარტყლამდე, ბაღებში, ბოსტნებსა და რუდერალურ ადგილებზე. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი (ბალახი). შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს -

საპონინმჟავებს, მწარე გლიკოზიდს - დულკამარინს და გლიკოალკალოიდ სოლანინს; კენკრაში და ფოთლებში აღინიშნება C ვიტამინი.


ხასიათდება დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტირევმატიული, ანტინევრალგიური, ანტისპაზმური, ჰიპოტენზიური, კრუნჩხვების საწინააღმდეგო მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში ნაყენი ან ნახარში გამოიყენება ნერვული აღზნებადობის, ნევროზის, თავის ტკივილების, კრუნჩხვითი შეტევების, შარდის ბუშტის მტკივნეული სპაზმების, კუჭ-ნაწლავის ჭვლების, ნიკრისის ქარის, რევმატიზმის სამკურნალოდ. რეკომენდირებულია ნაყენის მიღება, როგორც „სისხლგამწმენდი“ საშუალებისა ფურუნკულების, ლიქენის, საყმაწვილოს დროს; კენკრა აქვეითებს სისხლის წნევას, სასარგებლოა ათეროსკლეროზით დაავადებულთათვის.

უკუქმედება: შხამიანი მცენარეა! მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მკურნალი ექიმის რჩევით.

შმაგა - *Atropa caucasica* Kreyer (*A. belladonna* L.)

ოჯ. ძაღლყურძენასებრნი - Fam. Solanaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 1-2 მ-მდე სიმაღლის მცენარეა. ღეროები სწორმდგომია, დატოტვილი, სქელი, სუსტად წახნაგოვანი, წვნიანი, მწვანე ან მუქი-იისფერი, ზედა ნაწილში ხშირად შებუსუსული. ფოთლები ყუნწიანია, ქვედა - მორიგეობითი, ზედა -

წყვილ-წყვილად, თითქმის მოპირისპირედ განწყობილი, ფოთლი-სეული ფორფიტა ელიფსურია, კვერცხისებრი ან მოგრძოკვერცხისებრი ფორმის, წაწვეტებული, კიდემთლიანნი, ძირში ვიწროვდება ყუნწად. ყვავილები ხუთწევრიანია, ჭუჭყისებრიისფერი, მურა-იისფერი ძარღვებით, მარტოული ან დაწყვილებული, ჩაქინდრული. ნაყოფი - ორბუდიანი, ოდნავ მიჭყლეტილი პრიალა, მოშავო-იისფერი კენკრაა, მრავალრიცხოვანი თესლით, მოგვაგონებს ალუბლის ნაყოფს. ყვ. V-IX; ნაყ. VII-X.

კავკასიის ენდემური სახეობაა, რომელიც ქიმიური შემადგენლობით და სამკურნალო თვისებებით იდენტურია მსოფლიოში გავრცელებულ *Atropa belladonna*-სთან, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის ფარმაკოპეებშია შეტანილი. იზრდება ტყეებში, მთის შუა სართულამდე, იშვიათ სახეობათა რიცხვს მიეკუთვნება. ვინაიდან მისი ბუნებრივი მარაგი შეზღუდულია, კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში (ევროპა, აზია, ამერიკა).

სამკურნალოდ გამოიყენება ფესვები და ფოთლები. მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია, შეიცავს ატროპინის ჯგუფის ალკალოიდებს - ატროპინს, ჰიოსციამინს, ჰიოსცინს (სკოპოლამინს), აპოატროპინს (ატროპამინს), ბელადონინს; ფესვებში ნაპოვნია კუსკეგერინი; ფოთლებსა და ფესვებში - სკოპოლეტინი. ალკალოიდების მაქსიმალური შემცველობა დაფიქსირებულია ფოთლებში კოკრიანობისა და ყვავილობის პერიოდებში, მთლიანად მცენარეში - თესლების წარმოქმნის საწყის ფაზაში, ფესვებში - სავეგეტაციო პერიოდის დასასრულს. ალკალოიდების გარდა მიწისზედა ნაწილში აღინიშნება ფლავონოიდები, ოქსიკუმარინები.

შმაგას ალკალოიდები ხასიათდება გამაუმტკივნეულები, სპაზმოლიტური მოქმედებით, აძლიერებს და აუმჯობესებს გულის მოქმედებას, აგრეთვე შესწევს უნარი დაარეგულიროს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ნაღვლისა და შარდის ბუშტის სადინარების ტონუსი, გააფართოვოს ბრონქები და თვალის გუგა, აამაღლოს თვალის შიდა წნევა. მცენარე უძველესი დროიდანაა ცნობილი. მის სამკურნალო და შხამიან თვისებებზე მიუთითებდა თეოფრასტი (ჩვ. წ.-ად.-მდე 372–287 წლები) და დიოსკორიდი (I საუკუნე ახ. წ.ად.), მას «*Strychnos manicos*» უწოდებდა, რაც „შემოიღ მცენარეს“ ნიშნავს. აღმოსავ-

ლეთ ქვეყნების მედიცინაში იყენებდნენ როგორც ნარკოტიკულ საშუალებას, ინდური კანაფის, ხაშხაშისა და კონიოს მსგავსად, ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ. ერთ-ერთ სამეცნიერო ტრაქტატში, რომელიც თარიღდება 1504 წლით, შმაგას უწოდებდნენ «Solanum mortale», რაც „სასიკვდილო ძალღყურძენას“ ნიშნავს.

მეცნიერული მედიცინის მიერ აღიარებული და შეტანილ იქნა პირველ რუსულ ფარმაცოპეაში 1866 წ.

შმაგას პრეპარატები გამოიყენება ბრონქიალური ასთმის, ნაღველ და თირკმელქვიან დაავადებების, მაღალი მჟავიანობის გასტრიტის, კუჭის წყლულის და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის სპაზმური მდგომარეობის, ვეგეტატიური დისტონიისა და ვაზონევროზის, პარკინსონის სამკურნალოდ. შედის ასთმის საწინააღმდეგო ნაკრებების, პრეპარატ - ბალატამინალის, ბელოიდის, აკლიმანის შემადგენლობაში. ფართოდაა ცნობილი სამედიცინო მრეწველობის მიერ გამოშვებული ისეთი პრეპარატები, როგორცაა ატროპინის სულფატი, ბეკარბონი, ბელალგინი, სოლუტანი, რომლებიც შეიცავს შმაგას ექსტრაქტს და სანთლები - ბეტიოლი, ანუზოლი.

მაღალი შხამიანობიდან გამომდინარე, ხალხურ მედიცინაში დიდი სიფრთხილით იყენებენ დამბლის (რომელსაც ახლავს მეტყველების უნარის დაკარგვა) სამკურნალოდ, ართრიტების, რადიკულიტის, რევმატიზმის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებისას; საფრანგეთში მას ხმარობენ შაკიკის, ნევროზების, სახის ნერვის ნევრალგიის, მტკივნეული ჭვლების, ეპილეპსიის, ყაზოზის, ისტერიის, ქორეის, გაშეშების, კუჭის ტკივილების, ნაწლავების, ღვიძლისა და თირკმელების ჭვლების, ენურეზის სამკურნალოდ. ფესვების ექსტრაქტს როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას ნიკრისის ქარის, რევმატიზმის, ნევრალგიების შემთხვევაში, ხოლო ნაყოფების ნაყენს - დიზენტერიის დროს.

უკუქმედება და უკიდურესი სიფრთხილის დაცვა: მაღალი ტოქსიკურობით გამოირჩევა, ექიმის მიერ მითითებული დოზის მინიმალური გადაჭარბება იწვევს მოწამლვას. მოწამლვის პირველი ნიშნების გამოჩენისთანავე (პირის სიმშრალე, ყლაპვის გართულება გახშირებული მაჯისცემა, გუგის გაფართოება, სინათლისადმი შიშის გამოვლენა) მიმართეთ სასწრაფო დახმარებას. განსაკუთრებით

ხშირი მოწამლვა აღინიშნება ბავშვებში შმაგას ნაყოფებით, რომლებიც ძალიან მიმზიდველია, მწიფე ალუბლის ნაყოფების მსგავსია და სასიამოვნო გემოთი გამოირჩევა. სასიკვდილო დოზის მიღებისას აღინიშნება კანის ჰიპერემია, ნერვული აღზნება, ზოდვა, ჰალუცინაციები, ორიენტაციის სრული დაკარგვა, ცენტრალური ნერვული სისტემის დამბლა, კომაში ჩავარდნა.

შოთხვი - *Padus racemosa* (Lab.) Gilib. (*Prunus padus* L.)

ოჯ. ვარდისებრნი - Fam. Rosaceae



ტანდაბალი 2-6 მ-მდე სიმაღლის ხეა ან ბუჩქი წაგრძელებული, ხშირი ვარჯით. ქერქი მქრქალია, მოშავო-ნაცრისფერი, მოთეთრო ბუგრებით. ფოთლები მარტივია, კვერცხისებრ-ლანცეტა ან მოგრძო-ელიფსური, შიშველი, მოკლე ყუნწით, წაწვეტებული, ხერხისებრ კიდედაკბილული, სადგისისებრი თანაფოთოლაკებით. ყვავილები სასიამოვნო სურნელისაა, თეთრია (იშვიათად ვარდისფერი), შეკრებილა გრძელ, ხშირ, ჩაქინდრულ მტევნებად. ნაყოფი სფერული შავი კურკაა, ტკბილი, მწკლარტე გემოთი. ყვ. V-VI; ნაყ. VII-VIII.

გავრცელებულია საქართველოს რეგიონებში, იზრდება მთის შუა და ზედა სარტყელში, ტყეებში და ტყის პირებზე. სამკურნალოდ იყენებენ ქერქს, ყვავილებსა და ნაყოფებს. შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, თავისუფალი სენილის მჟავას (ქერქსა და ფოთლებში); ნაყოფები - ორგანულ მჟავებს (ვაშლის, ლიმონის), ასკორბინის მჟავას, რუტინს, ანთოციანებს, ფლავონოიდებს, შაქრებს, ეთერზეთებს.

კურკაში აღმოჩენილია ცხიმზეთები და გლიკოზიდები (ამიგდალინი, პრულაურაზინი, პრუნაზინი). მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ბენზოინის ალდეჰიდს, რითიც განპირობებულია მისი ფიტონციდური მოქმედება.

შოთხვის პრეპარატები იწვევს ნაწლავების მუშაობის ნორმალიზებას, აუმჯობესებს კუჭის კედლების მდგომარეობას, ამაგრებს კაპილარების კედლებს, წმინდავს სისხლს, არის შარდმდენი, საერთოგამაძლიერებელი, ოფლმდენი, ხსნის ანთებით პროცესებს, როგორც შინაგანს, ისე გარეგანს, ხელს უწყობს სახსრების გაჯანმრთელებას და ორგანიზმიდან მძიმე მეტალების მარილების გამოდევნას.

ნაყოფები ხასიათდება შემკვრელი მოქმედებით, ნახარშის ან ნაყენის სახით რეკომენდირებულია არაინფექციური ბუნების ფაღარათის და კუჭ-ნაწლავის სხვა აშლილობისას. ნაყოფი შედის კუჭის ჩაის ნაკრების შემადგენლობაში. ნედლი ყვავილებიდან ამზადებენ შოთხვის წყალს, იხმარება თვალების სამკურნალოდ, საფენების სახით, ხოლო ნაყენს ან ნახარშს - ჩასახვის საწინააღმდეგოდ იყენებენ.


ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ფილტვების ტუბერკულოზის, ბრონქიტის, ფაღარათის სამკურნალოდ; გარეგანად - პირის ღრუს გამოსარეცხად ჩამპალი კბილების, ფურუნკულებისას; ქერქის ნახარში - როგორც შარდმდენი და ოფლმდენი, ინსექტიციდური (ტილების, ბუზების საწინააღმდეგო) საშუალებაა, იხმარება თვალების დაავადებებისა და რადიკულიტის განსაკურნავად. ნაყოფის წვეწვს იყენებენ ჩირქოვანი ჭრილობების შესახორცებლად.

მცენარე გამოირჩევა ფიტონციდური მოქმედებით, აჯანსაღებს გარემოს, პირველსავე წუთებში კლავს სხვადასხვა სახის მწერებს.

უკუქმედება: შხამიანი მცენარეა! ნაყოფები უკუმაჩვენებელია ფეხმძიმობისას, შეიცავს სინილურ მჟავას, რომელიც ადამიანისათვის ტოქსიკურია, მართალია მოზრდილთათვის ამ მჟავის კონცენტრაცია უსაფრთხოა, ნაყოფის განვითარებისას შეიძლება გამოიწვიოს მავნე მოქმედება.

შროშანა - *Convallaria transcaucasica* Utkin ex Grossh. [*C. majalis* L. subsp. *transcaucasica* (Utkin ex Grossh.) Bordz.]

ოჯ. შროშანასებრნი - Fam. Convallariaceae



მრავალწლოვანი, დაბალი 15-30 სმ სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, მხოხავი, გრძელი, დატოტვილი ფესურით. ფოთლები გრძელი ვაგინებითაა და მოგრძო კვერცხისებრი ან ელიფსური, წვეტიანი ფირფიტით. ყვავილები თეთრია, სურნელოვანი, ზარისებრ-სფეროსებრი, დახრილ-ყუნწებიანი. ნაყოფი მრგვალი კენკრაა, მონარინჯისფრო-წითელი. თესლი სფერულია, ყვითელი, თითქმის გამჭვირვალე. ყვ. IV-V; ნაყ. VI.

ბუნებრივად საქართველოში გავრცელებულია მთის შუა სარტყლამდე, იზრდება ტყეებში და ბუჩქნარებს შორის. სამკურნალოდ გამოიყენება ფესურა, ფოთლები, ყვავილები.

შროშანას სახეობებიდან გამოყოფილია 42 კარდიოტონური ნივთიერება, რომლებიც მიეკუთვნება კარდენოლიდური ბუნების შემდგომ ჯგუფებს: პერიპლოგენინის, სტროფანტიდოლის, სტროფანტიდინის, სარმენტოგენინის, ბიპინდოგენინის, სარმენტოლოგენინის, სარმენტოზიგენინის (ნიგრესციგენინის), 19-ჰიდროქსისარმენტოგენინის, კანოგენოლისას. სტეროიდული ბირთვის სტრუქტურის მიხედვით ისინი მიეკუთვნება ცის A/B რიგს. გლიკოზიდების შაქრის ნაწილი წარმოდგენილია ჰექსოზამებით (D – გლუკოზა, D – ალოზა), მეთილპენტოზამებით (L – რამნოზა, D – გულომეთილოზა, D

– ალომეთილოზა და პენტოზა L – არაბინოზა). ძირითად გლიკოზიდებს წარმოადგენს: კონვალატოქსინი, რომლის გენი იდენტურია K–სტროფანტინის გენტან. ცნობილია ასევე კონვალატოქსოლი, კონვალოზიდი, კონვალაროტოქსინი და ლოკუნდეზიდი. სტეროიდული გლიკოზიდების მეორე ჯგუფს მიეკუთვნება სპიროსტანის რიგის საპონინები. სტეროიდული გლიკოზიდების აგლიკონებს წარმოადგენს: დიოსგენინი, იზოროდეასაპოგენინი, როდეასაპოგენინი, კონვალაგენინი-A, კონვალაგენინი-B, კონვალამაროგენინი.

მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს აღნიშნული ჯგუფების გლიკოზიდებს, ყველაზე მეტი კი ნედლეულში აღინიშნება.

ფოთლებში აღინიშნება 15-ზე მეტი ფლავონოიდური ბუნების შენაერთები, რომელთა შორის იდენტიფიცირებულია იზორამნეტინი, კვერცეტინი, ლულეოლინი, აპეგინინი, კემფეროლი და სხვ. გარდა ამისა შეიცავს ეთერზეთებს, ორგანულ მჟავებს, ალკალოიდ მიალინს, სახამებელსა და სხვ. შრომანას გლიკოზიდები სწრაფად იშლება და ორგანიზმში არ ხდება კუმულირება.

შრომანას სხვადასხვაგვარი პრეპარატები (ნაყენი, ექსტრაქტები, აბები, ამპულები) მედიცინაში ფართოდაა გამოყენებული და მითითებები მათი გამოყენების შესახებ მოიპოვება შესაბამის ლიტერატურაში.

შრომანასაგან გამოყოფილი გულის გლიკოზიდები გამოირჩევიან მაღალი კარდიოტონური და ბიოლოგიური აქტივობით, მოქმედების სწრაფი განვითარებით და სუსტად გამოხატული კუმულიატორული თვისებებით. ასე მაგ.: ძირითადი მოქმედი გლიკოზიდი კონვალატოქსინი ბიოლოგიური აქტივობით აჭარბებს ყველა აქამდე ცნობილ გულის გლიკოზიდებს. ამავე დროს ისინი ხასიათდებიან ნაკლები ტოქსიკურობით; კუჭ-ნაწლავის ტრაქტში შეყვანისას შრომანას გლიკოზიდები სწრაფად იშლებიან და სუსტად შეიწოვება, რის გამოც პერორალური მიღებისას ნაკლებ ეფექტურნი არიან, ვიდრე პარენტერალურის. იწვევს შესამჩნევ დიურეზულ მოქმედებას, ამლიერებს გულის კუმშვადობას, მაგრამ ანელებს მათ რიტმს, ხსნის ტკვილებს, ქოშინს, სილურჯესა და შეშუპებებს.

არის ციტოტოქსიკური, ძლიერი ანტივირუსული, კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკის გამაძლიერებელი.

სამედიცინო პრაქტიკაში შრომანას პრეპარატები ფართოდ ცნობილი საგულე საშუალებებია. მათ იყენებენ მწვავე და ქრონიკული გულის უკმარისობის, კომპენსირებული და სუბკომპენსირებული გულის მანკის, კარდიოსკლეროზისა და გულის ნევროზის, კარდიალური ტიპით მიმდინარე ნეიროცირკულატორული დისტონიის, ისტერიის, დიფუზური ტოქსიკური ჩიყვის დროს. შრომანას გამოყენებისას ავადმყოფებში აღინიშნება გულის კუნთის კუმშვის რიტმის შენელება, პულსაციის გაუმჯობესება, შეგუბების მოვლენების, ციანოზის და სულის ხუთვის შემცირება, აგრეთვე დიურეზის მომატება.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება გულის დაავადებებისას, განსაკუთრებით ტახიკარდიის დროს, გულის რიტმის რეგულირებისათვის; შეშუპებების, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების, ეპილექსიის, ციებ-ცხელების, ყელის ტკივილებისას; როგორც დამამშვიდებელი და დიურეზული საშუალება; ნაყენი გარეგანად (საფენების სახით) იხმარება თვალის დაავადებებისა და რევმატიზმის საწინააღმდეგოდ. ბულგარეთში მცენარის მიწისზედა ნაწილი იხმარება კლიმაქტერიუმის პერიოდში გულის ნევროზების, ენდოკარდიტების, არითმიის, ექსტრასინსტოლის, ფეხმძიმობის, გაძლიერებული ფიზიკური დატვირთვის, ასევე გულის დაავადებებისას. რუსულ ხალხურ მედიცინაში შრომანა იხმარებოდა გულის დაავადებების, შეშუპების, წყალმანკის, ეპილექსიის, ციებ-ცხელებისას. გარეგანად – საფენების სახით თვალის დაავადებებისას. ინგლისში – შრომანას წყლის ნაყენი გამოიყენება ნერვული სისტემის გასაძლიერებლად, ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ, როგორც დამცველი საშუალება. გერმანიაში ღვინოზე დამზადებული ნაყენი ითვლებოდა კარგ საშუალებად დამბლის საწინააღმდეგოდ. კავკასიის ხალხურ მედიცინაში შრომანას ფესვები გამოიყენებოდა ციებ-ცხელებისას; ნედლი ყვავილების ნაყენი - ბავშვებში კრუნჩხვების საწინააღმდეგოდ; ფოთლების ნახარშს კი გულის დაავადებებისას ხმარობდნენ. გამშრალ ყვავილებს იყენებდნენ დასაცემინებელ საშუალებად მშრალი სურდოს დროს.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია!!! საპონინებისაგან გაუსუფთავებული შრომანას პრეპარატები უკუმაჩვენებელია გასტრიტების, ღვიძლისა და თირკმელების მწვავე დაავადებებისას.

შხამა - *Veratrum lobelianum* Bernh.

ოჯ. მელანთიასებრნი - Fam. Melanthiaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 15-160 სმ-მდე სიმაღლის მცენარეა მოკლე ვერტიკალური ფესურით და მრავალრიცხოვანი გვერდითი ფესვებით. ღერო სწორმდგომია, მრგვალი, სქელი. ფოთლები ღერო-მხვევია, მორიგეობითი, მრავალრიცხოვანი, ქვედა - ფართო ელიფსური მოკვევაგინით, ზედა - თანდათანობით ვიწროვდება ლანცეტა ფორმამდე. ყვავილები 6 წვერიანია, მოყვითალო ან მოთეთრო შეფერილობის, შეკრებილია წვეროსეულ პირამიდალურ საგველა ყვავილედად. ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია; თესლი მოყვითალო-მურაა, ბრტყელი, ელიფსური, ფართოფრთანი. ყვ. VI-VIII; ნაყ. VIII-IX ევრ-აზიური სახეობაა, გავრცელებულია საქართველოს მაღალმთიანეთში.

ძლიერ შხამიანი მცენარეა; ფესურა შეიცავს 5-6 დასახელების ალკალოიდს, მათ შორის მაღალი შხამიანობით პროტოვერატრინი გამოირჩევა, რომელიც თრგუნავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, აზიანებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტს და გულ-სისხლძარღვთა სისტემას.

სამკურნალო მიზნით ფესურები გამოიყენება. მიეკუთვნება ოფიცინალურ მცენარეთა რიცხვს, დაშვებულია შხამას წყალ-სპირტიანი ნაყენი მხოლოდ გარეგანი გამოყენებისათვის, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება ნევრალგიის, ართრიტების, რევმატიზმის სამკურნალოდ.

ფესვების ექსტრაქტი პარაზიტების საწინააღმდეგო მოქმედებით ხასიათდება. ფართოდ გამოიყენება ვეტერინარიაში, პარაზიტების საწინააღმდეგოდ, შინაგანად საქონლის საკვების მონელების გასაუმჯობესებლად, მსხვილფეხა საქონლის ჰიპოდერმატოზის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ეგზემის საწინააღმდეგოდ, შინაგანად - ფილტვების ანთებისას სიცხის დაძლევადა, რევმატიზმისა და ტიფისგან განსაკურნავად. ძველ დროში შხამათი მკურნალობდნენ შიზოფრენიას, მელანქოლიას, ეპილეპსიას, ითვლებოდა, რომ ახანგრძლივებს სიცოცხლეს, წმინდავს სისხლს. ნახარშს იყენებდნენ ქერტლის საწინააღმდეგოდ; უნგრეთში - ჰიპერტონიის შემთხვევაში, არყიან ნაყენს წვეთების სახით ღებულობდნენ მუცლის ტკივილების, სედატური ნერვის ანთებითი პროცესების დროს. არის ცნობები ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგოდ გამოყენების შესახებ. მალამოს ხმარობდნენ რადიკულიტის სამკურნალოდ. მიღებულია პრეპარატი - პროტოვერატრინი, რომელიც ჰიპოტენზიური მოქმედებისაა, ეფექტურია ეკლამპსიის და მწვავე ეკლამპსიური მდგომარეობის დროს.

უკუჩვენება: სასიკვდილოდ შხამიანია! 2 გ-ის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მოწამლვა ლეტალური აღსასრულით. გულისრევა, პირღებინება, ფაღარათი, ძლიერი თავის ტკივილი, შენელებული პულსაცია - მოწამლვის პირველი ნიშნებია, სასწრაფოდ უნდა გამოიყვანოთ შხამი.

ჩაგირი - *Bergenia crassifolia* (L.) Fritsch
ოჯ. ფხიჯასებრნი - Fam. Saxifragaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სქელი, ხორცოვანი, მხო-
ხავი ფესურით. ღერო სქელია, უფოთლო, შიშველი, მოვარდისფრო-
წითელი, 15-50 სმ-მდე სიმაღლის. ფოთლები შეკრებილია ხშირ
ფესვთანურ როზეტად, მუქი მწვანეა, შემოდგომისკენ - წითლდება,
ფოთლის ფირფიტა თითქმის მომრგვალოა აპკისებრი ვაგინით,
მსხვილია, ფართო ოვალური, მთლიანი, შიშველი, ტყავისებრი. ყვა-
ვილები წვრილია, ხუთწევრიანი, უყვავილსაფრო, ლილისფერ-წი-
თელი ან ვარდისფერი, შეკრებილია წვეროსეულ ხშირ საგვლასებრ-
ფარისებრ ყვავილედებად. ნაყოფი ელიფსური მშრალი კოლოფია
მრავალრიცხოვანი თესლით. ყვ.-VI; ნაყ. VII-VIII. გავრცელებულია
განსაზღვრულ არეალში (ციმბირი: ალტაი, საიანი, ბაიკალის-
პირეთი). ფართოდა კულტივირებული (მათ შორის საქართველო-
შიც) როგორც დეკორატიული მცენარე. სამკურნალო მიზნით უმ-
თავრესად გამოიყენება ფესურა, იშვიათად ფოთლები. ფესურა შეი-
ცავს: მთრიმლავ ნივთიერებებს (რომლებიც მიეკუთვნება უმთავ-
რესად გალოტანიინების ჯგუფს), იზოკუმარინ ბერგენინს, გლუკო-
ზებს, სახაროზას. ფოთლებში აღინიშნება: პიროგალური და პირო-
კატეხინური ტანიდების ნაერთები, არბუტინი (რომლის შემცველო-
ბითაც ჩაგირი მსოფლიოში არსებული მცენარეული წყაროებიდან
ყველაზე მდიდარია), თავისუფალი ჰიდროქინონი, გალისა და
ელაგის მჟავები. ჩაგირის პრეპარატები ხასიათდება სისხლდენის-

შემაჩერებელი, შემკვრელი, ანთებისა და მიკრობების საწინააღმდეგო მოქმედებით, ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს, ზომიერად აქვეითებს არტერიალურ წნევას.

უმველესი დროიდან გამოიყენებოდა რუსეთის, ჩინეთისა და ტიბეტის ხალხურ მედიცინაში. ფესურისა და ფოთლების წყლის ექსტრაქტებს ხმარობენ არაინფექციური ბუნების კოლიტებისა და ენტეროკოლიტების, ტუბერკულოზის, მწვავე და ქრონიკული პნევმონიის, ფილტვებიდან სისხლდენების, მწვავე რესპირატორული, გრიპისა და სხვა ინფექციების, ლარინგიტის, თავის ტკივილების, ციების, სახსრების რევმატიზმის, კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას. მას იყენებენ გინეკოლოგიურ პრაქტიკაში, უხვი მენსტრუაციის, საშვილოსნოს ფიბრომის, მშობიარობის შემდგომ პერიოდში; იხმარება სტომატოლოგიურ პრაქტიკაშიც, ღრძილებზე წასასმელად, ქრონიკული ანთებითი პროცესების შემთხვევაში; ნაყენის ან ნახარშის კომპრესებს იყენებენ ჭრილობების, წყლულების, დაჟეჟილობების დროს.

2007 წელს ციმბირის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტმა ჩაატარა გამოკვლევები ჩაგირის ჰეპატოპროტექტორულ (პრეპარატები, რომლებიც არეგულირებენ ნაწლავის მიკროფლორის წონასწორობას) თვისებებზე; აღმოჩნდა, რომ იგი უფრო მეტად ეფექტურია ყველაზე პოპულარულ ჰეპატოპროტექტორ სილიმარინზე, რომელიც მიიღება ბაყაყურისგან.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია !

ჩვეულებრივი ბამბუკი – *Bambusa vulgaris* Schrad. ex Wendl.
ოჯ. მარცვლოვანი (ქვ. ოჯ. ბამბუკისებრი) - Fam. Poaceae
(Bambusoideae)



მარადმწვანე მრავალწლოვანი ერთლებნიანი ფესურიანი მცენარეა მრავალრიცხოვანი ყლორტებით; ღერო გამერქნებულია, ჯერ მწვანე, შემდეგ ოქროსფერ-ჩალისფერი, დამუხლული, უხვად დატოტვილი მრავალრიცხოვანი ფოთლებითა და ტოტებით, აღწევს 20-25 მ-მდე სიმაღლეს. ფოთოლი მუქი მწვანეა, ლანცეტისებრი, 15-18 სმ სიგრძისა და 1,3 სმ სიგანის, მოკლეყუნწიანი. ყვავილობს 25 წელიწადში ერთხელ უხვად, წარმოქმნის ნაყოფებს, რის შემდეგაც კვდება; ყვავილები საგველასებრ ყვავილედებადაა შეკრებილი, ნაყოფი მარცვალია.

ბამბუკები გამოირჩევიან სწრაფი ზრდით, დღე-ღამეში 40 სმ-ის ნაზარდს იძლევა, ხოლო 3 წელიწადში მერქოვანი ხდება. სამშობლო აღმოსავლეთ აზიაა.

ბამბუკის გამოყენების შესაძლებლობები თითქმის განუსაზღვრელია; მისგან აკეთებენ ტივებს, ხიდებს, სახლის ყველა ნაწილს, წყალსადენ მილებს, ავეჯს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, თხევადი და ფხვიერი სხეულების ჭურჭელს, ქაღალდს, ნორჩ ყლორტებს ხმარობენ როგორც ბოსტნეულს და ა. შ. გამოირჩევა ანტიბაქტერიული თვისებებით, რაც გამოწვეულია ბოჭკოში არსებული ძლიერი ანტისეპტიკის არსებობით. ხშირად გამოიყენება ანთების საწინააღმდეგო და საერთო გამაჯანსაღებელ საშუალებად, კერძოდ გაციებისა

და გრიპის შემთხვევაში; მწვანე ზამბუკი ჯანმრთელობის უნიკალური წყაროა, მისი ბოჭკოდან დამზადებული ნახელავები სასარგებლოა ასთმით შეწუხებული და ალერგიული რეაქციის მქონე პირთათვის.

ზამბუკის ძალის სიძლიერეს განსაზღვრავს კრემნიუმის მჟავის მაღალი კონცენტრაცია, რომელიც აუცილებელია ორგანიზმის ნორმალური მოქმედებისათვის; როგორც ცნობილია ასწორებს კანს, ხელს უწყობს შეხორცებას, ძვლების, ფრჩხილებისა და თმების გამაგრებას, ასევე ხასიათდება დეპრესიული მდგომარეობის დროს დამამშვიდებელი ეფექტით, რის გამოც ფართოდ გამოიყენება აღმოსავლურ ტრადიციულ მედიცინაში.

მდიდარია ანტიოქსიდანტებით, ფლავონოიდებით, ლაქტონით, ფენოლური მჟავებით, პოლიოზით, უჯრედისით, ცილებითა და სხვა არაორგანული შენაერთებით. ნედლი ყლორტები შეიცავს 92,4% წყალს, 4% უჯრედისს, 1,9% ცილებს, 0,7% ნახშირწყლებს, 0,7% არაორგანულ ნივთიერებებსა და 0,2% ცხიმებს.

აქედან გამომდინარე მრავალმხრივი სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა. ითვლება შესანიშნავ მატონიზირებელ, შარდმდენ, ამოსახველებელ, მასტიმულირებელ და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებად; აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა მოქმედებას, რეკომენდირებულია კუნთოვანი ქსოვილების სპაზმის, ამენორეის და ძალის დაკარგვისას; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზმის საკვებმომწოდებელი სისტემის დარღვევების, წყლულოვანი დაავადებებისა და დიარეის დროს; მრავალ აზიურ ქვეყანაში მას იყენებენ ტუბერკულოზის, სიყვითლის, დიზენტერიის, ციებ-ცხელების სამკურნალოდ, ხოლო ევროპელი ჰომეოპატები თვლიან, რომ კარგად უმკლავდება შაქრიან დიაბეტს.

ფაქტიურად ამ უნიკალური მცენარის თითოეული ნაწილი ჯანმრთელობის წყაროა. მისი ფოთლები ხასიათდება ამოსახველებელი და სიცხისდამწვევი მოქმედებით; ფესვები - ორგანიზმის გამაძლიერებელი საშუალებაა, ხოლო წვენი ეპილეფსიისა და აპოპლექსიის საუკეთესო წამალია.

ბრძენი ჩინელები უმველესი დროიდან ამზადებდნენ ბამბუკის ექსტრაქტს, მდიდარია რა მინერალებით, პოლისახარიდებით, ორგანული და ამინომჟავებით ელექსირი იწვევს სისხლძარღვების კედლების გამაგრებას, ამაღლებს ტონუსსა და ელასტიურობას, აუმჯობესებს ქსოვილებში სისხლისმოდრაობას და აქვეითებს კაპილარების გამტარუნარიანობას.

თანახმად ძველი აღმოსალური ტრადიციებისა, ბამბუკი ხასიათდება მრავალრიცხოვანი სამკურნალო თვისებებით, არის უნიკალური მცენარე, აღადგენს ადამიანის ორგანიზმში ენერჯის ბალანსს, არის საოცრად პლასტიური და ერთდროულად მეტად გამძლე. მასთან დაკავშირებულია მრავალი დადებითი სიმბოლური მნიშვნელობები; მიაჩნდათ, რომ წარმოადგენს სიტურფის, მდგრადობის, მუდმივობის, მოქნილობის, კარგი აღზრდისა და მეგობრობის მაგალითს. ჩინეთში მცენარე განასახიერებს დღეგრძელობასა და შვილებისადმი კეთილდამოკიდებულებას, ინდოეთში - მეგობრობას. ფილიპინელები თალისმანის სახით პლანტაციებში ბამბუკის ჯვრებს არჭობენ, ბედნიერების მოზიდვის ნიშნად.

უკუქმდება: მცენარის გამოყენებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო, ვინაიდან ნორჩი ყლორტები შეიცავს შხამიან ციანოგენურ გლიკოზიდს, რომელიც იშლება კულინარული დამუშავებისას.

ჩვეულებრივი მანანა - *Calluna vulgaris* (L.) Huil.

ოჯ. მანანასებრნი - Fam. Ericaceae



მარადმწვანე ძლიერ დატოტვილი ბუჩქია წვრილი სამწახნაგოვანი ფოთლებით. ყვავილები წვრილია, შეკრებილია ცალგვერდა მტევნისებრ ყვავილედებად. ჯამის ფოთოლაკები გვირგვინის ფურცლებზე გრძელია, მის მსგავსად ლილისფერვარდისფერი შეფერილობის. ნაყოფი წვრილი ხსნადი კოლოფია. ყვ. VII-VIII; ნაყ. IX-X.

ბუნებრივად გავრცელებულია ევროპაში, აზიის ზომიერ სარტყელში, ჩრდ. ამერიკის ატლანტისპირეთში, ჩრდ. აფრიკასა და აზორის კუნძულებზე.

მანანას ნექტრისაგან მიღებული თაფლი ანტისეპტიკური თვისებებით გამოირჩევა. შველის ბრონქიალურ ასთმას, ასუფთავებს სისხლს, ხასიათდება შარდმდენი მოქმედებით, გამოიყენება შარდის ბუშტისა და თირკმელებში ქვების, რევმატიზმისა და ნიკრისის ქარების სამკურნალოდ.

სამკურნალო ნედლეული ყვავილები და მოყვავილე ყლორტების წვეროებია. შეიცავს ფლავონოიდებს, კვერცეტინსა და მირეციტინის წარმოებულებს, არბუტინს, მთრიმლავ ნივთიერებებს,

ეთერზეთებს, პოლისახარიდებს. ხალხურ მედიცინაში ნაყენების სახით იხმარება როგორც ანთების საწინააღმდეგო, დიურეზული, ანტიბაქტერიული საშუალება ცისტიტის, შარდკენჭოვანი და კანის დაავადებების, ნიკრისის ქარის, რევმატიზმისა და გაციებისას. გამოიყენება ჰომეოპათიაშიც.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! რის გამოც შინაგანი მიღებისას ზუსტად უნდა იყვეს დაცული ფიტოთერაპევტის მიერ მითითებული ნორმები.

ჩვეულებრივი სურო - *Hedera helix* L.

ოჯ. არალიასებრნი - Fam. Araliaceae



მარადმწვანე ხვიარა ბუჩქია, მრავალრიცხოვანი საწოვარისებრი ფესვებით ემაგრება სხვადასხვა საგნებს (ხეები, კედლები), ზოგჯერ აღწევს 30 მ-მდე სიგრძეს. ფოთლები ტყავისებრია, შიშველი, პრიალა, უნაყოფო ყლორტებზე გულისებრია, საყვავილე ტოტებზე - რომბისებრ-კვერცხისებრი. ყვავილები მოყვითალო-მწვანეა, მარტივი ქოლგები შეკრებილია მტევნებად. ნაყოფი კენკრაა, დასაწყისში მწვანე, მომწიფებისას - შავი, წარმოადგენს ფრინველების საკვებს, რომელთა ექვრემანტების საშუალებით ხდება მათი გამრავლება. ყვ. IX-X; ნაყ. I-II; საქართველოში გავრცელებულია ტყის სარტყელში, უმთავრესად მუხნარებში, იშვიათად წიფლნარებში. ძვირფასი თაფლოვანი მცენარეა. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ფოთლები, რომლებიც შეიცავს საპონინებს, ჰედერინს, ინოზიტს, კაროტინს, ჭიანჭველისა და ვაშლის მჟავებს. გამოიყენება ლორ-

წოვან გარსის ანთებითი პროცესების დროს, ტუბერკულოზის, რაქიტის და სხვა დაავადებებისას. ნედლი სახით იყენებენ დამწვრობებისა და ჩირქოვანი ჭრილობებისას.

უკუქმედება: ნაყოფები შხამიანია!

ციკუტა - *Cicuta virosa* L.

ოჯ. ქოლგოსანნი – Fam. Umbelliferae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 50-150 სმ სიმაღლის, ვერტიკალური თეთრი ხორცოვანი ფესურით და მრავალრიცხოვანი წვრილი ფესვებით. ფოთლები ვაგინისებრია, მსხვილი, გრძელყუნწიანი, კიდედაკბილული, ორმაგფრთისებრ განკვეთილი, ქვედათითქმის სამმაგფრთისებრაა განკვეთილი, ხაზურლანცეტაა, მახვილ ხერხებილა ფოთოლაკებით. ღეროსეული ფოთლები თანდათანობით მცირდება წვეროს მიმართულებით. წვრილი თეთრი ორსქესიანი და მამრობითი ყვავილები შეკრებილია რთულ (ორმაგ) ქოლგებად 10-15 მთავარი სხივით. ნაყოფი წვრილია, შედგება ორი ნახევრადსფერული თესლურისაგან. მრავლდება თესლით. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII-IX. საქართველოში მხოლოდ აფხაზეთშია გავრცელებული. იზრდება დაჭაობებულ ადგილებში. მსოფლიო ფლორის ერთ-ერთი ყველაზე შხამიანი მცენარეა, სასიამოვნო სტაფილოს სუნით, გემოთი ბოლოკის მსგავსი. ადრე მიაჩნდათ, რომ დიდმა სოკრატემ სიცოცხლე ამ მცენარის წვენით მოისწრაფა, თუმცა ახლა უფრო შესაძლებლად თვლიან, რომ მან კონიოს ნაყენი გამოიყენა.

მთელი მცენარე შხამიანია, როგორც ნედლი, ასევე მშრალი სახით. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი და განსაკუთრებით ფესვები, შეიცავს მთავარ შხამიან ნივთიერება - ციკუტოქსინს, რომლის 5 მგ სასიკვდილო დოზაა, აღინიშნება აგრეთვე ფლავონოიდები - იზორამნეტინი და კვერცეტინი.

ძველ ბერძნებს მიაჩნდათ, რომ კიბოს სიმსივნეების გავრცელება ორგანიზმში, ჩვეულებრივი კიბოს მარწუხებს ჰგავდა, რის გამოც ამ ავადმყოფობას უწოდეს „კიბოს მსგავსი დაავადება“ – karkinos, ლათინურად - cancer. მაგ.: რუსულ სამედიცინო ტერმინოლოგიაში ტერმინი „рак“ საბოლოოდ XVI ს-დან აღინიშნება; ამავე საუკუნეში მსოფლიოში გავრცელდა ჰიპოთეზა, ე. წ. **სიგნატურას** შესახებ, რომლის თანახმად, ამა თუ იმ ავადმყოფობის განსაკუთრავად, უნდა მოძებნილიყო შესაბამისი მცენარე, რომელიც გარეგნული იერსახით მსგავსი იქნებოდა დაავადების. მიაჩნდათ, რომ თვით ბუნებამ მისცა ესა თუ ის ფორმა სამკურნალო მცენარეების შესაბამის ნაწილებს იმისთვის, რომ ადამიანებს დიდი ჯაფის გარეშე გაერკვიათ მცენარეში დაფარული სამკურნალო ძალები და გამოეყენებინათ ამა თუ იმ დაავადების სამკურნალოდ. ციკუტას ფესურა, მრავალრიცხოვანი ფესვებით „კიბოს“ მსგავსია, ეტყობა არ არის შემთხვევითი, რომ კიბოს სიმსივნეების მსგავსი მცენარის ფესურა სასიკვდილო მტერია „კიბოს“ ტიპის დაავადებების.

ციკუტა - ძლიერი ანტიმიტოზური შხამია. ხასიათდება რა ციტოსტატიკური სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობით, ახდენს არა მარტო სიმსივნის ზრდის დამუხრუჭებას, არამედ ანადგურებს ავთვისებიან უჯრედებს, რითიც ანთავისუფლებს ორგანიზმს კიბოთი ინტოქსიკაციის უზომო უღლისაგან. ციკუტას პრეპარატების სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება აიხსნება მისი უნარით, მოახდინოს კარიოკინეზის (უჯრედის ბირთვის დაყოფა) დასაწყისში, მეტაფაზის სტადიაში უჯრედების მიტოზის ბლოკირება. ციკუტას გამოყენება მიზანშეწონილია, სიმსივნის სახისა და ლოკალიზაციისაგან დამოუკიდებლად.

ჰომეოპათები ციკუტას ხმარობენ ეპილეპსიის, შაკიკის, თავბრუსხვევის, გაშეშების სამკურნალოდ. ნაყენებს ხმარობენ ყივანახველის, ბრონქიალური ასთმის, დამბლის, ეპილეპსიის, კრუნჩხვების, ისტე-

რისა და ფსიხოზის დროს, ამასთან ნაყენი იწვევს ოფლმდენ, დამაშვიდებელ, კრუნჩვების საწინააღმდეგო მოქმედებას. გარეგანად კომპრესების სახით იყენებენ ლიმფური კვანძების ანთებისა და სარძევე ჯირკვლების გამაგრების შემთხვევაში.

უკუქმედება: ძლიერი შხამიანობიდან გამომდინარე, ციკუტას პრეპარატების გამოყენება უკიდურეს სიფრთხილეს მოითხოვს! ტარდება მხოლოდ ექიმის მითითებით და მისი მეთვალყურეობით. დოზის სულ მცირე გადაჭარბება იწვევს ძლიერ მოწამლვას. ორგანიზმში მოხვედრისთანავე იწყება თავისა და მუცლის ტკივილები, პირღებინება, წონასწორობის დარღვევა, ბოდვები, კრუნჩვები, სიკვდილი დგება გულის უკმარისობის ფონზე სუნთქვის დამბლის შედეგად. პირველი სასწრაფო დახმარება მდგომარეობს კალიუმის პერმანგანატის 0,1 %-იანი ხსნარით კუჭის ინტენსიურ გამორეცხვაში, გამწმენდი ოყენების გამოყენებით. **გაფრთხილდით!!!**

ცხენისწაბლა - *Aesculum hippocastanum L.*

ოჯ. ცხენისწაბლასებრნი - Fam. Hippocastanaceae



20 - 30 მ-მდე სიმაღლის ხეა მრგვალი ან პირამიდალური ვარჯით. ფოთლები მოპირისპირეა, მსხვილი, თათისებრ-რთული, 5-7 ფოთოლაკიანი, თითოეული მათგანი უკუკვერცხისებრია, ძირში შუბისებრ შევიწროებული. ყვავილები თეთრია, წითელლაქებიანი, სურნელოვანი, შეკრებილია სწორმდგომ, კონუსისებრ საგველა ყვავილედებად. ნაყოფი მწვანე კოლოფია, მრავალრიცხოვანი ეკლებით, შეიცავს ერთ კაკლისებრ მუქ ყავისფერ, პრიალა თესლს, ყვ. V; ნაყ. VIII-IX. სამშობლო ბალყარეთია. ფართოდაა კულტივირებული

ზომიერი კლიმატის ქვეყნებში. გავრცელებულია საქართველოს რეგიონების ნარგაობებში, ყურადღებას იპყრობს მაღალდეკორატიულობის გამო.

სამკურნალოდ გამოიყენება ქერქი, ფოთოლი, ყვავილი და თესლი. ქერქი გროვდება ადრე გაზაფხულზე, ყვავილები - ყვავილობის დასაწყისში, თესლი - გვიან შემოდგომით, როდესაც დამოუკიდებლად ცვივიან ნაყოფიდან მიწაზე. ქერქი შეიცავს გლიკოზიდებს - ფრაქსინს, ესკულინს, ტრიტერპენულ საპონინესცინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ცხიმოვან ზეთებს; ფოთოლში აღინიშნება - ფლავონოიდები, სპირეოზიდი, ასპარაღინი, კაროტინოიდები; ყვავილში - რუტინი და სხვა ნივთიერებები.

ხასიათდება მატონიზირებელი, სისხლდენის შემაჩერებელი, ანტიბაქტერიული, ანთების საწინააღმდეგო, შარდმდენი, მთრიმლავი მოქმედებით.

მცენარის სხვადასხვა ნაწილში არსებული ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები ამცირებენ სისხლძარღვთა კაპილარების შეღწევადობას; აქვეითებენ სისხლის სიბლანტეს, ზრდიან ვენების სისხლსავსეობას და მათ ტონუსს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დარღვეულია ვენოზური გამტარებლობა.

ცხენისწაბლასაგან დამზადებული პრეპარატები ამცირებენ სისხლის კოაგულაციას, ამაგრებენ კაპილარებისა და ვენების კედლებს, თავიდან აცილებენ სისხლძარღვებში თრომბის წარმოქმნას და ხელს უწყობენ წარმოქმნილი თრომბების შეწოვას. თრომბოფლებიტის მკურნალობისას, მცირდება შეშუპება და ტკივილით დაზიანებული არე, რბილდება და თანდათანობით ქრება თრომბები. ანალოგიური ეფექტი აღინიშნება ბუასილის მკურნალობისას. გამოიყენება ვენების გაგანიერების, მუხლების ტროფიკული წყლულის, საჭმლის მონელების ქრონიკული მოშლილობის, მიოზიტების, ნევრალგიის, ზემო სასუნთქი გზების დაავადებების, არტერიული ჰიპერტენზიის, ათეროსკლეროზის, ცხელებისა და მალარიის დროს.

ცხენისწაბლისგან მზადდება პრეპარატები: „ესკუზანი“, „რეპარილი“, რომლებიც ვენების დაავადებების დროს გამოიყენება.

უკუქმედება: თესლი შხამიანია! ნედლი თესლის მიღება უარყოფითად მოქმედებს საჭმლის მონელებაზე, იწვევს მუცლის ტკივილებს და შებერილობას.

ძალყურძენა - *Solanum laciniatum* Ait.

ოჯ. ძალყურძენასებრნი - Fam. Solanaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 2,5 მ-მდე, ერთწლოვანი კულტურის პირობებში – 1 მ-მდე სიმაღლის. სუბტროპიკული კლიმატის მცენარეა, გავრცელებულია ავსტრალიასა და ახალ ზელანდიასში. ევროპასა და კავკასიაში კულტივირებულია დეკორატიული მიზნებისათვის.

სამკურნალო ნედლეულია ფოთლები, ღეროები, ყვავილები, ნაყოფები. სინთეზის გზით მიღებული ჰორმონალური პრეპარატები გამოიყენება სხვადასხვა სახის დაავადებებისას: პოლიართრიტის, რევმატიზმის, ზოგიერთი ფორმის ლეიკოზის, ბრონქიალური ასთმის, ანთებითი პროცესების და კანის ზოგიერთი დაავადებისას, როგორცაა ეგზემა და სხვ.

ძალყურძენას პრეპარატები მნიშვნელოვანია შემდეგი დაავადებებისას: ანგინა, ყივანახველა, გრიპი, ბრონქიალური ასთმა, ფილტვების ტუბერკულოზი, ოტიტი, ექსუდატიური დიათეზი, კანის სოკოვანი დაზიანებები, ფსორიაზი, დერმატიტი, სიყვითლე, ასციტი, ცისტიტი, თირკმელების დაავადებები, ჰელმინტოზი, ნერვული

დაავადებები, ეპილეპსია, სახსრები, რევმატიზმი, გინგივიტი, სტომატიტი, ჭრილობები, წყლულები, დამწვრობები. გამოიყენება სისხლის ავთვისებიანი დაავადებების, ლეიკოზის დროს; კარგ შედეგებს იძლევა პანკრეატიტის, თავის ტკივილების, ყურის ძირში სიმსივნის შემთხვევაში. წვეთები შველის ყურის ტკივილებს, გამონაწერი კი დამამშვდებელი საშუალებაა.

უკუქმედება: ვინაიდან მცენარის ყველა ნაწილი **შხამიანია**, შესაბამისი დოზების ზუსტი დაცვა აუცილებელია.

ძირმწარა - *Aristolochia clematitis* L.

ოჯ. ძირმწარასებრნი - Fam. Aristolochiaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მხოხავი ფესურით და 30-50 სმ-მდე სიმაღლის ხვიარა ღეროთი. ფოთლები მარტივია, ყუნწიანი, მორიგეობით განლაგებული, მომრგვალო თირკმლისებრია. ყვავილები ყვითელია, კონებადაა განლაგებული ფოთლის ილღიებში, ყვავილსაფარი მილისებრია, ქვედა მხრიდან დაბუმტული, ზედა მხარეს ირიბი ენისებრი გადანალუნით. ნაყოფი მშრალი სფეროსებრი ან მსხლისებრი კოლოფია. ყვ. V- VI; ნაყ. VI-VII;

ბუნებრივად გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, იზრდება ტყეებში, ბუჩქნარებში და რუდერალურ ადგილებში. სამკურნალოდ გამოიყენება მიწისზედა ნაწილი (ბალახი, გროვდება ყვავილობის პერიოდში) და ფესვები. შეიცავს ალკალოიდებს (არისტოქოლინი და მაგნოფლორინი), საპონინებს, მწარე და მთრიმლავ

ნივთიერებებს, ეთერზეთებს, ორგანულ და ფენოლკარბონულ მჟავებს, ფლავონოიდებს, ფისებს.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ბაქტერიციდული, ადაპტოგენური, გამაუმტკივნეული, ჭრილობების შემახორცებელი, საჭმლის მონელების მარეგულირებელი, შარდმდენი და ოფლმდენი ფარმაკოლოგიური მოქმედებით.

დადგენილია, რომ მცენარის სპირტიანი და წყლიანი გამონაწურები აფართოებს ვენურ და პერიფერიულ სისხლძარღვებს, ამცირებს სისხლის არტერიულ წნევას, ამალღებს ორგანიზმის წინააღმდეგუნარიანობას, დამამშვიდებლად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. გამოიყენება წყალმანკის, ნიკრისის ქარის, სხვადასხვა წარმოშობის შემუშპებების, თირკმლისებრი ჰიპერტენზიის, გაციების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ფუნქციების მოშლილობისას. გარეგანად ნახარში გამოიყენება აბაზანებისათვის, მოსაბანად, კომპრესებისა და სველი საფენების სახით ჩირქოვანი წყლულების, ინფიცირებული ჭრილობების, კანის სხვადასხვა გამონაყრების, ქავილის დროს.

უკუჩვენება; მცენარე შხამიანია! გამოიყენება მხოლოდ ექიმის კონტროლის ქვეშ.

წითელი შხამა-სოკო *Amanita muscaria* (L.) Lam.

ოჯ. ამანიტისებრნი - Fam. Amanitaceae



მიეკუთვნება ფირფიტოვან სოკოების რიცხვს. გამოირჩევა მაღალი შხამიანობით. ხასიათდება ჰალუცინოგენური მოქმედებით. ითვლება, რომ სასიკვდილო დოზა მერყეობს 15-მდე სოკოს მილებით. სოკოს სხეული შეიცავს ფსიქოტროპული და ტოქსიკური მოქმედების ძლიერ შხამიან ალკალოიდებს: მუსკარინს, მუსკარედინს, მუსციმოლს, მუსკაზონს, იბოტენის მჟავას და ნარინჯისფერ საღებავ ანტიბიოტიკურ ნივთიერება - მუსკარუფინს, სწორედ ეს პიგმენტი გამოირჩევა სიმსივნის სარინაალმდეგო, ანტიბიოტიკური, ნარკოტიკული და დამათრობელი მოქმედებით, იხმარება ყველა სახის ონკოლოგიური დაავადებების: კიბოს, ლეიკოზის, სხივური წყლულების, დერმატიტების სამკურნალოდ.

თანამედროვე ფარმაკოლოგიური მრეწველობა იყენებს სოკოს სამკურნალო თვისებებს რიგი პრეპარატების დამზადებისას. შედის იმ წამლების შემადგენლობაში, რომლებიც გამოიყენება ანგინის, ეპილეპსიის, ზურგის ტვინის დაავადებების, სისხლძარღვების სპაზმის, სტენოკარდიის - მწვავე და ძლიერი ტკივილებისას, არითმიის, ხელის თითების, ყურის და ცხვირის წვერის გათეთრების შემთხვევაში, შემდგომი ჰიპერემიით, კიდურების ანგიონევროზით დაავადებებისას. იმ მალამოების შემადგენლობაშია, რომლებსაც იყენებენ რთულად შესახორცებელი ჭრილობების (ნაწოლები, ფურუნკულები), ვენების პათოლოგიის (ვარიკოზული გაფართოება, ტრომბოფლებიტი), ნერვული სისტემის პათოლოგიის (ნევრალგია, ოსტეოხონდროზი, ნევრიტები), სახსრების პათოლოგია (ართრიტი, ართროზი), მეჭეჭებისა და პაპილომებისა და კანის სხვა დაავადებებისას - ფსორიაზი, სოკოვანი, ეგზემა, პიოდერმია.

სხვადასხვა ქვეყნის სახალხო მკურნალებმა (ექიმმაშებმა) იცოდნენ რა მისი სამკურნალო მნიშვნელობა ძველი დროიდანვე ხმარობდნენ სხვადასხვა დაავადებებისას: ათეროსკლეროზი, უძილობა, ტუბერკულოზი, ჰიპერტონიული დაავადებები, ყაზობა, იმპოტენცია, გულის იშემური დაავადებები, ნერვული აღგზნება, შაქრიანი დიაბეტი, კრუნჩხვები, ქორეა, ალკოჰოლიზმი, ალკოჰოლური ბოდვა, დეპრესია, ეპილეპსია. ნაყენებს იყენებდნენ გარეგანად რევმატიული ტკივილების, რადიკულიტის, ნიკრისის ქარის დროს.

ჰომეოპათიაში გამოიყენება სისხლმარღვების სპაზმის, ეპილეპსიის, ქორეატიული მდგომარეობის, სკლეროზის, ანგინის, ზურგის ტვინის ფუნქციონალური დარღვევებისას, აგრეთვე რთულად მიმდინარე კლიმაქტერიულ პერიოდში.

უკუქმედებები: სოკოს მაღალი ტოქსიკურობიდან გამომდინარე, უკიდურესი სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ მის გამოყენებას, მკაცრად უნდა იყვეს დაცული დოზები. სოკოთი ან პრეპარატით მოწამლვის შემთხვევაში სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო, რათა აცილებულ იქნეს უაყოფითი შედეგები. მოწამლვის ნიშნებია: მუცლის ძლიერი ტკივილები, გულისრევა და პირღებინება, ფაღარათი, სუნთქვის დარღვევა, მაღალი ოფლიანობა, კრუნჩხვები, წნევის დაცემა, ჰალუცინაციები, ბოდვა და გონების დაკარგვა. მოწამლვის პირველივე სიმპტომებისას მიმართეთ სასწრაფო დახმარებას!

წყლის იელი - *Ledum palustre* L.
ოჯ. მანანასებრნი - Fam. Ericaceae



ძლიერ დატოტვილი მარადმწვანე 120 სმ-მდე სიმაღლის და 1 მ-მდე დიამეტრის შხამიანი ბუჩქია. ღერო მწოლიარეა, მრავალრიცხოვანი წამოწეული ტოტებით. ფოთლები მორიგეობითია, მოკლე ყუნწიანი, ხაზურიდან მოგრძო-ელიფსურამდე, მუქი მწვანე, ხეშემი. ყვავი-

ლები გრძელყოფნიანია, თეთრი, ზოგჯერ მოწითალო, ძლიერი დამატრობელი სუნით, შეკრებილა 16-25 ცალად ფარისებრ ან ქოლგისებრ მტევნებად. ნაყოფი მოგრძო მრავალთესლიანი, ხუთბუდიანი, ელიფსური კოლოფია. ყვ.V-VII; ნაყ.VII-VIII. გავრცელების ფართო არეალით ხასიათდება; იზრდება ტყისა და ტყეებუნდრის ზონებში, ტორფნარებში, ჭაობებში, ტენიან წიწვნარებში, ჩრდილოეთის მკაცრი კლიმატის პირობებში.

სამკურნალოდ ფოთლები და ნორჩი ყლორტები გამოიყენება, გროვდება აგვისტო-სექტემბერში. მცენარის მთავარ შემადგენელ ნაწილს ეთერზეთები წარმოადგენს, რომელიც შედგება აზულენის რიგის სესკვიტერპენული სპირტებისაგან: ლედოლი (უძლიერესი შხამი, იწვევს ნერვული სისტემის დაზიანებას), ვალერიანის მჟავა, პალუსტროლი, ნახშირწყლები - მირცენი, ციმოლი, გერანილაცეტატი, ელეოპტენი და სხვა კომპონენტებისაგან, რომლებიც ხასიათდება მომწარო-მწვავე გემოთი და ბალზამის სურნელით. აღმოჩენილია აგრეთვე: გლიკოზიდები (არბუტინი, ერივოლინი), გლიკოზიდების მსგავსი შხამიანი ნივთიერება ანდრომედოტოქსინი, ფლავონოიდები (კვერციტრინი), ორგანული მჟავები, ვიტამინები, გუმფისი, შაქარი, ფიტონციდები, კუმარინები, მთრიმლავი და პექტინოვანი ნივთიერებები, ფისები; მდიდარია მიკროელემენტებით: კალიუმში, კალციუმში, მაგნიუმში, რკინა, სპილენძი, თუთია, ალუმინი, ბარიუმი ქრომი.

ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მთელი კომპლექსიდან გამომდინარე, ხასიათდება მრავალმხრივი მოქმედებით: სპაზმოლიტური, ამოსახველებელი, ოფლმდენი, შარდმდენი, მადეზინფიცირებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ნარკოტიკული და დამამშვიდებელი; გამოირჩევა დიურეზული და ანტიმიკრობული აქტივობით. ყლორტებისაგან მზადდება პრეპარატი „ლედინი“, ხველების საწინააღმდეგო და ბრონქოლიტური საშუალება.

ხალხურ მედიცინაში იყენებენ სასუნთქი ორგანოების დაავადებებისას: ბრონქიტი, ტრაქეიტი, ლარინგიტი, პნევმონია, გრიპი, ბრონქიალური ასთმა, ხველება, ყივანახველა, აგრეთვე ღვიძლის, კუჭის, ციების, ცისტიტის, პიელიტის, ურეთრიტის, დიზენტერიის, სპაზმური ენტეროკოლიტის, ჭრილობების სამკურნალოდ.

უკუქმედება: მცენარე შხამიანია! ეთერზეთების (რომლებსაც მცენარის მიწისზედა ორგანოები შეიცავს), დიდი დოზით მიღება იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის პარალიზებას, ნაწლავების, საშვილოსნოს, ფეხების დამბლას, მკვეთრად არღვევს სუნთქვას და გულის მოქმედებას. რის გამოც წყლის იელის პრეპარატები გამოიყენება მხოლოდ ექიმის მითითებით და მისი მეთვალყურეობით!

წყლის მარწყვა-ბალახი - *Comarum palustre* L.
ოჯ. ვარდისებრნი - Fam. Rosaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 20-30 სმ სიმაღლის მცენარეა, გრძელი, მხოხავი, დატოტვილი და გახევებული ფესურით. ფოთლები ფრთისებრია, შედგება 5-7 ერთმანეთთან დაახლოებულ მოგრძო, მახვილხერხებილა ფოთოლაკისაგან, ზედა მხარეს - მუქი მწვანეა, ქვედაზე - ქერისებრ ნაცრისფერი. ყვავილები მცირე რიცხოვანია, მუქი-წითელი ფერის. ნაყოფედი მრავალკაკლიანია. საქართველოში გავრცელებულია სვანეთში, ქართლში, თრიალეთსა და ჯავახეთში. იზრდება ჭაობების, ტბებისა და მდინარის ნაპირებზე, დაჭაობებულ მდელოებზე.

ჰომეოპათიაში, ტრადიციულ და ხალხურ მედიცინაში გამოიყენება მცენარის მიწისზედა ნაწილი და ფესვები. შეიცავს ფლავონოიდებს, ეთერზეთებს, კერატინს, ორგანულ და ფენოლკარბონულ მჟავებს, ვიტამინ C. პირველ რიგში, მას იყენებენ როგორც საერთოგამაძლიერებელ და იმუნომასტიმულირებელ საშუალებას. მაგ.:

ჩუკოტკის ადგილობრივი მოსახლეობა რეგულარულად ღებულობს მცენარის ნახარშს, თვლიან, რომ მას უკუმაჩვენელები საერთოდ არ აქვს და სასარგებლოა საერთო გაჯანსაღებისათვის, თვით კიბოს პროფილაქტიკისათვის.

მას იყენებენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, წყლულოვანი, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, აგრეთვე მძიმე ონკოლოგიური ავადმყოფების სამკურნალოდ. ცნობილია შემთხვევები, როდესაც მედიცინა უარს ამბობდა სასიკვდილოდ განწირულ ავადმყოფებზე და სახლში აგზავნიდა მათ, ხოლო წყლის მარწყვა-ბალახით მკურნალობა, საფუძველშივე ანადგურებდა დაავადებას და სიცოცხლეს მრავალი წლით უხანგრძლივებდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ეფექტურობა საყრდენ - მამოძრავებელი აპარატის ანთებითი პროცესების დროს: რევმატიზმი, რადიკულიტი, ართრიტი, პოლიართრიტის მკურნალობისას. ასევე მნიშვნელოვანია პროფილაქტიკური მკურნალობა; გამოირჩევა ორგანიზმის უჯრედების მატონიზირებელი, მასტიმულირებელი და განახლების უნარით, რითიც არიდებს მრავალი დაავადების განვითარებას, სიბერეს უკან სწევს და ახანგრძლივებს სიცოცხლეს.

უკუქმედება: მცენარე სუსტად შხამიანია! არ არის რეკომენდირებული ფეხმძიმებისა და მეძუძურებისათვის, ვინაიდან მისი სამკურნალო-პროფილაქტიკური კომპონენტი იმდენად აქტიურია, შეიძლება გამოიწვიოს ძლიერი ალერგიული რეაქცია.

ჭვაველა - *Claviceps purpurea* (Fr.) Tul.

ოჯ. ჭვაველასებრნი - Fam. Clavicipitaceae



პარაზიტი სოკოა, გვხვდება მარცვლოვნებზე, უფრო ხშირად ჭვავზე, რომლის თავთავებში ქმნის დამახასიათებელ მოშავო-ისფერ „რქებს“, ე. წ. სკლეროციუმებს - მიცელიუმის ჰიფების მკვრივ ხლართს, რომლებიც ამოვსებულია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, კერძოდ: სხვადასხვა სახის ალკალოიდებით - ერგოტამინი, ერგოტამინინი, ერგოზინი, ერგოზინინი, ერგოკრის-ტინი, და სხვ., აზოტის შემცველი შენაერთებით - აცეტილქოლინი, ქოლინი, ბეტაინი, ერგოთიონენინი, ურაცილი; საღებავი ნივთიერებებიდან გამოყოფილია: სეკალონისა და ქრიზერგონის მჟავები. „რქებს“ აგროვებენ ჭვავის მომწიფების პერიოდში, უშუალოდ თიბვის წინ, თავთავებიდან ნედლი მარცვლის გადარჩევისას. აშრობენ საშრობებში 50⁰ C ტემპერატურაზე. გამოიყენება ფხვნილის, თხევადი და სქელი ექსტრაქტის სახით.

ჭვავილას პრეპარატები უმთავრესად გამოიყენება მეან-გინეკოლოგიურ პრაქტიკაში, მშობიარობისა და აბორტის შემდგომ პერიოდებში საშვილოსნოდან სისხლდენებისას, საშვილოსნოს სუბინვოლუციის, მენორაგიისა და მეტორაგიის, პოლიპების, ენდომეტრიტის და ა. შ. სამკურნალოდ. ჭვაველას ალკალოიდები ახდენენ შაქრის დონის შემცირებას სისხლში, უფრო ძლიერად ბლოკავენ ადრენალინის ჰიპერგლიკემიურ მოქმედებას სხვა პრეპარატებთან შედარებით.

სხვადასხვა პუბლიკაციებში მითითებულია ალკალოიდების უნარზე, მოახდინოს პროლაქტინის გამოყოფის შევიწროება და სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების დამუხრუჭება.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის ხალხური მედიცინა ჭვაველას იყენებდა საშვილოსნოს კიბოს სამკურნალოდ.

უკუქმედება: გამოირჩევა მაღალი შხამიანობით! ადრე გლეხები ჭვავილას რქებს პურის დანამატად მიიჩნევდნენ, რაც დიდი შეცდომა იყო, ვინაიდან იგი გამოირჩევა ძლიერი შხამიანობით. ფქვილში მოხვედრილი იწვევს რთულ დაავადებას - ერგოტიზმს, რომლის თანმხლები მოვლენებია - ძლიერი კრუნჩხვები, განგრენა (თითე-

ბის, ყურების გახევება), ფსიქიური აშლილობა, ლეტალური აღსასრული. მიუღებელია პრეპარატების გამოყენება ათეროსკლეროზის, მიოკარდიუმის ინფარქტის, ფეხმძიმობისა და სიბერის ასაკში.

ჭიაფერა – *Phytolacca americana* L.

ოჯ. ჭიაფერასებრნი - Fam. Phytolaccaceae



მრავალწლოვანი 3 მ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა. ღერო სქელია, წვნიანი, მწვანე ან მოწითალო-მწვანე, სწორმდგომი, ზედა ნაწილში დატოტვილი. ფესვი მთავარღერძაა, თითისტარისებრი, სქელი. ფოთლები მორიგეობითია, მარტივი, კიდემთლიანი, კარგად განვითარებული შუა ძარღვით, ელიფსური, მახვილი წვერით, პირველად ბაცი მწვანე, მოგვიანებით მოწითალო შეფერილობის. ყვავილები ორსქესიანია, წვრილი, მარტივი ყვავილსაფრით, შეკრებილია მკვრივ სწორმდგომ 15-25 სმ სიგრძისა და 5 სმ დიამეტრის მტევნად, ფორმით ტაროს მოგვაგონებს. ნაყოფი წვნიანი კენკრაა, მომრგვალო, პრიალა, დასაწყისში მუქი წითელი, სრული სიმწიფისას – თითქმის შავი. თესლი თირკმლისებრია, შავი, პრიალა, წვრილი.

სამშობლო ჩრდ. ამერიკის აღმოსავლეთ რაიონები და ბერმუდის კუნძულებია. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

ჭიაფერა თანამედროვეობის გაორებული მცენარეა. ერთის მხრივ მიიჩნევენ გამაჯანსაღებელ და სამკურნალოდ, მეორეს მხრივ მიუთითებენ მისი ყველა ნაწილის მაღალ შხამიანობაზე, რომელსაც ადამიანის სიკვდილიც ძალუძს. ყველანი ერთად კი ჭიაფერას მაღალ დეკორატიულობაზე თანხმდებიან.

მცენარეში აღმოჩენილია საპონინები, ტანინები, ალკალოიდები, მწარე ნივთიერებები, შაქრები; ფოთლებში დამატებით აღირიცხა ასკორბინის მჟავა (240-285 მგ); ნაყოფი და თესლები მდიდარია B - ჯგუფისა და PP - ვიტამინებით.

ჭიაფერას პრეპარატები შინაგანად, უმთავრესად როგორც პირღებინების საშუალება მიიღება, გარეგანად - კანის დაავადებების (მშრალი ეგზემა, ფსორიაზი, მუნი, სოკოვანი დაავადებები) და ართრიტების სამკურნალოდ გამოიყენება.

ხალხურ მედიცინაში სამკურნალოდ მცენარის ყველა ნაწილს იყენებენ, მაგ.: ნაყოფების ნახარში ხელს უწყობს ჰიპერტონიის საწყის სტადიებში არტერიალური წნევის დაქვეითებას; მშრალი ან ნედლი ფესვების სპირტიან ნაყენს იყენებენ შინაგანად და გარეგანი სახით, არის კარგი იმუნოსტიმულიატორი, ანელებს სიმსივნის განვითარებას, ხელს უწყობს კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის, თირკმელების ანთებითი პროცესების და კონიუნქტივის განკურნებას; საფენების სახით იხმარება რადიკულიტის, რემმატიზმის, დამწვრობის, მასტიტის, ართრიტის, სახსრების ტკივილების, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი დაზიანებებისა და ციებ-ცხელების დროს.

უკუქმედება: ნედლი მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია! გამოყენებისას უაღრესი სიფრთხილეა საჭირო!

ხარისთვალა - Paris quadrifolia L.
ოჯ. მელანთიასებრნი -Fam. Melanthiaceae



მრავალწლოვანი ბალახოვანი 10-40 სმ სიმაღლის მცენარეა. ფესურა ჰორიზონტალურია, გრძელი. ღერო სწორმდგომია. ფოთლები რგოლურადაა შეკრებილი, ფართოელიფსურია, შუბისებრი ფუძით და წაწვეტებული ბოლოთი. ყვავილი მარტოულია, მდებარეობს ღეროს წვერზე, მწვანე შეფერილობისაა, ყვავილსაფარი შედგება 4 გარეგანი და 4 შიდა ვიწრო ხაზური ფოთოლაკისაგან. ნაყოფი სფერულია, 4-ბუდიანი კენკრა, პრიალაა, შავი, ნაცრისფერი ნაფიფქით. ყვ. VII-VIII; ნაყ. VIII. გავრცელებულია საქართველოში, იზრდება ფოთლოვან და შერეულ ტყეებში, უპირატესობას ანიჭებს ტენიან, დაჩრდილულ ადგილებს, ბუჩქნარების რაყებს, ტენიან ხეობებს.

შეიცავს ვიტამინ C, ფლავონოიდებს, კუმარინს, ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის მჟავას), პექტინებს, გლიკოზიდ პარიდინს. ფესურა, ფოთლები და ნაყოფები შეიცავს შხამიან საპონინს არისტიფინს. ფესურებში აღინიშნება აგრეთვე სტეროიდული აგებულების საპონინები, ალკალოიდები.

მაღალი შხამიანობიდან გამომდინარე, ოფიცინალურ მედიცინაში მისი გამოყენება სამედიცინო პრეპარატების დასამზადებლად აკრძალულია.

ხალხურ მედიცინაში მცენარის სხვადასხვა ორგანოების ნახარში დიდი სიფრთხილით გამოიყენებოდა ტუბერკულოზის, შაკიკის და ნევრალგიის სამკურნალოდ.

უკუქმედება: მცენარე სასიკვდილოდ შხამიანია! განსაკუთრებით ხშირად იწამლებიან ბავშვები, რომლებსაც იზიდავს პრიალა ლამაზი კენკრა-ნაყოფები. ფოთლები მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ

სისტემაზე, ნაყოფები - გულზე, ფესურა იწვევს პირღებინებას. მოწამლის ნიშნებია: მუცლის ტკივილი, ფაღარათი, პირღებინება, თავბრუსხვევა, კრუნჩხვები, გულის რიტმის დარღვევა - მის გაჩერებამდე.

ხარისჩლიქა - *Asarum europaeum* L.

ოჯ. ძირმწარასებრნი - Fam. Aristolochiaceae



მრავალწლოვანი 5-10 სმ სიმაღლის მხოვავ ფესურიანი ბალახოვანი მცენარეა. ინვითარებს მოკლე ტოტებს, რომლებზედაც ფოთლები და ყვავილები ვითარდება. ფოთლები გულისებრია ან სამკუთხაგულისებრი. ყვავილები მილისებრია, ქვევით დახრილი ყუნწებით, მუქი ყავისფერი, ყვავილსაფარი ნაყოფობისას ზედვეა შერჩენილი. თესლი სამკუთხა-კვერცხისებრია, ნაოჭებიანი. ყვ. IV-VI; ნაყ. V-VII; ევროპული სახეობაა. საქართველოს შემდეგ კუთხეებშია გავრცელებული: აფხაზეთი, სვანეთი, გურია, აჭარა, ქართლი. იზრდება ტყეებში მთის ქვედა სრტყლიდან ზედა სარტყლამდე. სამკურნალოდ პრაქტიკულად მთელი მცენარე გამოიყენება. შეიცავს: ეთერზეთებს, ქაფურის მსგავსი ნივთიერების - აზარონის შემცველობით, შაქრებს, სახამებელს, ლორწოს, ეთერებს, სესკვიტერპენულ ნახშირწყლებს და სპირტებს: ტერპენს, ევგენოლს, აზარონის მჟავას და მის წარმოებულებს; ფენოლკარბონულ მჟავებს: კოფეინის, ფერულის; სტეროიდებს: სიტოსტერინს; მთრიმლავე ნივთიერებებს, კუმარი-

ნებს, მეთილევგენოლს, ბორნილაცეტატს, ფლავონოიდებს - კვერცეტინს, კემფეროლს, ვიტამინებს, საპონინებს, გულის გლიკოზიდებს, ორგანულ მჟავებს, ფისებს, მიკროელემენტებს, ალკალოიდებს.

ხასიათდება სამკურნალო თვისებების ფართო დიაპაზონით. ღებულობენ, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ბრონქების გამაფართოებელ, სისხლდენისშემაჩერებელ, კარდიოტონურ, ამოსახველებელ, დიურეზულ, სასაქმებელ, ჭრილობების შემახორცებელ, დამამშვიდებელ, სიცხისდამწვევ, შარდმდენ, ანტიჰელმინტურ, ანტი-სკლეროტულ საშუალებას. მცენარე მეტად ეფექტურია ფართო და ლოკალური ჭრილობების, წყლულების, მუნის სამკურნალოდ.

ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნაყენი და ნახარში გამოიყენებოდა წყალმანკის, იშიაზის, ყაბზობის, თავის ტკივილების, სიყვითლის, მალარიის, ეგზემის, მწვავე რადიკულიტის, ნევრალგიის, თავის ტკივილის, სიყრუს, დამბლის, ეპილეპსიის, ნიკრისის ქარების, ნერვული და გულის დაავადებების სამკურნალოდ.

ფესვების ნახარშს იყენებენ ალკოჰოლიზმის სამკურნალოდ, როგორც პირღებინების საშუალებას, ბრონქიტის, მწვავე და ქრონიკული გასტრიტის, პიელონეფრიტის, მენსტრუალური ტკივილების, ზედა სასუნთქი გზების ანთების, სხვადასხვა ეთიოლოგიის სიმსივნების სამკურნალოდ, გულის ქრონიკული უკმარისობის დროს. გარეგანად: საფენების სახით ჭრილობების შესახორცებლად, წყლულების, მღიერების განსაკურნავად.

უკუჩვენება: ძლიერ ტოქსიკურია! ინიშნება მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

ხაშხაში - *Papaver somniferum* L.

ოჯ. ყაყაჩოსებრნი - Fam. Papaveraceae



ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა სწორმდგომი, ცვილისებრი ნაფიფქით დაფარული ღეროთი. ფესვი მთავარღერძაა, ნიადაგში ღრმად ჩამავალი. ფესვთანური ფოთლები წაგრძელებულია, სპირალურად განწყობილი; ღეროსეული ფოთლები ფართო ლანცეტა ან კვერცხისებრი ფორმის, ღერომხვევი. ყვავილი მსხვილია, სხვადასხვა შეფერილობის – თეთრიდან მუქ-იასამნისფერამდე. ნაყოფი მრავალთესლიანი კოლოფია, სფერული ან წაგრძელებული, თესლების მომწიფებისას არ იხსნება, რითიც ყაყაჩოს სხვა სახეობებისგან განსხვავდება. ყვ. VI; ნაყ. VII-VIII.

ველურად არ გვხვდება, ფიქრობენ, რომ წარმოიქმნა ყაყაჩოს ველური სახეობების ჰიბრიდიზაციის გზით. სამშობლოდ წინა აზიას მიიჩნევენ. მისი კულტურა საწყისს უძველესი დროიდან იღებს. მრავალსაუკუნოვანი კულტურის პროცესში ჩამოყალიბდა სამრეწველო ნიშნებით მკვეთრად გამორჩეული ორი ჯგუფი: ოპიუმისანი და ზეთოვანი. ოპიუმისანი ყაყაჩოს ჯიშები ხასიათდება მსხვილი კოლოფებითა და რძის წვენი მაღალი შემცველობით. ხოლო ზეთოვანი ჯგუფის ყაყაჩოს ჯიშები მოჰყავთ თესლების მისაღებად, იყენებენ კვებით მრეწველობაში და მწიფე თესლებისაგან თავისუფალი კოლოფებიდან მორფინის მისაღებად.

ნედლი კოლოფები შეიცავს 8-25 მგ% ოპიუმს, რომელიც წარმოადგენს ორგანული და მინერალური შენაერთების - ალკალოიდების,

ცილების, ნახშირწყლების, ლორწოს და სხვ. რთულ ნარევს. ოპიუმში ერთ-ერთი ძირითადი ალკალოიდის – მორფინის შემადგენლობა 0,2-2 მგ%. აფთიაქებში დამზადებული წამლების უმრავლესობა შეიცავს ოპიუმს ან მის ძირითად ალკალოიდებს: მორფინს, კოდეინს, ნარკოტინს, პაპავერინს და სხვა – 25-ზე მეტი დასახელების ალკალოიდს. ოპიუმი და სხვა ალკალოიდები ფართოდ გამოიყენება მედიცინაში როგორც ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი საშუალებები. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მორფინი, რომელიც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი მოქმედებით გამოირჩევა; სამედიცინო პრაქტიკაში მას ინექციის სახით იყენებენ ონკოლოგიური დაავადებების მეოთხე სტადიის, სტენოკარდიის, პნევმონიის დროს. კოდეინიც ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი და ნარკოტიკული საშუალებაა, ხშირად გამოიყენება ხველებისას, როგორც დამამშვიდებელი.

უკუჩვენება: მორფინის უარყოფითი თვისება, რის გამოც მისი გამოყენება შეზღუდულია, არის მისი ძლიერი მოქმედება თავის ტვინის ქერქზე, იწვევს ეიფორიას, წარმოიქმნება მუდმივი მოთხოვნილება პრეპარატისადმი, რაც ფსიქიკური აშლილობით მთავრდება. ამიტომ მათი გამოყენება **მკაცრად რეგლამენდირებულია!**

ხემერალი ან ჩინური ივანი - *Ailanthus altissima* (Mill.) Swingle
ოჯ. ხემერალისებრნი - Fam. Simarubiaceae



ფოთოლმცვენი 20-30 მ-მდე სიმაღლის უხვად დატოტვილი ხეა, აჟურული ვარჯით და მონაცრისფრო-მურა ფერის ქერქით. ფოთლები კენტფრთართულია, 1 მ-მდე სიგრძის; ფოთოლაკები კვერცხისებრ-ლანცეტაა, ძირთან დაკბილული, უსიამოვნო სუნის. ყვავილები ორსქესიანია და მამრობითი, წვრილი, უსახური, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის, შეკრებილია ფაშარ საგველა ყვავილედებად. ნაყოფი ერთთესლიანი რომბული ფრთიანაა, ყვითელი ან წითელი შეფერილობის; მეტად დეკორატიულია ნაყოფმსხმოიარობის პერიოდში.

სამშობლო ჩრდილოეთ ჩინეთია. როგორც დეკორატიული, სწრაფმოზარდი მცენარე კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც მრავლდება თვითნათესით და ამონაყრებით, ხშირად ასარეგლიანებს ბაღებს.

სამკურნალო ნედლეულია ქერქი, ყვავილები და ნედლი ყლორტები. ქერქი შეიცავს აქტიურ ნივთიერება – კვასინს, 12%-მდე მთრიმლავ ნივთიერებებს, საპონინებს, სხვადასხვა ალკალოიდებს, ლაქტონ სიმარუბინს, კუმარინულ ჰეტეროზიდს, მწარე ნივთიერებებს – აილანტინს, სტერინებს.

ოფიცინალურ მედიცინაში არ გამოიყენება. სახალხო მკურნალები ხის ქერქს იყენებენ დიზენტერიის დროს, და როგორც ანტიჰელმინტურ საშუალებას; ეფექტურია ლეიშმანიოზის სამკურნალოდ. წარსულში, ნაყოფების ნაყენი გამოიყენებოდა პრეპარატ ანგინოლის წარმოებისათვის, რომელსაც უნიშნავდნენ ანგინის სამკურნალოდ. ჰომეოპათიაში ყვავილები, ქერქი და ყლორტები ქუნთრუშისა და დიფტერიის, აგრეთვე შარდკენჭოვანი დაავადებებისას იხმარება, ხოლო ნაყოფები ნაღველკენჭოვანი დაავადებებისა და კიბოს საწინააღმდეგოდ. ფოთლები ხასიათდება ანტივირუსული და ინსექტიციდური მოქმედებით და გამოხატული ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო თვისებებით.

უკუქმედება: გამოყენებისას აუცილებელია ექიმთან კონსულტაციის გავლა. ამავდროულად უნდა გაითვალისწინოთ, რომ თესლი შხამიანია!

ხისებრი ჰორტენზია - *Hydrangea arborescens* L.
ოჯ. ჰორტენზიასებრნი - Fam. Hydrangeaceae



2,5-3 მ-მდე სიმაღლის მომრგვალო, ფოთოლმცვენი ბუჩქია, ვარჯის დიამეტრიც 2 მ-მდეა, ფართოდ გადაშლილი, აყურული. ფოთლები 8-15 სმ დიამეტრისაა, მომრგვალო, მწვანე. ყვავილები წვრილია, პრილა, შეკრებილია მსხვილ, 25 სმ-მდე დიამეტრის სფერულ ყვავილედად, გაშლისას მკრთალი მწვანეა, შემდეგ თეთრი შეფერილობის. ნაყოფი კოლოფია, მრავალრიცხოვანი თესლით. ყვ. V-IX; ნაყ. VII-X.

სამშობლო აშშ-ის აღმოსავლეთია. ფართოდაა კულტივირებული ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის ქვეყნებში. ფართოდაა ინტროდუცირებული დასავლეთ საქართველოში.

ფესვები შეიცავს ფლავონოიდებს, გლიკოზიდ ჰიდრაგინს, საპონინებს, რუტინს, კუმარინებს, ალკალოიდებს, ეთერზეთებს.

ფესვები ძველი დროიდანვე გამოიყენებოდა მედიცინაში შარდსადინარი ორგანოების ანთებითი დაავადებებისას. ფესვების ექსტრაქტი ხასიათდება რბილი შარდმდენი და ჭრილობების შემახორცებელი მოქმედებით, იწვევს გამწმენდ მოქმედებას შარდსასქესო სისტემაზე, ხელს უწყობს ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებების გამოდევნას, შეშუპების შემცირებას, შარდმჟავას გამოყოფას; აბრკოლებს შარდსადინარ გზებში ქვიშისა და ქვების დალექვას, ხსნის

სპაზმებს ამ ორგანოებში, უზრუნველყოფს გამაუმტკივნებელ ეფექტს. ფესვები აგრეთვე გამოიყენება წინამენსტრუაციული სინდრომის შესამსუბუქებლად. იწვევს მატონიზირებელ მოქმედებას თირკმელებზე, აუმჯობესებს მის ფუნქციას.

ხისმაგვარი ჰორტენზია გამოიყენება ნალველკენჭოვანი დაავადებების, ქრონიკული პიელონეფრიტის, თირკმელებში კენჭების, ქრონიკული ცისტიტის, სახსრების ტკივილების, ქალის სასქესო სფეროს ქრონიკული ანთების, შეშუპებისა და სიმსუქნის დროს.

ჰორტენზია “თერაპიული” მცენარეა. მის ბრწყინვალე ყვავილებს შესწევს უნარი იმოქმედოს აფორიაქებულ და მოუსვენარ ადამიანებზე, დაეხმაროს მათი მჩქეფარე ენერჯის სწორად და დადებითად წარმართვაში, აზრის მოკრეფაში, დაწყებული საქმეების ბოლომდე მიყვანაში.

უკუქმედება: ჰორტენზიის ყველა სახეობა შეიცავს ციანოგენურ გლიკოზიდებს, რის გამოც გამოყენებისას სიფრთხილეა საჭირო.

მცენარეების ქართულ სახელწოდებათა სამიუბელი

- აბზინდა - 31
აბრეშუმა - 33
აბუსალათინი - 34
ანწლი - 36
არხისპირა - 37
ასფურცელა - 38
აღმოსავლური ბიოტა - 40
ბაყაყურა - 41
ბრტყელეკალა - 43
გველის სურო - 45
გლედინია - 46
გლიცინია, ცის ვაზი - 47
დასავლური ტუია - 48
დიდგულა - 50
ეკლის ხე, ცრუაკაცია - 52
ერიზიმუმი - 53
ეფედრა - 55
ვარდისფერი კატარანტუსი - 56
ვნების ყვავილი, პასიფლორა - 58
ვორონოვის თეთრყვავილა - 59
ზღვის ხახვი - 61
თამბაქო - 62
თერმოფსისი ლანცეტისებრი - 66
ინდური ლემა - 68
ინდური ლოტოსი - 69
იორდასალამი - 71
კავკასიური ხარისძირა - 73
კოკა, კოკაინის ბუჩქი - 74
კონიო - 76
კურდღლისცოცხა - 77
კუროსთავი - 79
ლემა - 80
ლენცოფა - 82
ლობელია - 84
მაგნოლია - 85
მანდრაგორა - 87
მარიამსაკმელა - 88
მაჯადვერი - 91
მთის ჩადუნა - 92
მინდვრის ნარი - 93
მინდვრისნემსა - 95
მწვავე ფუნთუშა - 97
ნიუკა - 98
ოლეანდრე - 99
ოპუნცია - 101
ორყურა - 103
ოქროწვეპლა - 104
რაუვოლფია - 105
რძინა
(პალასის ან ფიშერის) - 107
საკვინაჭი - 108
სამკურნალო ლაშქარა - 110
სამკურნალო ძიძო - 111
სამფერა ია - 113
საპონა - 114
სელიჭა - 116
სვია - 117
სკოპოლია - 119
ტიგანი - 120
ტილჭირი - 122
ტყის ჩიტისთვალა - 124
ურთხელი, უთხოვარი - 126
უცუნა - 128
უძოვარა - 130
ფეხფოთოლა - 131
ფერულა - 132
ფითრი - 134
ფუტკარა, სათითურა - 135
ქართული ყოჩივარდა - 137
ქენდირი - 138
ქრისტესისხლა - 139
ღვედკეცი - 141

ღორის ბირკა - 143
ყვანჩალა - 144
ყვითელი დუმფარა - 145
ყვითელი ყაყაჩურა - 146
ყვითელი ცხვირისატეხელა - 148
შავთარა - 149
შავი ძაღლყურძენა - 151
შმაგა - 152
შოთხვი - 155
შროშანა - 157
შხამა - 160
ჩაგირი - 162
ჩვეულეზბრივი ბამბუკი - 164
ჩვეულეზბრივი მანანა - 167
ჩვეულეზბრივი სურო - 168

ციკუტა - 169
ცხენისწაბლა - 171
ძაღლყურძენა - 173
ძირმწარა - 174
წითელი შხამა-სოკო - 175
წყლის იელი - 177
წყლის მარწყვა-ბალახი - 179
ჭვაველა - 180
ჭიაფერა - 182
ხარისთვალა - 184
ხარისჩლიქა - 185
ხაშხაში - 187
ხემყრალი ან ჩინური იფანი - 188
ხისებრი ჰორტენზია - 190

მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი

- Aconitum* L. – 122
Adonis vernalis L. – 148
Aesculum hippocastanum L. - 171
Ailanthus altissima (Mill.)
 Swingle - 188
Amanita muscaria (L.) Lam. – 175
Apocynum cannabinum L. – 138
Aristolochia clematitis L. – 174
Artemisia absinthium L. – 31
Arum orientale M. Bieb.(*Arum elongatum* STEVEN) - 98
Asarum europaeum L. – 185
Atropa caucasica Kreyer
 (A. belladonna L.) - 152
Bambusa vulgaris Schrad.
 ex Wendl. – 164
Bergenia crassifolia (L.)
 Fritsch – 162
Calluna vulgaris (L.) Huil. - 167
Catharanthus roseus (L.)
 C.Don. – 56
Chelidonium majus L. – 139
Cicuta virosa L. – 169
Cirsium arvense (L.) Scop. – 93
Claviceps purpurea (Fr.)
 Tul. – 180
Colchicum speciosum Stev. – 128
Comarum palustre L. – 179
Conium maculatum L. – 76
Convallaria majalis L. (C.
transcaucasica Utkin) - 157
Cuscuta europaea L. – 33
Cyclamen vernum Sm.
 (=C. ibericum Stev.) – 137
Daphne mezereum L. – 91
Datura innoxia Mill. – 68
Datura stramonium L. – 80
Digitalis L. – 135
Drimia maritima (L.) Stearn - 61
Dryopteris filix- mas (L.)
 Schott – 92
Ephedra distachya L. – 55
Erysimum cheiranthoides L. - 53
Erythroxyton coca Lam. – 74
Euphorbia fischeriana Steud - 107
Ferula assafoetida L. – 108
Ferula foetidissima Regel et
 Schmalh. – 132
Fumaria officinalis L. - 149
Galanthus woronowii
 Lozinsk. - 59
Galium odoratum (L.) Scop. – 124
Galium verum L. – 95
Genista tinctoria L. – 77
Gladium flavum Crantz - 146
Gleditschia triacanthos L. – 46
Hedera helix L. – 168
Helleborus caucasicus A.Br. - 73
Humulus lupulus L. – 117
Hydrangea arborescens L. - 190
Hyoscyamus niger L. – 82
Ledum palustre L. – 177
Linaria vulgaris Mill. – 116
Lobelia inflata L. - 84
Magnolia grandiflora L. – 85
Mandragora officinarum L. – 87
Melilotus officinalis (L.)
 Desr. – 111
Nelumbo nucifera Gaertn. – 69
Nerium oleander L. – 99
Nicotiana tabacum L. – 62
Nuphar lutea (L.) Smith - 145
Oenanthe aquatica (L.) Poir. – 37
Onopordum acanthium L. – 43

Opuntia vulgaris Mill. (=O. ficus-indica (L.) Mill.) – 101
Padus racemosa (Lab.) Gilib. – 155
Paeonia anomala L. – 71
Papaver somniferum L. – 187
Paris quadrifolia L. – 184
Passiflora coerulea L. - 58
Peganum harmala L. – 88
Periploca graeca L. – 141
Phytolacca americana L. - 182
Platycladus orientalis (L.) Franc – 40
Podophyllum peltatum L. – 131
Rauwolfia serpentina Benth. – 105
Ricinus communis L. – 34
Robinia pseudoacacia L. – 52
Ruta graveolens L. – 120
Sambucus ebulus L. – 36
Sambucus nigra L. - 50
Saponaria officinalis L. – 114
Scopolia carniolica Iacq. – 119
Sedum acre L. - 97
Silybum marianum (L.) Gaertn - 41
Solanum laciniatum Ait. – 173
Solanum nigrum L. – 151
Solidago virgaurea L – 104
Stachys sylvatica L. – 144
Symphytum officinale L. – 110
Tanacetum vulgare L. – 38
Taxus baccata L. – 126
Thermopsis lanceolata R. Br. – 66
Tribulus terrestris L. – 79
Trollius europaeus L. – 130
Tuja occidentalis L. – 48
Veratrum lobelianum Bernh. – 160
Vinca minor L. – 45
Viola tricolor L. – 113
Viscum album L. – 134
Wisteria sinensis D.C. – 47
Xanthium strumarium L. – 143
Zygophyllum fabago L. – 103

გამოყენებული ლიტერატურა

- ბიძინაშვილი რ.** თბილისის მიდამოების ფლორის სამკურნალო გეოფიტები. გამომც. „ბასიანი“, თბილისი, 2009.
- ბიძინაშვილი რ.** შრომანას კულტივირების პერსპექტივები. გამომც. „ბასიანი“, თბილისი, 2011
- ბიძინაშვილი რ.** სამკურნალო მცენარეები (წარსული, აწმყო და მომავალი). გამომც. „ბასიანი“, თბილისი, 2011.
- ბიძინაშვილი რ.** გაზაფხულის მახარობლები - თეთრყვავილები. გამომც. „უნივერსალი“. თბილისი, 2012.
- ბიძინაშვილი რ.** ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა. წიგნი ორ ნაწილად. გამომც. „კენტავრი“, თბილისი, 2013.
- ბიძინაშვილი რ.** ავი სენი და სამკურნალო მცენარეები. გამომც. „მწიგნობარი“, თბილისი, 2016.
- ბიძინაშვილი რ.** გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და ფიტოთერაპია. გამომც. „მწიგნობარი“, თბილისი, 2017.
- ბიძინაშვილი რ.** ერთლებნიანი სამკურნალო გეოფიტების კულტივირების პერსპექტივები გამომც. „მწიგნობარი“, თბილისი, 2018.
- გაგნიძე რ.** საქართველოს ფლორის კონსპექტი, ნომენკლატურული ნუსხა. თბილისი, 2005.
- დავით ზაგრატიონი** იადიგარ დაუდი. “საბჭოთა საქართველო”. თბილისი, 1985.
- თოდუა ვაჟა, ბერიკაშვილი დალი, ცქვიტაია სოფიო** ფიტოთერაპია, მკურნალობა მცენარეებით. თბილისი, 2016.
- მაცაშვილი ა.** თბილისის მიდამოების ფლორა. ტ. 1-2. თბილისი, 1952-1953.
- მაცაშვილი ა.** ბოტანიკური ლექსიკონი. “საბჭოთა საქართველო”. თბილისი, 1961.
- ოდინშარია თ., საბახტარიშვილი შ.** საქართველოს სამკურნალო მცენარეები და ფიტოთერაპიული რეცეპტურა. თბილისი, 1993.

- სალუქვაძე ს. წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. თბილისი, 1987.
- საქართველოს მცენარეების სარკვევი, ტ. I-II, თბილისი, 1964-1969.
- სურმანიძე რ. მცირე კარაბადინი, II ნაწ., “აქარა”, ბათუმი, 1991.
- ფანასკერტელი-ციციშვილი ზ. სამკურნალო წიგნი “კარაბადინი”. თბილისი, 1978.
- ქანანელი უსწორო კარაბადინი (XI ს.). თბილისი, 1940.
- შენგელია ზ. სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში, თბილისი, 1983.
- წუწუნავა ნ. საქართველოს სამკურნალო მცენარეები, II გამოც. თბილისი, 1966.
- Вульф Е.В., Малеева О.Ф. Мировые ресурсы полезных растений. Л., 1969.
- Вехов В.Н., Губанов И.А., Лебедева Е.Ф., Культурные растения СССР. М., 1978.
- Гаммерман А.Ф., Г.Н.Кадаев, М.Д. Щупинская, А.А. Яценко-Хмелевский, Лекарственные растения (растения целители). М., 1976.
- Гаммерман А.Ф., Гром И.И. и др. Дикорастущие лекарственные растения СССР. М., 1976.
- Гроссгейм А.А. Растительные ресурсы Кавказа. Баку, 1946.
- Ивашин Д.С., Катина З.Ф., Рывачук Л.З., Иванов В.С., Бутенко А.Т. Лекарственные растения Украины. «Урожай», Киев. 1972.
- Йорданов Д., Николов П., Бойчинов А., Фитотерапия. София, 1970.
- Йирасек В., Стары Ф. Лекарственные растения. Прага, 1982.
- Карпович В.Н., Беспалова Е.И. Фармакогнозия. М., 1977.
- Ковалева И.Г. Лечение растениями. М., 1972.
- Кортиков В.Н., Кортиков А. В. Энциклопедия. Лекарственные растения, М., 1998.
- Котуков Г.Н. Культивируемые и дикорастущие лекарственные растения. Справочник. Киев, 1975.
- Ладынина Е.А, Морозова Р.С. Фитотерапия Л., 1987.
- Мазнев Н. Энциклопедия лекарственных растений “ Мартин”, М. 2003.
- Машковский М.Д. Лекарственные средства. М., 1967.
- Махлюк В. П. Лекарственные растения в народной медицине. Саратов, 1967.
- Минаева В. Г. Лекарственные растения Сибири. Новосибирск, 1970.

- Муравьева Д.А.** Фармакогнозия, М., 1978.
- Муравьева Д.А., Гаммерман А.Ф.** Тропические и субтропические лекарственные растения. М., 1974.
- Носаль М. И., Носаль И.М.** Лекарственные растения и способы их применения в народе. Киев, 1960.
- Полная энциклопедия народной медицины**, т. I-III. М., 2001.
- Ролловъ А.Х.,** Дикорастущие растения Кавказа, их распространение, свойства и применения. Тифлиси, 1908.
- Сало В.М.** Зеленые друзья человека. М., 1975
- Священник Александр Жуков,** Божий лекарь. М., 2008.
- Современная фитотерапия.** София, 1988.
- Соколов С.Я., Замотаев И.П.** Справочник по лекарственным растениям. Фитотерапия. Изд. III. «Металлургия», М., 1990.
- Токин Б. П.** Целебные яды растений. Повесть о фитонцидах. Л. 1974.
- Турова А.Д., Сапожникова Э.Н.** Лекарственные растения СССР и их применение. II Изд. М., 1982.
- Шретер А.И. Муравьева Д.А., Поскалн Д.А., Ефимова Ф.В.** Лекарственная флора Кавказа. М., 1979.
- Энциклопедический словарь лекарственных, Эфиромасличных и ядовитых растений.** М., 1951.

მონაცემები შეკრებილია აგრეთვე ინტერნეტის ღია წყაროებიდან:

- <https://www.google.com/search?client=opera&q=ядовитые+растения&sourceid=opera&ie=UTF-8&oe=UTF-8>
- https://ru.wikipedia.org/wiki/Ядовитые_растения
- <https://www.botanichka.ru/article/noxious-plants/>
- https://24smi.org/news/23389-samye-yadovitye-rasteniya_specf37.html
- <https://interfax.by/news/zdorove/raznoe/101698/>
- <http://www.florets.ru/tselebnye-svoistva/yadovitye-rasteniya.html>
- <http://infryazino.ru/novosti/aktualno/travy-ubiy>
- <https://zooclub.ru/samye/yadovitye-rasteniya-v-mire.shtml>
- https://ru.qwe.wiki/wiki/List_of_poisonous_plants
- <https://rus.delfi.lv/domsad/sad-ogorod/smertelnaya-krasota>
- <http://minzdrav.gov.by/dlya-belorusskikh-grazhdan/profilaktika-zabolevaniy/okruzhayushchaya-sreda-i-zdorove-cheloveka/opasnye-rasteniya.php>
- <http://enc.cap.ru/?t=publ&lnk=5058>

https://www.greeninfo.ru/lekarstvennie-rasteniya/jadovitie-rasteniya-preduprezhdjon--znachit-vooruzhen_art.html
<https://ribalych.ru/2014/10/30/samye-yadovitye-rasteniya-ukrainy/>
https://www.tourister.ru/users/nikita_milyagin/blog/12407
<https://soulblog.ru/chjornoe-i-beloe/samye-jadovitye-rasteniya-nashej-planety>
<http://morsvinki.ru/article/39-uxod/75-04.html>
<http://morsvinki.ru/article/39-uxod/75-1>
[http://lexicon.psp.ge/?lang=rus&word=4333&name=Дряква весенняя](http://lexicon.psp.ge/?lang=rus&word=4333&name=Дряква%20весенняя)
<http://temryuk.ru/presscenter/news/ostorozhno-yadovitye-rasteniya/>
http://www.bsg32.ru/elements/ostorozhno_leto_yadovityie_rasteniya_20170719011714/
<https://p-i-f.livejournal.com/10036511.html>
<https://www.ya-fermer.ru/vrednye-i-yadovitye-lugovye-rasteniya>
<http://plantlife.ru/news/item/f00/s05/n0000504/index.shtml>
<https://rucont.ru/searchresults?q=%20ядовитые%20растения>
<http://vocmp.oblzdrav.ru/ostorozhno-yadovitye-rasteniya-vokrug-n.html>
https://ru.wikipedia.org/wiki/МЫЛЬНЯНКА_лекарственная
<http://proklumbu.com/otkrutui-grunt/mnogoletniki/kupalnica/evropejskaya.html>
<https://mkurnali.ge/enciklopedia.html?task=term&id=4901>

შინაარსი

შესავალი -----	3
ზოგადი ინფორმაცია შხამიან მცენარეებზე -----	5
ყველაზე საშიში შხამიანი მცენარეები, რომელთა შესახებ უნდა იცოდეს ყველამ -----	8
პირველადი დახმარება შხამიანი მცენარეებით მოწამლვისას -----	25
შხამიანი მცენარეების როლი ფიტოთერაპიაში -----	28
შხამიანი მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა ტრადიციულ და ოფიცინალურ მედიცინაში -----	31
მცენარეების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი -----	192
მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი -----	194
გამოყენებული ლიტერატურა -----	196

როზა ბიძინაშვილი
შხამიანი მცენარეების როლი ფიტოთერაპიაში
გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი, 2020

Roza Bidzinashvili
The role of Poisonous Plants in phytotherapy
Publishing house “Mtsignobari”
Tbilisi, 2020.